

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სულხან ტაბაღუა

ფისკალური სტიმულების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი იური ანანიაშვილი

თბილისი
2019

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: ფისკალური პოლიტიკა, მულტიპლიკატორი, მთავრობის ზომა, ეკონომიკური ზრდა, საქართველო.

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა.

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება ნებისმიერი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, რაც მხოლოდ წარმოებული საქონლითა და მომსახურების რაოდენობით არ განისაზღვრება. დამატებით საჭიროა მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტა და ეს ყველაფერი მთავრობის მხრიდან ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს.

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სწორად დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, სადაც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზეა. აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობის მიერ შემუშავებული ფისკალური სტიმულები მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს, რადგან ისინი გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა სექტორის მიმდინარე თუ სამომავლო მდგომარეობაზე და ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

ფისკალური სტიმულები, როგორც მთავრობის ხელთ არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას, მეორე მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკურ კრიზისებზე გავლენის მოხდენის საშუალებას. შესაბამისად, მისი როლი მნიშვნელოვანია, როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პროცესში.

განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში, ფისკალური სტიმულების გააქტიურებამ განაპირობა ეკონომიკაში მთავრობის ზომის ცვლილება. აღნიშნულმა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის, კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შესძინა მთავრობის ზომის ცვლილების როლისა და მნიშვნელობის შეფასების საკითხს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასში შემავალი ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო, ეკონომიკის მოდერნიზაციის გზაზე დადგა. ამან ბუნებრივად წარმოშვა მთავრობის ზომის თითქმის 100%-იანი მაჩვენებლის თანმიმდევრული

შემცირების აუცილებლობა. ეკონომიკაში მთავრობის მონაწილეობის შემცირების საკითხი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი პირობა იყო, მაგრამ ამასთან აქტუალური გახდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი.

2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ფისკალურ სტიმულებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის, ასევე მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ეფექტის შეფასება. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია:

1. ფისკალური პოლიტიკის გარშემო არსებული თეორიების შედარებითი ანალიზი და მაკროეკონომიკური როლის შეფასება;

2. ფისკალური სტიმულების ეფექტიანობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე;

3. მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ეფექტის შესწავლა საქართველოსთვის;

4. მთავრობის ზომის მაკრო მოდელის ჩამოყალიბება და მთავრობის ოპტიმალური ზომის მაკროეკონომიკური ბუნების შეფასება საქართველოსთვის.

3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ფისკალური სტიმულების შესახებ არსებული თეორიული და ეკონომეტრიკული მოდელები. ნაშრომი ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, World bank, OECD, EBRD) მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიასა და კვლევებს, ასევე ამ საკითხებზე არსებულ სხვა კვლევებს, რომლებშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ეკონომეტრიკული მოდელები და მათში გამოყენებული ცვლადების განსხვავებული კომბინაცია, ფაქტორთა მნიშვნელოვნება კი შეფასებულია შესაბამისი სტატისტიკური კრიტერიუმებით.

4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა.

ფისკალური სტიმულების შესახებ არსებული კვლევებისაგან განსხვავებით წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხორციელდა ფისკალური სტიმულების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასება მთავრობის ზომის მაკრო მოდელის

საფუძველზე. კონკრეტულად, კვლევის პროცესში მიღებული შედეგები და სიახლეები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

1. გაანალიზებულია კავშირი ფისკალურ სტიმულებს, ფისკალურ წესებსა და მშპ-ს შორის;

2. გამოვლენილია და შეფასებულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მშპ-ის ზრდის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორების მნიშვნელოვნება;

3. საქართველოსთვის შეფასებულია მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორების ეფექტი, ასევე ხარჯების შოკების გავლენა მშპ-ზე და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;

4. გაანალიზებულია ფისკალურ სტიმულებსა და მთავრობის ზომას შორის კავშირი, ჩამოყალიბებულია მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური მოდელი და საქართველოსთვის გამოვლენილია მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი.

კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბებული მიდგომები და მიღებული შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ფისკალური პოლიტიკის აქტუალური საკითხებით დაინტერესებულ პირებს. ნაშრომში ჩამოყალიბებული მთავრობის ზომის მოდელი, ეკონომიკურ ზრდაზე სამთავრობო ხარჯების შოკის შეფასებები, განხორციელებული რეფორმების მაკროეკონომიკური ასპექტების შეფასება, ისევე როგორც კვლევის ფარგლებში გამოვლენილი სხვადასხვა მიგნებები ხელს შეუწყობს ოპტიმალური ფისკალური პოლიტიკის შემუშავებას და მისი გათვალისწინების შემთხვევაში მთავრობის ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებას.

Asbtract

Keywords: Fiscal policy, multiplier, government size, economic growth, Georgia

1. The actuality of the dissertation topic, research novelty and innovation

Raising of social-economic welfare of society is the main task of any government's economic policy, which is not only defined by the amount of produced goods and services. In addition a number of objectives need to be solved and all this requires to implement the effective economic policy by the government.

Proper planning of economic policy of the government is especially important for the countries with a transition economy when the important institutions are at the stage of formation for the functioning of market economy. Considering this, fiscal stimulus elaborated by the government needs in-depth analysis because they impact on the current and future situation of all sectors of economy and are reflected on economic growth of the country.

Fiscal Stimulus, as one of the important economic leverage of government, on the one hand, determine the macroeconomic sustainability of the country, on the other hand, it is the main instrument to respond to economic crises. Consequently, its role is important to reach macroeconomic equilibrium in a short and long run period.

In developed as well asin developing countries, including Georgia, the activation of fiscal stimulus led to the changes of government size in the economy, which gives the additional impulse of assessing the role and significance of the change of government size in the process of promoting economic growth.

After the collapse of the Soviet Union, all Soviet countries including Georgia started modernization of economy. This naturally generated the need for a consistent reduction of almost 100% of government size in economy.

The issue of reducing the involvement of the government in the economy was a precondition for proper economic policies, thus became an important issue what should be the indicator of optimal size of the government.

2. Research aim/aims and objectives

The aim of this research is to evaluate correlations between the fiscal stimulus and economic growth, as well as to evaluate the government's expenditures component multiplier effects. based on these goals research objectives are:

1.Evaluation of macroeconomic role and comparative analysis of the present theories around the fiscal policy;

2.Analysis of the effectiveness of fiscal stimulus on the basis of examples of various countries;

3.Studying of multiplier effect of the components of government expenditure for Georgia;

4.Development of macro model of the government size and evaluation of the macroeconomic nature of the optimal size of the government for Georgia.

3. Structure and Research Methodology of Scientific Work

Theoretical and econometric models on fiscal stimulus are used in the research process. The work is based on the methodology and research developed by international organizations (IMF, World Bank, OECD, EBRD) and other research on these issues in which various econometric models are presented and the different combination of variables are used, and the significance of factors is assessed by relevant statistical criteria.

4. Scientific value of research results and potential practical significance

Unlike the existing research on the fiscal stimulus, this study has evaluated the impact of fiscal stimulus on economic growth based on macro model of government size.

In particular, results and novelty can be formulated as follows:

1.Corelation between fiscal stimulues, fiscal rules and GDP is analyzed;

2.The main factors of GDP growth in transition economies is identified and estimated;

3.The multiplier effect of government expenditures component, as well as the impact of fiscal shocks on the GDP and the causality between them are evaluated in case of Georgia;

4.Correlation between fiscal stimulus and government size is analyzed, macroeconomic model of government size is elaborated and optimal size of government in case of Georgia is identified.

Approaches used in this research and the results obtained will significantly support the persons interested in the actual issues on fiscal policy. In the framework of this research developed macro model of government size, assessments of government spending shock on economic growth, evaluation of macroeconomic aspects of implemented reforms, as well as the various findings of the research will facilitate elaboration of optimal fiscal policy and increase the efficiency of government expenditures.

სარჩევი

| | |
|---|-----|
| აბსტრაქტი----- | 2 |
| Abstract----- | 5 |
| დიაგრამები და ცხრილები----- | 8 |
| აბრევიატურების ჩამონათვალი----- | 10 |
| შესავალი----- | 11 |
| თავი I. ფისკალური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები----- | |
| 21 | |
| 1.1. ფისკალური პოლიტიკის როლი და ადგილი კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში----- | 21 |
| 1.2. ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური როლის გენეზისი: კეინზიანური თეორია და მისი ევოლუცია----- | 32 |
| 1.3. ახალი ეკონომიკური კონსენსუსის თეორიის ჩამოყალიბების საწყისები----- | 41 |
| თავი II. ფისკალური სტიმულების მაკროეკონომიკური როლის შეფასება----- | |
| 47 | |
| 2.1. ფისკალური სტიმულების როლი ეკონომიკურ პოლიტიკაში და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ აგრეგატებზე ----- | |
| 47 | |
| 2.2. გარდამავალი პერიოდის თავისებურებები და არსებული მდგომარეობა----- | 60 |
| 2.3. ეკონომიკური ზრდის შეფასება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში----- | |
| 71 | |
| თავი III. მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური როლის შეფასება (საქართველოს მაგალითზე)----- | 90 |
| 3.1. მთავრობის როლი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში----- | |
| 90 | |
| 3.2. მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორი----- | |
| 107 | |
| 3.3. მთავრობის ზომის სამართლებრივი შეზღუდვის მაკროეკონომიკური ასპექტები----- | 128 |
| 3.4. მთავრობის ზომის მაკრო მოდელი----- | 138 |

| | |
|------------------------------|-----|
| დასკვნა----- | 163 |
| გამოყენებული ლიტერატურა----- | |
| 167 | |
| დანართი----- | 182 |

დიაგრამები

- დიაგრამა 2.1.1. გლობალური ეკონომიკური სტიმულები 2008-2009 წლებში
 - დიაგრამა 2.2.1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინდიკატორი (EBRD): გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შეფასება
 - დიაგრამა 2.2.2. გარდამავალი პერიოდის ინდექსი
 - დიაგრამა 2.3.1. ეკონომიკური ზრდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში
 - დიაგრამა 3.1.1. ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და პოლონეთში
 - დიაგრამა 3.1.2. ნაერთი ბიუჯეტის გადასახადები (%-ლი წილი მთლიან შემოსავლებში)
 - დიაგრამა 3.2.1. მთავრობის ხარჯების კომპონენტების %-ლი წილი მშპ-ში (გაანგარიშებულია 2010 წლის ფასებში)
 - დიაგრამა 3.2.2. რეალური მშპ-ის იმპულსზე რეაქციის ფუნქციები მთავრობის ხარჯების კომპონენტებზე
 - დიაგრამა 3.2.3. მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და პროცენტის შოკის გავლენას მშპ-ზე
 - დიაგრამა 3.2.4. მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და პროცენტის შოკის ერთობლივი გავლენა მშპ-ზე
 - დიაგრამა 3.2.5. მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და სხვა ხარჯების შოკის გავლენა მშპ-ზე
 - დიაგრამა 3.2.6. მთავრობის ნაერთი ხარჯების შოკის გავლენა მშპ-ზე
 - დიაგრამა 3.4.1. არმეის მრუდი (Armey Curve)
 - დიაგრამა 3.4.2. მთავრობის ზომის %-ლი თანაფარდობა მშპ-თან (2010 წლის ფასებში)
 - დიაგრამა 3.4.3. მთავრობის ზომისა და მშპ-ის ზრდის ცვლილება (2010 წლის ფასებში)
 - დიაგრამა 3.4.4. მთავრობის ზომა OECD -სა და მსოფლიოში (%-წილი მშპ-ში)
 - დიაგრამა 3.4.5. მთავრობის ზომა ევროკავშირში (%-წილი მშპ-ში)
 - დიაგრამა 3.4.6. არმეის მრუდი საქართველოსათვის
- ცხრილები**

- ცხრილი 2.1.1. ფისკალური სტიმულების ეფექტიანობის შეფასება
- ცხრილი 2.3.1. მშპ-ის ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები (შემთხვევითი ეფექტი, 1998-2014 წწ)
- ცხრილი 2.3.2. საწყისი მდგომარეობის შეფასება (ფიქსირებული ეფექტი, 1998-2014 წწ)
- ცხრილი 2.3.3. მშპ-ის ზრდის პანელური მოდელი (1999-2007 წწ)
- ცხრილი 2.3.4. მშპ-ის ზრდის პანელური მოდელი (2007-2014 წწ)
- ცხრილი 3.1.1. მთავრობის ეკონომიკური პროგრამები
- ცხრილი 3.1.2. საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება
- ცხრილი 3.1.3. რეფორმების შედეგების გავლენა საგადასახადო შემოსავლებზე (2017-2019 წწ)
- ცხრილი 3.1.4. სტრატეგია 2020: საპროგნოზო მაჩვენებლები
- ცხრილი 3.2.1. (3.2.8) მოდელის შეფასებული ვარიანტი
- ცხრილი 3.2.2. ინფორმაციული კრიტერიუმების მნიშვნელობები ვექტორული ავტორეგრესიის სხვადასხვა ლაგის მოდელისათვის
- ცხრილი 3.2.3. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის იმპულსზე რეაქციის ფუნქციები მთავრობის ხარჯების თითოეული კომპონენტის პირობებში
- ცხრილი 3.2.4. გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტი (Granger Causality Test)
- ცხრილი 3.3.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციები და მათი პრაქტიკაში გამოყენების შედეგებითი ანალიზი
- ცხრილი 3.4.1. არაწრფივი მოდელები
- ცხრილი 3.4.2. (3.4.5) მოდელის რობასტული შეფასებები
- ცხრილი 3.4.3. შესაბამისობა მთავრობის ზომასა და მშპ-ის ზრდის ტემპს შორის

დანართი

დიაგრამა

- დიაგრამა 1. კორელაცია მთავრობის ხარჯების კომპონენტებსა და მშპ-ს შორის
- ცხრილები
- ცხრილი 1. ქვეყნების განაწილება ეკონომიკური რეფორმების საწყისი სტრატეგიის მიხედვით
- ცხრილი 2. გაეროს კლასიფიკაცია
- ცხრილი 3. გაეროს კლასიფიკაცია შემოსავლების დონის მიხედვით
- ცხრილი 4. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კლასიფიკაცია
- ცხრილი 5. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) კლასიფიკაცია
- ცხრილი 6. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შეფასებისას ყველაზე ხშირად გამოყენებული ამხსნელი ცვლადები (დამოკიდებული ცვლადი მშპ-ის ან მშპ-ი ერთ სულზე რეალური

- ზრდა)
- ცხრილი 7. განსხვავება საბიუჯეტო კლასიფიკატორებს შორის (GFSM 1996 და GFSM 2001)
- ცხრილი 8. ფისკალური მულტიპლიკატორის სიდიდესთან დაკავშირებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა
- ცხრილი 9. რეალური მშპ-ის ვარიაციის დეკომპოზიცია
- ცხრილი 10. საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Fraser Institute)
- ცხრილი 11. საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Heritage Foundation)
- ცხრილი 12. ეკონომიკური თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩოები
- ცხრილი 13. ბაროს მოდელი: დამოკიდებული ცვლადი რეალური მშპ
- ცხრილი 14. ბაროს მოდელი: დამოკიდებული ცვლადი რეალური მშპ ზრდის ტემპი
- ცხრილი 15. ბაროს მოდელი: დამოკიდებული ცვლადი რეალური მშპ ერთ სულზე
- ცხრილი 16. მთავრობის ზომის (კლასიკური) მოდელი

აბრევიატურების ჩამონათვალი

| | |
|------------|--|
| IMF | საერთაშორისო სავალუტო ფონდი |
| OECD | ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია |
| World Bank | მსოფლიო ბანკი |
| EBRD | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი |
| ILO | შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია |
| GFSM | სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები |
| LNP | ინფლაციის მაჩვენებელი |
| RI | სტრუქტურული რეფორმების ინდექსი |
| Gexp | მთავრობის მოხმარება |
| TR | ტრანსფერები |
| RDG | პროცენტი |
| GG | გრანტები |
| GO | სხვა ხარჯები |
| Gtotal | ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები |
| IN | ინვესტიციები (%-ლი წილი მშპ) |
| LIP | ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი |
| LEN | ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (კონკურენციის პოლიტიკა) |
| LEX | ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემა |
| LSP | პრივატიზაციის ინდექსი |

| | |
|-------------|--|
| K | კაპიტალის ფორმირება |
| REV | ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები |
| EX | ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯები |
| Y | რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) |
| Y_per | რეალური მშპ ერთ სულზე |
| Y_real_temp | რეალური მშპ ზრდის ტემპი |
| g | მთავრობის მოხმარების წილი მშპ-ში (რეალური) |
| g* | მთავრობის ოპტიმალური ზომა |

შესავალი

თემის აქტუალურობა. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება ნებისმიერი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, რაც მხოლოდ წარმოებული საქონლითა და მომსახურეობის რაოდენობით არ განისაზღვრება. დამატებით საჭიროა მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტა და ეს ყველაფერი მთავრობის მხრიდან ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს¹.

¹ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინი სახელმწიფო, ხელისუფლება ან მთავრობა (უცხოურ ლიტერატურაში “State”, “Country” ან „Government“), როგორც ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელი და განმახორციელებელი. მიუხედავად ამისა ჩვენი აზრით მართებულია აღინიშნოს, რომ ტერმინი “სახელმწიფო” (ფართო გაგებით) უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს ტერიტორიას, რომელიც შემოფარგლულია გეოგრაფიულ საზღვრებში და რაც გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციით, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებით. ხოლო, ხელისუფლება აერთიანებს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს. რაც შეეხება “მთავრობას” საქართველოს კანონმდებლობაში მისი შემდეგი სახის განმარტება გვხვდება: 1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე (საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი), ხოლო მისი უფლებამოსილებებია: ა) მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი, პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვის შემდეგ პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი (საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მეორე პუნქტი); ბ) მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს (საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მესამე პუნქტი); გ) არეგულირებს საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობებს, შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს (საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის,

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სწორად დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, სადაც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზეა. აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობის მიერ შემუშავებული ფისკალური სტიმულები მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს, რადგან ისინი გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა სექტორის მიმდინარე თუ სამომავლო მდგომარეობაზე და ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

მთავრობას მაკროეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედების ორი ძირითადი ინსტრუმენტი გააჩნია, ესენია: ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკა. განვითარებადი, თუ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მონეტარული პოლიტიკა მთავრობისგან დამოუკიდებელი ინსტიტუტის ხელშია, რომელთანაც მხოლოდ ძირითადი მაკრო-ეკონომიკური პარამეტრების შეთანხმება ხდება. შესაბამისად, მთავრობას მხოლოდ ფისკალური პოლიტიკა რჩება ეკონომიკური ციკლების რეგულირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკურ ლიტერატურაში არაერთგვაროვნად არის განმარტებული. კერძოდ, ერთ-ერთი განმარტების თანახმად, ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენებას ეკონომიკური ზრდის სტიმულირების, ანტიციკლური რეგულირების, ინფლაციის შეზღუდვის და საგარეო-სავაჭრო ბალანსის მიღწევის მიზნით (ასათიანი 1996, 188). სხვა განმარტებების თანახმად ფისკალური პოლიტიკა არის: სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების ცვლილება არაინფლაციური ზრდისა და სრული დასაქმების დონის მისაღწევად (Линвуд 1996, 122); სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და ხარჯების არჩევა (ბლანშარი 2010, 912); პოლიტიკა რომელიც დაკავშირებულია ხარჯებისა და გადასახადების კომპოზიციის დონესთან (Abel, Bernanke, Croushore 2014, 627); მთავრობის მიერ ხარჯებისა და გადასახადების ცვლილება ერთობლივ ხარჯებზე ზემოქმედების მიზნით (Krugman, Wells 2015); საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა; საგადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის სათანადო მართვით ქვეყნის ეკონომიკურ აქტიურობაზე ზემოქმედების მექანიზმი

უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ მე-5 მუხლის “ე” ქვეპუნქტი). აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ჩვენს მიერ გამოყენებული იქნება ტერმინი “მთავრობა”, რომელიც ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის ავტორად გვევლინება.

(საქართველოს ბანკების ასოციაცია 2000); სახელმწიფოს მიერ გადასახადების აკრეფისა და მათგან მიღებული შემოსავლების ხარჯვის ღონისძიებათა ერთობლიობა (მენქიუ 2000, 1048); სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის აგრეგატების მართვის პოლიტიკა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის მოკლევადიან და/ან გრძელვადიან პერიოდში (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი); გზები, რომლის მიხედვითაც მთავრობა აკონტროლებს მის ხარჯებსა და გადასახადებს მოსახლეობასთან შეთანხმებით; ქვეყნის გზა ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის, შემოსავლების განაწილების და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მართვის (მსოფლიო ბანკი); ეკონომიკაზე გავლენა სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების გამოყენებით (საერთაშორისო სავალუტო ფონდი). მოყვანილ განმარტებებს შორის გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, ყველა ხაზს უსვამს ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკურ ბუნებას, როგორც მთავრობის ხელთ არსებულ მნიშვნელოვან ბერკეტს ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორების რეგულირებისა და გრძელვადიანი, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ნათელია, რომ ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები უდავოდ წამყვან როლს თამაშობს პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმების დონის განსაზღვრაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფისკალური პოლიტიკა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას (განსაკუთრებით საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში) ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორსა და კერძო სექტორს შორის „ოპტიმალური თანაფარდობის“ ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორად (Фишер, Дорнбум, Шмолензи 1993, 512). ამასთან, ფისკალური პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში ზრდის ის ფაქტიც, რომ მისი მეშვეობით სახელმწიფო უშუალოდ მონაწილეობს მოქალაქეთა კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესში (გამსახურდია 2003, 145). აქედან გამომდინარე, იგი გამოიყენება არა მარტო სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფის, ან კიდევ ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის თვალსაზრისით, არამედ ასევე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემოსავლებისა და რესურსების გადასანაწილებლად, ე.ი. ასეთ პოლიტიკას ფისკალურთან და ეკონომიკურთან ერთად გააჩნია წმინდა სოციალური დატვირთვაც (ბოლქვაძე 2005, 171). ფისკალური პოლიტიკა ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი ინსტრუმენტი.

ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ფისკალური პოლიტიკის მოსალოდნელი გავლენის შეფასება, როგორც ეკონომიკურ თეორიაში, ასევე პრაქტიკაში განსხვავებულია. ერთი მხრივ, ყურადსაღებია დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის, როგორც ეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტის გავლენა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის კავშირი მის კომპოზიციასთან.

მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის ცვლილება ეკონომიკურ გარემოზე ძირითადად საქონელსა და მომსახურებაზე შინამეურნეობების, ბიზნესის და მთავრობის მოთხოვნაზე ცვლილების არხით ახდენს გავლენას, რაც თავის მხრივ, ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა (გადასახადების შემცირება ან/და მთავრობის ხარჯების ზრდა) ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, რაც წარმოების და დასაქმების ზრდის სტიმულს ქმნის ბიზნესისათვის. ერთობლივ მოთხოვნასა და გამოშვებაზე საპირისპირო ეფექტი აქვს მკაცრ ფისკალურ პოლიტიკას (გადასახადების ზრდა ან/და მთავრობის ხარჯების შემცირება). გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის პოტენციურ მშპ-ზე გავლენა შემდეგი გზებით ხორციელდება: სახელმწიფოს ვალის მოცულობის, ფიზიკური პირებისა და ბიზნესის სტიმულების, დანაზოგებისა და სახელმწიფოს ინვესტიციების ცვლილებით რასაც, თავის მხრივ, გავლენა აქვს შრომის და კაპიტალის მწარმოებლურობაზე.

ფისკალური პოლიტიკის ცვლილება გულისხმობს კომპრომისს გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებს შორის. კერძოდ, ფისკალურ პოლიტიკაში ცვლილებები, რომელსაც დადებითი ეკონომიკური გავლენა აქვს მოკლევადიან პერიოდში, გრძელვადიან პერიოდში გამოშვებაზე უარყოფითად მოქმედებს. აღნიშნულის მიზეზია ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა, რომელიც მოკლევადიან პერიოდში ერთობლივ მოთხოვნას ზრდის, რაც თავის მხრივ, გამოშვებას და შემოსავალს ზრდის, მათ შორის საგადასახადო შემოსავლებსაც, მაგრამ არა იმ სიდიდით, რომ განეიტრალებულ იქნას დეფიციტის ზრდა. შესაბამისად, აღნიშნული

პოლიტიკა სახელმწიფო ვალს ზრდის, რაც, თავის მხრივ, ამცირებს დანაზოგებსა და, შესაბამისად, გამოშვებას. თუმცა, გარკვეულ პირობებში, მოკლე და გრძელვადიან პერიოდებს შორის აღნიშნული ალტერნატივის თავიდან აცილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ფისკალური პოლიტიკის ცვლილება, რომელიც მოკლევადიან პერიოდში ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, ასევე პოზიტიურად იმოქმედებს ეკონომიკაზე გრძელვადიან პერიოდში. როგორც წესი, ანტიციკლურ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას, რაც გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას და ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას ეკონომიკური ბუმის დროს, მნიშვნელოვანი როლი აქვს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის საქმეში. თუმცა, არსებობს ცალკეული შემთხვევები, როდესაც ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის განხორციელება ეკონომიკური აქტივობის შემცირებისას მიზანშეწონილი არ არის. ფისკალური პოლიტიკის შერბილება შესაძლებელია შეუსაბამო იყოს დიდი საგარეო დისბალანსის არსებობის დროს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური აქტივობის შენელების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია საჭირო გახდეს ფისკალური კონსოლიდაცია მზარდი ინფლაციის შეზღუდვისა ან/და მიმდინარე ანგარიშის დისბალანსის შემცირების, ან კაპიტალის გადინების დასაძლევად.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ფისკალური სტიმულები, როგორც მთავრობის ხელთ არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას, მეორე მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკურ კრიზისებზე გავლენის მოხდენის საშუალებას. შესაბამისად, მისი როლი მნიშვნელოვანია, როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პროცესში.

ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც ეკონომიკური პროცესების გასაუმჯობესებლად ცალკეული ქვეყნის მთავრობა ფისკალური სტიმულების შემუშავებას იწყებს. ფისკალური სტიმულები, როგორც მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი პირველად გამოყენებულ იქნა 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის შემდგომ პერიოდში და დღემდე აქტიურად გამოიყენება. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისი, როცა ქვეყნების უმრავლესობა აქტიურად შეუდგა ფისკალური სტიმულების შემუშავებას (აღნიშნულ

პერიოდში მხოლოდ “დიდი ოცეულის” ქვეყნებში ფისკალური სტიმულების სიდიდემ შეადგინა 2 ტრილიონი აშშ დოლარი, რაც ამ პერიოდის მშპ-ის 1.4% შედაგენს (ILO 2011, 1)). კერძოდ, ცალკეულ ქვეყნებში დაფიქსირებული ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირების საპასუხოდ, მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გადასახადების შემცირების, სუბსიდიებისა და ხარჯების გაზრდის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოში არაერთი ეკონომიკური პროგრამა (რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი სწორედ ფისკალური სტიმულები იყო) იქნა შემუშავებული და განხორციელებული, ხოლო მთავრობის ზომის შემცირების საკითხი ყველა სამთავრობო პროგრამაში გვხვდება, საკმაოდ მწირია ისეთი სამეცნიერო კვლევები, სადაც შეფასებულია: ფისკალური სტიმულების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე; ფისკალურ სტიმულებსა და მთავრობის ზომას შორის კავშირი; მთავრობის ოპტიმალური ზომა; ეკონომიკური რეფორმების მაკროეკონომიკური თავისებურებების შეფასება გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში; საბიუჯეტო ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ეფექტი.

განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში, ფისკალური სტიმულების გააქტიურებამ განაპირობა ეკონომიკაში მთავრობის ზომის ცვლილება. აღნიშნულმა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის, კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შესძინა მთავრობის ზომის ცვლილების როლისა და მნიშვნელობის შეფასების საკითხს.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. გასული წლების განმავლობაში ფისკალური სტიმულები იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად, რომელსაც არაერთი კვლევა მიეძღვნა. მილტონ ფრიდმანი და დევიდ მესელმანი (Milton Friedman, David Meiselman) იყვნენ დებატების დაწყების ინიციატორები, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა მოახდინეს ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებით ფისკალური სტიმულების ეფექტიანობის ანალიზი. აღნიშნულ დებატებში 1960-იან წლების ბოლოს ჩაერთო ალბერტო ანდო (Albert Ando), მიშელ დე პრანო (Michael De Prano), დონალდ ჰესტერი (Donald Hester), ტომას მაიერი (Thomas Mayer) და ფრანკო მოდილიანი (Franco Modigliani). დებატების მეორე ნაწილი, იწყება 1970-იანი წლების

პირველ ნახევარში, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კარლ კრისტის (Carl Christ), ბლინდერისა და სოლოუს (Blinder, Solow) და ბრუნერის (Brunner) კვლევებმა. ამ მეცნიერების კვლევებში შესწავლილია აქტიური ფისკალური პოლიტიკის შედეგად საფინანსო ბაზრიდან კერძო სექტორის გამოდევნის თავისებურებები („გამოდევნის ეფექტი“). აღნიშნული საკითხის კვლევის შემდეგი ეტაპი სათავეს იღებს „რაციონალური მოლოდინის“ თეორიიდან, კერძოდ, რობერტ ბაროს (Robert Barro), რობერტ ლუკასის (Robert Lucas) და ტომას სარჟენტის (Thomas Sargent) კვლევებიდან, სადაც ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა მოსახლეობის მოლოდინებს ეფუძნება. ამ მიდგომის მიხედვით, მიმდინარე პერიოდში გადასახადების შემცირება საბიუჯეტო დეფიციტის წარმოქმნის გამო განაპირობებს გადასახადების ზრდას მომავალში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ერთობლივი მოთხოვნის, საპროცენტო განაკვეთისა და გამოშვების დონის ცვლილებაზე. ფისკალური პოლიტიკის სიღრმისეული ანალიზი შემდგომში განხორციელდა კეინზის მიმდევრების (Neo-Keynesian economics; New Keynesian economics; Post-Keynesian economics) მიერ, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ეკონომიკის რეგულირების ცალკეული ხედვები/მოდელები ეკონომიკური ციკლების უარყოფითი შედეგების შემცირების მიზნით.

შემდგომ პერიოდში განხორციელებული კვლევებში (Devarajan et al 1996, Tanzi, Zee 1997, Glomm, Ravikumar 1997, Lucas 1988, Barro 1988, 1990, Zagler, Durnecker 2003, Glomm, Rioja 2006, Blankenau, Simpson 2004, Балацкий 2003, 2004, 2010, Балацкий, Екимова 2011, Balatsky, Ekimova 2012 და სხვა) ხაზგასმულია ფისკალური პოლიტიკის როლის ზრდის მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირების პროცესში.

გარდა ზემოაღნიშნული კვლევებისა, მთავრობის ზომის ცვლილებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის შეფასებას არაერთი კვლევა მიემდგვნა (Verick, Islam 2010, Wyplosz 2010, Gemmel, Kneller, Sanz 2011, Kandil, Morsy 2010, Solow 1956, Romer 1986, Lucas 1988, North, Thomas 1973, Folscher, Krafchik, Shapiro 2000, Djankov, et al., 2003, Altunc, Ayd 2013, Armay 1995, Barro 1990, Chen, Lee 2005, Christie 2014; Dar, Amhir Khalkhali 2002, Guseh 2007, Zhu, Chiou-Wei, Kuo 2010 და სხვები). აღნიშნულ საკითხს ასევე აქტიურად იკვლევს: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF); ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD);

მსოფლიო ბანკი (World bank); ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD); შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). ფისკალური პოლიტიკის ცალკეული ასპექტებია ასევე გაანალიზებულია ქართველი მეცნიერების მიერ (ანანიაშვილი, პაპავა 2009, 2014, ანანიაშვილი 2010, 2014, 2018, პაპავა 2005, 2014, 2017, ჩიქობავა 2011, 2013, ხადური 2010, ბოლქვაძე 2009, ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაძე 2001, ბასარია, მესხია 1995, ზედგინიძე, მხატრიშვილი 2014 და სხვები). ფისკალური პოლიტიკის შესახებ პერიოდულ კვლევებს ახორციელებს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ფისკალურ სტიმულებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის, ასევე მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ეფექტის შეფასება. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია:

1. ფისკალური პოლიტიკის გარშემო არსებული თეორიების შედარებითი ანალიზი და მაკროეკონომიკური როლის შეფასება;
2. ფისკალური სტიმულების ეფექტიანობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე;
3. მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ეფექტის შესწავლა საქართველოსთვის;
4. მთავრობის ზომის მაკრო მოდელის ჩამოყალიბება და მთავრობის ოპტიმალური ზომის მაკროეკონომიკური ბუნების შეფასება საქართველოსთვის.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია თეორიულ და ეკონომეტრიკულ ჭრილში ფისკალური სტიმულების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასება მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური მოდელის, მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორისა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლის გზით. კვლევის ობიექტია კლასიკური, კეინზიანური, პოსტკეინზიანური და ახალი ეკონომიკური კონსენსუსის თეორიების პოზიციიდან საქართველოსა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბიუჯეტო ხარჯები, შემოსავლები და ეკონომიკური ზრდის მახასიათებლები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის პროცესში გამოყენებულია ფისკალური სტიმულების შესახებ არსებული თეორიული და ეკონომეტრიკული მოდელები. ნაშრომი ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, World bank, OECD, EBRD) მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიასა და კვლევებს, ასევე ამ საკითხებზე არსებულ სხვა კვლევებს, რომლებშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ეკონომეტრიკული მოდელები და მათში გამოყენებული ცვლადების განსხვავებული კომბინაცია, ფაქტორთა მნიშვნელოვნება კი შეფასებულია შესაბამისი სტატისტიკური კრიტერიუმებით.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ფისკალური სტიმულების შესახებ არსებული კვლევებისაგან განსხვავებით წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხორციელდა ფისკალური სტიმულების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასება მთავრობის ზომის მაკრო მოდელის საფუძველზე. კონკრეტულად, კვლევის პროცესში მიღებული შედეგები და სიახლეები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვყალიბოთ:

1. გაანალიზებულია კავშირი ფისკალურ სტიმულებს, ფისკალურ წესებსა და მშპ-ს შორის;

2. გამოვლენილია და შეფასებულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მშპ-ის ზრდის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორების მნიშვნელოვნება;

3. საქართველოსთვის შეფასებულია მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორების ეფექტი, ასევე ხარჯების შოკების გავლენა მშპ-ზე და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;

4. გაანალიზებულია ფისკალურ სტიმულებსა და მთავრობის ზომას შორის კავშირი, ჩამოყალიბებულია მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური მოდელი და საქართველოსთვის გამოვლენილია მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბებული მიდგომები და მიღებული შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ფისკალური პოლიტიკის აქტუალური საკითხებით დაინტერესებულ პირებს. ნაშრომში ჩამოყალიბებული მთავრობის ზომის მოდელი, ეკონომიკურ ზრდაზე სამთავრობო ხარჯების შოკის შეფასებები, განხორციელებული რეფორმების მაკროეკონომიკური ასპექტების შეფასება, ისევე როგორც კვლევის ფარგლებში გამოვლენილი სხვადასხვა

მიგნებები ხელს შეუწყობს ოპტიმალური ფისკალური პოლიტიკის შემუშავებას და მისი გათვალისწინების შემთხვევაში მთავრობის ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებას.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომი დამტკიცდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 27 ივლისის (№23/29-01) ბრძანების შესაბამისად.

შესრულებული კვლევის შედეგებზე გამოქვეყნებულია 9 სამეცნიერო პუბლიკაცია (მათ შორის: 6 სტატია და 3 საკონფერენციო მასალა).

კვლევის ფარგლებში წარმოდგენილმა პროექტებმა მიიღო ორი სამეცნიერო გრანტი:

✓ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი, 2016 წელი (№03/33);

✓ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გრანტი, 2016-2018 წწ (PhDF2016_104).

ნაშრომის აპრობაცია შედგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკის კათედრის 2019 წლის 26 ივლისის სხდომაზე (ოქმი №8).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შესდგება შესავალის, გამოყენებული აბრევიატურების ჩამონათვალის, სამი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან, რომელიც მოიცავს 204 გვერდს.

თავი I. ფისკალური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები

1.1. ფისკალური პოლიტიკის როლი და ადგილი კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში

ეკონომიკურ ლიტერატურაში კლასიკური სკოლის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია არსებობს. ტერმინი ეკონომისტ-კლასიკოსები პირველად სამეცნიერო ბრუნვაში კარლ მაქსმა (Karl Marx) შემოიტანა, რომელიც აღნიშნული სკოლის წარმომადგენლებში გულისხმობდა, ინგლისელ ეკონომისტებს ადამ სმითს (Adam Smith) და დევიდ რიკარდოს (David Ricardo). ჯონ მეინარდ კეინზი (John Maynard Keynes) წერს: “ეკონომისტ-კლასიკოსები“ ამაში მე ვგულისხმობ, შეიძლება დამკვიდრებული ეთიკის საპირისპიროდ, “კლასიკური სკოლის” წარმომადგენლებს დევიდ რიკარდოს მიმდევრებს, ანუ იმათ რომლებმაც განავითარეს დ. რიკარდოს ეკონომიკურ სწავლება, მათ შორის არიან ჯონ სტიუარტ მილი (John Stewart Mill), ალფრედ მარშალი (Alfred Marshall), და პროფესორი არტურ პიგუ (Arthur Cecil Pigou). ჯ. კეინზი ასევე მიუთითებს, რომ: “ჩემთვის ახლოსაა კლასიკოსებამდელი დროის დოქტრინა, რომლის შესაბამისად ყველაფერი იწარმოება შრომით და მიზანშეწონილია მეწარმეებისა და თანაშემწეების შრომა ტექნოლოგიებთან, ბუნებრივ რესურსებთან, მწარმოებლურ მოწყობილობებთან და ეფექტიან მოთხოვნასთან ერთად ჩავთვალოთ წარმოების ძირითად ფაქტორად”. შემდგომში აღნიშნული იდეები განავითარეს და მოახდინეს ამ ტერმინის გაფართოება დასავლელმა ეკონომისტებმა, მათ “ეკონომისტ-კლასიკოსების” შემადგენლობაში შეიყვანეს ფრანგი ეკონომისტი ჟან ბატისტ სეი (Jean-Baptiste Say), თომას მალთუსი

(Tomas Maltus), ჯონ სტიუარტ მილი, ალფრედ მარშალი და არტურ პიგუ, ასევე, გაიზიარეს მარქსის და კეინზის შეხედულება იმ კუთხით, რომ კლასიკოსების შემადგენლობაში დატოვეს ა. სმითი და დ. რიკარდო. სწორედ აღნიშნულმა ავტორებმა მისცეს დასაბამი ეკონომიკური ხედვებისა და წარმოების პროცესის ახლებურ, სირღმისეულ გააზრებას. კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს შორის ფისკალური პოლიტიკის სირღმისეული ანალიზი განხორციელდა დევიდ რიკარდოს მიერ¹. რიკარდოს მიხედვით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით შევსება მოქმედებს შინამეურნეობებზე არა მხოლოდ ემისიის დროს, არამედ მის შემდგომ პერიოდშიც, რაც მოსახლეობის მოლოდინის შედეგია. ამასთანავე, საკმაოდ რთულია ამ მოვლენის ზომისა და ვადის პროგნოზირება. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიზანმიმართული ემისია, როგორც სახელმწიფო საბიუჯეტო დეფიციტის, ასევე პროფიციტის პირობებში მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს, თუ ეკონომიკაში ადგილი აქვს რიკარდოსეულ სრულ ექვივალენტურ ტოლობას. თუ დეფიციტი და გადასახადის ოდენობა ერთმანეთის ტოლია, ეს სიტუაცია გამორიცხავს გრძელვადიან პერიოდზე გავლენის მომხდენი სახელმწიფო ვალის საჭიროებას. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია და, ამ გზით, სახელმწიფო საბიუჯეტო დეფიციტის შევსება არის საჭირო მაშინ, როდესაც ეკონომიკაში ადგილი აქვს ვარდნას და კრიზისებს. აღნიშნული ემყარება იმ აზრს, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიით მიღებული რესურსი გადაფარავს ეკონომიკური დაცემის პერიოდში შემცირებულ გადასახადს და, ამასთანავე, გადასახადის განაკვეთის შემცირების შესაძლებლობას იძლევა, რაც შეამსუბუქებს მოსახლეობის ფართო ფენების ეკონომიკურ მდგომარეობას. რიკარდოს “ტოლობის” ჰიპოთეზის შესაბამისად, თუ საზოგადოების ყოველი წევრი გააცნობიერებს, რომ სამომავლო ბეგარა გააქარწყლებს მისაღებ სესხის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს, ამ შემთხვევაში ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი გაუტოლდება ბეგარის განაკვეთის სიდიდეს. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ვალს არანაირი ეფექტი და გავლენა აღარ ექნება ეკონომიკურ ზრდაზე (Fisher, Seater 1993) იმისათვის, რომ

¹ეკონომიკურ თეორიაში “რიკარდოანელობა” ნიშნავს ხედვას, რომელიც ეკონომიკურ სისტემას აღიქვამს, როგორც სიმდიდრის წარმოებისა და განაწილებისაკენ მიმართული ქმედებებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას.

რიკარდოს ექვივალენტურობის თეორია შესრულდეს, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები: პირველი, მომავლის სრულყოფილად განჭვრეტის შესაძლებლობა – ვფიქრობ, რომ ეს პირობა მოცემული მიდგომის ფარგლებში (სხვა თანაბარ პირობებში) სრულდება, რადგან რიკარდოს ექვივალენტურობა არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო ხარჯები შეიძლება ატარებდეს რაიმე დამატებით გარე ეფექტებს (Сакс, Эихенгрин 1996, 238-239). ამიტომ ეს გარემოება მომავლის განჭვრეტას სავსებით შესაძლებელს ხდის და ამ შემთხვევაში საზოგადოების მომავლისადმი მოლოდინიდან გადახრა შემთხვევით ხასიათს ატარებს; მეორე, ლიკვიდურობის შეზღუდვის არ არსებობა – ეს არგუმენტი გულისხმობს, რომ, თუ ეკონომიკური სუბიექტები საჭიროების შემთხვევაში ვერ ახერხებენ თავისუფლად სახსრების სესხებას, მაშინ ისინი პესიმისტური მოლოდინის გამო, არ შეზღუდავენ მიმდინარე მოხმარებას და რიკარდოს ექვივალენტურობას ადგილი არ ექნება.

კლასიკოსები ეთანხმებიან რიკარდოს ექვივალენტურობის თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისაგან არ განსხვავდება ეკონომიკაზე გადასახადების ცვლილების და ხარჯების ცვლილების ეფექტი. მაგალითად, თუ სახელმწიფო გაზრდილ ხარჯებს გადასახადების ზრდით აფინანსებს, მაშინ მცირდება საოჯახო მეურნეობების მოხმარება, რადგანაც მცირდება განკარგავადი შემოსავალი, ხოლო, თუ სახელმწიფო გაზრდილ ხარჯებს სასესხო კაპიტალის ბაზარზე სახსრების სესხებით აფინანსებს, მაშინაც მცირდება საოჯახო მეურნეობების მოხმარება, რადგანაც იზრდება დანაზოგები გადასახადების მოსალოდნელი ზრდის გამო. პრობლემის არსი ის არის, რომ ადამიანები ითვალისწინებენ, თუ მთავრობა ვალის აღებით დააფინანსებს საკუთარ ხარჯებს, მაშინ მომავალში ამ ვალის დასაფარად ის აუცილებლად გაზრდის გადასახადებს. ვინაიდან ადამიანები ორიენტირებულები არიან არა მიმდინარე შემოსავალზე, არამედ პერმანენტულ შემოსავალზე და ამის მიხედვით ცდილობენ სასიცოცხლო ციკლის მანძილზე უზრუნველყონ თანაბარი მოხმარება, ისინი ამ შემთხვევაში მიმდინარე პერიოდში გაზრდიან დანაზოგებს.

არასრული ექვივალენტურობა იწვევს დაუფარავი სესხის სტრუქტურის შემადგენლობისა და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ერთიდაიგივე მიმართულებით. მაგალითად, რეცესიის დროს ეკონომიკაში ადგილი აქვს საპროცენტო განაკვეთის ზრდას, ეს კი ამცირებს ინვესტიციებს და ეკონომიკურ

ზრდას. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს ამ მიმართულების საწინააღმდეგო ნაბიჯების ერთობლიობა - მოხდეს საპროცენტო განაკვეთის შემცირება, გაიზარდოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია და სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებით ეკონომიკაში შეიცვალოს ეკონომიკური რეცესიის ტენდენცია ეკონომიკური ზრდის მიმართულებით. ანუ დეფიციტის გამოყენებით ხორციელდება ეკონომიკის სტიმულირება არსებულ კრიზისულ რეალობაში, რათა გაუმჯობესდეს წარმოების მაჩვენებლები და შეწყდეს ეკონომიკური დაცემა. თუმცა ამის ფასის გადახდა აღმავლობის პერიოდში გაზრდილი გადასახადის სახით ხდება.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, რომელ შოკს აქვს უფრო დიდი გავლენა ციკლურ რყევებზე, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კლასიკური მაკროეკონომიკური სკოლის კიდევ ერთი თავლსაჩინო წარმომადგენლის, ედუარდ პრესკოტის (Edward Prescott) მიერ შემუშავებული რეალური ბიზნეს ციკლების მოდელი (Real Business Cycle (RBC) models), რომლის მიხედვით ეკონომიკაში რეალური შოკები მნიშვნელოვან დამოკიდებულებაშია ბიზნეს ციკლებთან. რეალური შოკები არის ეკონომიკის რეალურ ნაწილში არსებული რყევები, მაგალითად, შოკი, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოო ფუნქციაზე, დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაზე, საქონლისა და მომსახურების სამთავრობო შესყიდვებზე და მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე. აღნიშნული თეორიის მიხედვით ეკონომიკური ბუმი არის შედეგი დადებითი საწარმოო შოკის და ეკონომიკური რეცესიები არის შედეგი უარყოფითი საწარმოო შოკების. პროტოტიპული რეალური ბიზნეს ციკლების მოდელში სახელმწიფო ხარჯები ფინანსდება საგადასახადო შემოსავლებით, რის შედეგადაც მოხმარება მცირდება, ხოლო საპროცენტო განაკვეთი, დანაზოგები, სამუშაო ძალის მიწოდება იზრდება. რეალური ბიზნეს ციკლების მოდელის მიხედვით, ფისკალურ პოლიტიკას აქვს უარყოფითი ეფექტი მოხმარებაზე, თუმცა დადებითი ეფექტი გააჩნია გამოშვებაზე. აღნიშნული მოდელი შემდეგ ორ წინაპირობას ეყრდნობა:

პირველი წინაპირობა მეთოდოლოგიურია. როგორც ლუკასი (Lucas) ამტკიცებდა, ადრინდელი ხაფანგების ასაცილებლად, მაკროეკონომიკური მოდელები მიკროსაფუძვლების – ანუ მუშაკთა სარგებლიანობის მაქსიმიზაციის, ფირმების მოგების მაქსიმიზაციის და რაციონალურ მოლოდინის – ცხადი

გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო აგებული. კომპიუტერული პროგრამების განვითარებამდე ამ ამოცანის გადაწყვეტა რთული ან, საერთოდ, შეუძლებელი იყო: ამგვარად შედგენილი მოდელები იმდენად რთული იქნებოდა, რომ მათი ანალიტიკურად ამოხსნა შეუძლებელი გახდებოდა. ამავე დროს, მაკროეკონომიკური ანალიზის დიდი ნაწილი სწორედ ისეთი მოდელების პოვნაში მდგომარეობს, რომლის ამოხსნაც მარტივი და მოკლე გზებით ადვილად შეიძლება. კომპიუტერული ტექნიკის განვითარებამ ასეთი მოდელების რიცხოვრივი გადაწყვეტა შესაძლებელი გახადა. რეალური ბიზნეს ციკლის თეორიის (RBC) მნიშვნელოვანი წვლილია ამოხსნის მძლავრი რიცხოვრივი მეთოდების განვითარება, რაც უფრო სრულყოფილი მოდელების შემუშავებას შესაძლებელს ხდის;

მეორე ამოსავალი პირობა კონცეპტუალურია. 1970-იან წლებამდე, რყევების დიდი ნაწილი მიჩნეული იყო, როგორც არასრულყოფილების, გამოშვების ფაქტორივი მოცულობის გამოშვების ბუნებრივ მოცულობიდან გადახრის და მასთან მდორე მიახლოების შედეგი. ლუკასის მიმდევარი პრესკოტი სტატიათა ციკლში ამტკიცებდა, რომ რყევები შეიძლება აიხსნას ტექნოლოგიური შოკებით, რომლებსაც ადგილი აქვს კონკურენტულ ბაზრებზე სრულად მოქნილი ფასებისა და ხელფასების პირობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ამტკიცებდა, რომ რეალური გამოშვების ცვლილება შესაძლოა ახსნილიყო, როგორც გამოშვების ბუნებრივი მოცულობის ცვლილება და არა მისგან გადახრა; ის ამტკიცებდა, რომ ახალი აღმოჩენებისთანავე მწარმოებლურობა იზრდება, რაც გამოშვების ზრდას განაპირობებს. მწარმოებლურობის ზრდა ხელფასის ზრდას იწვევს და მუშაკებს შრომის მიწოდების ზრდისაკენ უბიძგებს; მწარმოებლურობის ზრდა იწვევს, როგორც გამოშვების, ისე დასაქმების ზრდას, რასაც ვაკვირდებით კიდევ რეალურ სამყაროში.

კლასიკოსები სიმარტივისათვის უშვებენ, რომ მთავრობის ხარჯების ზრდა ფინანსდება გადასახადების ზრდის ხარჯზე. მთავრობის ხარჯების ზრდის ეფექტი შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი სახით. პირველი, როდესაც ადგილი აქვს მთავრობის ხარჯების ერთჯერად ზრდას და მეორე, როდესაც მთავრობის ხარჯების ზრდას აქვს პერმანენტული სახე. თუ ადგილი აქვს მთავრობის ხარჯების ერთჯერად ზრდას, მაშინ მოხმარების მოცულობა არ იცვლება, რადგან განკარგვადი შემოსავლების შემცირება კომპენსირდება დანაზოგების შემცირებით.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, როცა მთავრობის ხარჯების ზრდა პერმანენტულ ხასიათს ატარებს, მაშინ ადგილი აქვს საოჯახო მეურნეობების მოხმარების შემცირებას და არა დანაზოგების შემცირებას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, სამომხმარებლო ხარჯების შემცირება მთავრობის ხარჯების ნაზრდის ტოლია. ამ კუთხით კლასიკოსები ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკას უარყოფითად აფასებენ, კერძოდ: მთავრობის ხარჯების ზრდა ამცირებს კერძო მოხმარებასა და ინვესტიციებს, რაც მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უშლის ხელს. საზოგადოება შიშობს, რომ სახელმწიფოს მიერ ხარჯების სახაზინო ობლიგაციებით დაფინანსება, გადასახადებისგან განსხვავებით, მომავალ თაობისათვის დიდი ტვირთი იქნება, რადგან მათ გაუზრდიან გადასახადებს ამ ვალის დასაბრუნებლად. კლასიკოსები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ვალის ზრდა მომავალი თაობების „გამარცვის“ ტოლფასია, თუმცა ამ შეფასების დროს ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შიდა და საგარეო სახელმწიფო ვალი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში სახელმწიფო ვალი მართლაც ტვირთი იქნება მომავალი თაობებისთვის, მაგრამ ამის თქმა ნაკლებად შეიძლება საკუთარი მოქალაქეებისთვის გადასახდელ სახელმწიფო ვალზე, ვინაიდან ისინი საკუთარი თავის მოვალეები არიან. თავის მხრივ, მოდილიანი სასიცოცხლო ციკლის თეორიის ფარგლებში განიხილავს თაობებზე ტვირთის გადაკისრების შემთხვევას საშინაო სახელმწიფო ვალის გაზრდისას. მისი აზრით, ბიუჯეტის სესხით დაფინანსება იწვევს კაპიტალის მარაგების შემცირებას. თუკი მოსახლეობის ზრდისა და ტექნოლოგიური პროგრესის ტემპები ნულის ტოლი იქნება, მაშინ აქტივების საერთო მოცულობა მუდმივი იქნება, თუმცა ეს აქტივები მუდმივად იცვლიან მესაკუთრეებს. მთავრობის ხარჯების ზრდა, რომელიც სესხის საშუალებით ფინანსდება, არ მოქმედებს დანაზოგებზე, მაგრამ ამცირდება კერძო კაპიტალის მოცულობას, რაც პერმანენტულ სახეს იძენს. მაშასადამე, მომავალი თაობები იცხოვრებენ შემცირებული კაპიტალის მარაგების პირობებში. ეს მიდგომა რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება, ვინაიდან მასში არ გაითვალისწინება ფაქტორთა ფასების ცვლილება და სახელმწიფო ვალზე პროცენტების გადახდა.

კლასიკურ მიდგომის თანახმად ცვლილებები სახელმწიფო ხარჯებსა და საგადასახადო კანონმდებლობაში გავლენას ახდენს რეალურ ეკონომიკაზე. თუმცა საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება საკმაოდ რთული პროცესია, რადგან

მისი ხშირი ცვლილება საზოგადოებისათვის დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული (თამაშის წესების ცვლილების ხარჯები). ამავე დროს, საგადასახადო პოლიტიკის გატარების დროს ძნელია შეფასდეს ამ პოლიტიკის ზემოქმედების ეფექტი გადასახადების სხვადასხვა სახეობებისა და დაბეგვრის სხვადასხვა ფორმების გამო.

კლასიკურ თეორიაში ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედების ობიექტი შრომის ბაზარია, რის გავლითაც ისგავლენას ახდენს ეკონომიკის მოკლევადიან რყევებსა და გრძელვადიან ზრდაზე. მთავრობის ხარჯების ზრდა გავლენას არ ახდენს საწარმოო ფუნქციასა და შრომის ზღვრულ პროდუქტზე, თუმცა იგი გავლენას ახდენს შრომის მიწოდებაზე და კაპიტალშეიარაღების მდგრად დონეზე. აქედან გამომდინარე, ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია ეკონომიკა კაპიტალშეიარაღების „ოქროს წესით“ განსაზღვრულ დონეზე გადაიყვანოს, თუმცა კაპიტალშეიარაღების ეს დონე შემთხვევით მოვლენას წარმოადგენს. თუ სად იქნება ეკონომიკა საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების შემდეგ, დამოკიდებულია იმაზე თუ სად იმყოფებოდა ეკონომიკა მანამდე. იმის მიხედვით თუ სად მდებარეობს ეკონომიკა - კაპიტალშეიარაღების „ოქროს წესით“ განსაზღვრული დონეზე მაღლა თუ დაბლა - ფისკალური პოლიტიკა ორი ეფექტის მატარებელია: თუ ეკონომიკაში კაპიტალშეიარაღება „ოქროს წესით“ განსაზღვრული დონეზე მაღალია, მაშინ გადასახადების ზრდის შესაძლო შედეგი მოხმარების დონის ზრდა და დანაზოგების შემცირებაა. მაშასადამე, ძლიერია ჩანაცვლების ეფექტი, თუ პირიქით – მაშინ, მოხმარებისა და დანაზოგების დონის ზრდა ხდება შემოსავლების ეფექტიდან გამომდინარე. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალშეიარაღების „ოქროს წესით“ განსაზღვრულ დონეზე გადასვლა დაკავშირებულია ერთი მდგრადი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლის დანახარჯებთან.

კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ მთავრობის ხარჯების ზრდა, დაფინანსების ფორმის მიუხედავად, იწვევს დასაქმებულთა კეთილდღეობის შემცირებას და შრომის მიწოდების ზრდას, რის შედეგად იზრდება წარმოების პოტენციური დონე. აღნიშნული ფისკალური შოკის გავლენა ძლიერდება, მაგალითად, ისეთი მთავრობის ხარჯების შემთხვევაში, როგორცაა სამხედრო ხარჯები, რომლებსაც კერძო სექტორისათვის პირდაპირი სარგებელი არ მოაქვს, ხოლო ისეთი ხარჯები,

როგორცაა სამედიცინო მომსახურება, გზების მშენებლობა და ა.შ. ანაცვლებს კერძო სექტორის ხარჯებს და ნაკლები უარყოფითი ეფექტით ხასიათდება. ამ ეფექტს ეკონომიკურ თეორიაში ცნობილი IS-LM და AD-AS მოდელების ფარგლებში თუ გავანალიზებთ, ვნახავთ, რომ ეკონომიკის სტიმულირების მექანიზმი ერთობლივი მიწოდების გავლით მოქმედებს ეკონომიკაზე. შრომის მიწოდების ზრდა ზრდის პოტენციურ წარმოების დონეს და გადაადგილებს გრძელვადიანი მიწოდების (LRAS, FE) მარჯვნივ. გადასახადების ზრდის შედეგად დაგეგმილი დანაზოგების შემცირება ზრდის საპროცენტო განაკვეთს, რასაც საქონლისა და მომსახურების ბაზარი წონასწორობაში მოჰყავს და IS მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ, ხოლო მოცემული ფასების დონის პირობებში AD მრუდიც მარჯვნივ გადაადგილდება და ეკონომიკა აღმოჩნდება მოკლევადიან წონასწორობაში. თუკი ეკონომიკაში საერთო ეკონომიკურ წონასწორობა არ მიიღწევა, მაშინ დაიწყება ფასების კორექტირების პროცესი. მაშასადამე, LM და SRAS მრუდები გადაადგილდება და ეკონომიკაში აღდება საერთო ეკონომიკური წონასწორობა იმ წერტილში, სადაც წარმოების, საპროცენტო განაკვეთის, ფასებისა და დასაქმების უფრო მაღალი დონე იქნება.

კლასიკოსები ფისკალური პოლიტიკის ანტიციკლური დანიშნულებით გამოყენებას ეწინააღმდეგებიან და თავიანთი მიდგომის დასასაბუთებლად შემდეგი არგუმენტები მოჰყავთ:

პირველი, ფასები და ხელფასები სწრაფად ეგუება ახალ საერთო ეკონომიკური წონასწორობის პირობებს, რაც ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედების მასშტაბს მნიშვნელოვნად ამცირებს, თუმცა ეს არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ სახელმწიფომ უარი თქვას მასტიმულირებელ ფისკალურ პოლიტიკაზე;

მეორე, ეკონომიკური დაცემის დროს, როდესაც ხელფასები, დასაქმება და წარმოების მოცულობა დაბალ დონეზეა, კლასიკურ მოდელში მთავრობის ხარჯების ზრდა წარმოებას ზრდის შრომის მიწოდების ზრდის ხარჯზე. ეს უკანასკნელი კი იზრდება, იმიტომ, რომ ადამიანები ღარიბდებიან. აქედან გამომდინარე, კლასიკური თეორიის მიხედვით, ეკონომიკა სწრაფად მოდის წონასწორულ მდგომარეობაში, ხოლო მთავრობის ხარჯების ზრდით დასაქმების გაზრდა უფრო შეამცირებს ადამიანთა კეთილდღეობას, ვიდრე გააუმჯობესებს. კლასიკოსები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო ხარჯები უნდა გაიზარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მათი

სარგებლიანობა გადასახადის გადამხდელთა ხარჯებს აღემატება. ეკონომიკური დაცემის ფაზაში მთავრობის ხარჯების ზრდა და მათი სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციების გაყიდვით დაფინანსება, მიმდინარე პერიოდში არ შეამცირებს საოჯახო მეურნეობების მოხმარებას, რადგან მათ არ ექნებათ საშუალება იზრუნონ მომავალში ეკონომიკის მოსალოდნელი განვითარების პრევენციაზე. თანაც, რადგან დაცემის ფაზაში დასაქმება დაბალია, კაპიტალაღჭურვის დონე მაღალი იქნება და მოსალოდნელია, რომ იგი აჭარბებდეს კიდევ კაპიტალაღჭურვის „ოქროს წესით“ განსაზღვრულ დონეს. ამ პირობების გათვალისწინებით ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია ეკონომიკური რყევების ნიველირება;

მესამე, ფისკალური პოლიტიკის განხორციელება დაკავშირებულია დროით ლაგებთან. რაც საჭიროა იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეიმუშავოს და მიიღოს გადაწყვეტილება ფისკალური პოლიტიკის ცვლილების შესახებ. იმ დროისათვის, როცა სახელმწიფო საბოლოოდ შეცვლის ფისკალურ პოლიტიკას ეკონომიკური კონიუქტურა ქვეყანაში შეიძლება უკვე მთლიანად შეცვლილი იყოს. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს არა მარტო მომავალი შესაძლო სცენარის მაღალი სიზუსტით პროგნოზირება, არამედ თავად ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების ეკონომიკურ კონიუქტურაზე გავლენის ხარისხის შეფასება.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის პოზიციიდან გამომდინარე, კლასიკოსები ემხრობიან მთავრობის ხარჯების შემცირებას და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის არეალის შეზღუდვას. მთავრობის ხარჯების განსაზღვრის კრიტერიუმი უნდა იყოს ნამდვილი „საზოგადოებრივი დოვლათის“ წარმოება, რომელსაც მოიხმარს მთელი საზოგადოება და არა საზოგადოების გარკვეული ჯგუფები ან/და ცალკეული ინდივიდები (Илларионов 1996, 24-25).

კლასიკური სკოლის წარმომადგენლების იდეები შემდგომში რეალიზებულ იქნა ნეოკლასიკურ თეორიაში, რომლის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, დანიშნულებაა ეკონომიკის ციკლური ფაზების რეგულირება. ნეოკლასიკური სკოლის იდეები ფისკალური პოლიტიკის შესახებ მიწოდების ეკონომიკისა და მონეტარული თეორიის ფარგლებში იქნა განხილული. „მიწოდების თეორიის“ მოდელის

რელიზაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადასახადების შემცირებას და მთავრობის ხარჯების შეზღუდვას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება არტურ ლაფერის (Artur Lafer) ცნობილ მრუდს, რომელიც ასახავს გასაშუალებულ საგადასახადო განაკვეთსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის თანაფარდობას. იმ წერტილის შემდეგ, რომლისთვისაც საბიუჯეტო შემოსავლები მაქსიმუმს აღწევს, გადასახადების ზრდა ამცირებს საგადასახადო შემოსავლებს. ლაფერის ეფექტის მნიშვნელოვნება სხვა კუთხითაც შეიძლება განვიხილოთ კერძოდ, აღსანიშნავია რომ ლაფერის მრუდის არსებობის იდეას ბუნებრივად მივყავართ მცდელობამდე, როგორმე დავადგინოთ მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების მომტანი საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა t^{**} , რომელიც საფუძვლად დაედება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და არსებული საგადასახადო რეჟიმის სრულყოფას. ცალკეულ პერიოდებში გასაშუალებული საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური მნიშვნელობა ცვლილებას განიცდის, რაც იმაც ნიშნავს, რომ იქმნება მრუდების ეთობლიობა, რომელიც ლაფერის მიწოდების მრუდის ფუნქციაში $Y^s = Y^s(t, \delta)$, ერთმანეთისაგან δ პარამეტრის მნიშვნელობით (ან რაც იგივეა, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის t^* მნიშვნელობით) განსხვავდება (ანანიშვილი, პაპავა 2009, 141-146).

„მიწოდების ეკონომიკის“ თეორიის მიმდევრების დამოკიდებულება ფისკალური პოლიტიკის მეორე ინსტრუმენტის - მთავრობის ხარჯების მიმართ იმის ანალოგიურია, რაც მათ საგადასახადო მექანიზმის გამოყენების მიმართ გააჩნიათ. მათი ანალიზის ამოსავალი წერტილია მთავრობის ხარჯების ზრდასა და ინფლაციას შორის არსებული მჭიდრო კავშირი. აღნიშნული მიდგომით, მთავრობის ხარჯების მეტისმეტი ზრდა იწვევს საბიუჯეტო დეფიციტის გადიდებას. ეს უკანასკნელი კი წარმოშობს გაზრდილ სახელმწიფო ვალს, რამაც შეიძლება შექმნას ნოყიერი ნიადაგი ქვეყანაში ინფლაციური პროცესების განვითარებისათვის. ამიტომ ინფლაციის შემცირებისთვის ისინი აუცილებლად მიიჩნევენ მთავრობის ხარჯების შემცირებას, განსაკუთრებით, სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების შეზღუდვას, რადგან სწორედ სოციალური ხარჯები არის „ინფლაციური გენის“ მატარებელი. მაგრამ მთავრობის ხარჯების შემცირება, თავის მხრივ, აბრკოლებს ეკონომიკურ ზრდას.

წარმოების გაფართოებას და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას კი ხელი უნდა შეუწყოს ფისკალური პოლიტიკის მეორე ბერკეტის - გადასახადების შემცირებამ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მიწოდების ეკონომიკის“ თეორია არათუ უარყოფს ფისკალური პოლიტიკის, როგორც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტის გამოყენებას, არამედ მიიჩნევს მას აქტიურ და ქმედით ღონისძიებათა სისტემად. ამავე დროს, კეინზიანური და ნეოკეინზიანური თეორიებისაგან განსხვავებით, „მიწოდების ეკონომიკის“ თეორია მიიჩნევს, რომ ფისკალური პოლიტიკა, ერთი მხრივ, გადასახადების შემცირების კვალობაზე უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, მეორე მხრივ კი მთავრობის ხარჯების შეზღუდვით ასტიმულირებს ანტიინფლაციურ პროცესებს.

ფისკალურ პოლიტიკაზე „მიწოდების ეკონომიკის“ თეორიის მომხრეთა შეხედულებებისაგან არსებითად განსხვავდება მონეტარისტული ეკონომიკური სკოლის შეხედულებები. მონეტარისტულ თეორიაში, კეინზიანური, ნეოკეინზიანური და „მიწოდების თეორიისაგან“ განსხვავებით, დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება ფისკალურ პოლიტიკას. მონეტარისტებისათვის ფისკალური პოლიტიკის ბერკეტების - გადასახადებისა და მთავრობის ხარჯების - გამოყენებას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მათი მეშვეობით შესაძლებელია ფულის მასაზე ზემოქმედება. ამდენად, მონეტარისტული მიდგომით ეკონომიკური სტაბილიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს ეფექტიანი და მოქნილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, ხოლო ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია მხოლოდ „დაეხმაროს“ ეკონომიკას ფულის მასით რეგულირების პროცესში.

კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს ასევე ეკუთვნით იდეა ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას მთავრობისათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესახებ, რაც გულისხმობს ყოველწლიურად დაბალანსებული ბიუჯეტის არსებობას ან გარკვეული საზღვრების დაწესებას საბიუჯეტო დეფიციტზე, სახელმწიფო ვალზე, ასევე ფულის მასის რეგულირების ზომაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კლასიკური სკოლის წარმომადგენლების იდეები სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ შეგვიძლია შემდეგი სახით შევაჯამოთ:

✓ სახელმწიფომ მინიმალური როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკის რეგულირების პროცესში;

✓ ეკონომიკაში წონასწორული მდგომარეობა მიიღწევა სრული დასაქმების პირობებში, რაც ნიშნავს იმას, რომ წონასწორული ხელფასისას ყველა დასაქმებულია ვისაც არსებული ხელფასი აწყობს, ხოლო ვისაც არ აწყობს, ის ნებაყოფლობით ხდება უმუშევარი;

✓ ბიზნეს ციკლების შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს მინიმალური როლი და ფისკალური პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანია.

1.2. ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური როლის გენეზისი:

კეინზიანური თეორია და მისი ევოლუცია

მაკროეკონომიკურ ჭრილში ფისკალური პოლიტიკის ანალიზი სათავეს იღებს ჯონ მეინარდ კეინზის ნაშრომიდან „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“. აღნიშნული ნაშრომის გამოცემამ ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა და გაზარდა ფისკალური პოლიტიკის როლი ეკონომიკის სტიმულირების პროცესში. ფისკალური პოლიტიკის კეინზიანურმა თეორიამ უარყო მანამდე არსებული მიდგომა დაბალანსებული ბიუჯეტის უპირატესობის შესახებ და ერთ-ერთ მთავარ საკითხად აქცია საბიუჯეტო დეფიციტის (შესაბამისად, პროფიციტის) პრობლემა. აღნიშნული თეორია ერთმანეთისაგან მიჯნავს ფისკალური პოლიტიკის ორ სახეობას. ესენია: ავტომატური ანუ „ჩაშენებული სტაბილიზატორების“ პოლიტიკა და დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა. „ჩაშენებული სტაბილიზატორების“ ქვეშ მოიაზრება ისეთი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ავტომატურად რეაგირებს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებაზე და არ საჭიროებს მთავრობის მხრიდან რაიმე დამატებითი ღონისძიების გატარების აუცილებლობას. ასეთ სტაბილიზატორებს მიეკუთვნება: პროგრესული საგადასახადო სისტემა, საპროცენტო განაკვეთის, ფასების დონისა და წარმოების რეალური მოცულობის ცვლილებების ავტომატური მექანიზმები. იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში აღნიშნული სტაბილიზატორები ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების ოპტიმალურ მართვას, წარმოიშობა ე.წ. დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის გამოყენების აუცილებლობა.

კეინზის თეორიის პოსტულატები წარმოადგენს მისი წინამორბედების თეორიული შედეგების გააზრებისა და ახალი მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობისა და უპირატესობების ნათელ დადასტურებას. კეინზის თეორია გულისხმობს კლასიკოსების მიერ შექმნილ “ზორბალზე” ეკონომიკის ისეთი სახით რეგულირებას, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური კრიზისები. ასეთი მარეგულირებლები სახელმწიფოს გააჩნია საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო ბერკეტების სახით. კეინზის თეორიას ხშირად ერთობლივი მოთხოვნის თეორიად განიხილავენ, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ მასში ბაზრის რეგულირების მთავარი ინსტრუმენტი არის მთავრობის მხრიდან საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებით ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება. კეინზი, მისი მასწავლებლის, ა. მარშალისაგან განსხვავებით მიიჩნევს, რომ კაპიტალიზმის ნაკლოვანებები გამოიხატება მის უუნარობაში შინაგანი ძალით ებრძოლოს კრიზისებსა და უმუშევრობას. კეინზის მიხედვით ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა.

კეინზიანური თეორია ეყრდნობა რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპსა და ჰიპოთეზას.

პრინციპებს შორის აღსანიშნავია:

✓ ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ეკონომიკური გადაწყვეტილება, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორის მხრიდან. კერძო სექტორის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გააუარესოს ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა, იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური კრიზისების პერიოდში მოსახლეობის მიერ ხდება მიმდინარე მოხმარების შემცირება. აღნიშნული ჩავარდნები, სახელმწიფოს უბიძგებს აქტიური ფისკალური პოლიტიკის წარმართვისაკენ, რაც ფისკალურ სტიმულებში გამოიხატება;

✓ ფასები და ხელფასი ნელა რეაგირებს მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებაზე;

✓ ცვლილებებს ერთობლივ მოთხოვნაში, აქვს უფრო მაღალი მოკლევადიანი ეფექტი რეალურ გამოშვებასა და დასაქმების დონეზე, ვიდრე ფასებზე. ფასები ზოგჯერ არის ხისტი და მცირედი ცვლილება დანახარჯების ნებისმიერ ელემენტში

(მოხმარება, ინვესტიციები და სახელმწიფო ხარჯები), იწვევს გამოშვების დონის ცვლილებას.

ჰიპოთეზებს წარმოადგენს:

✓ ეფექტური მოთხოვნის ჰიპოთეზა. წონასწორობა მიიღწევა არა ფასების მოქნილობით, არამედ იმ ცვლადების ცვლილებით, რომლებიც მოქმედებენ ეფექტურ მოთხოვნაზე. არასრული დასაქმების მიზეზი საქონელსა და მომსახურებაზე არასაკმარისი ეფექტიანი მოთხოვნაა, რაც უმეტესწილად გამოწვეულია ინვესტიციების უკმარისობით, რომლის მიზეზი მაღალი საპროცენტო განაკვეთია;

✓ ფულზე მოთხოვნა შესდგება ტრანსაქციული და სპეკულაციური მოტივებისაგან;

✓ ხისტი ნომინალური ხელფასები;

✓ ხისტი ფასები.

კეინზიანელებმა შექმნეს შერეული ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კონკრეტული მეთოდი და ფორმები. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ყველაზე უფრო ცნობილი მეთოდი ანტიციკლური პოლიტიკის სახელწოდებით არის წარმოდგენილი, რომელსაც ხშირად იყენებენ, როგორც ეკონომიკის რეგულირებისათვის, ასევე ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. ანტიციკლური პოლიტიკა ეყრდნობა სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახადო პოლიტიკის და პროცენტის ნორმის რეგულირებას.

კეინზიანელები ეკონომიკური დაქვეითების პროცესში მოგვიწოდებენ ინვესტიციების სტიმულირებისაკენ, რომლისათვის აუცილებელია შემდეგი:

1. სახელმწიფო დანახარჯების ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს არასაკმარისი მოთხოვნის სტიმულირებას;

2. პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციების სტიმულირებას ეკონომიკაში ფულის მასის ზრდის გარეშე;

3. საინვესტიციო პროცესებზე ზემოქმედება გადასახადების მეშვეობით, იმისათვის, რომ გაიზარდოს, როგორც საწარმოო, ისე სამომხმარებლო მოთხოვნა.

კეინზის მიხედვით რეგულირების პროცესში მთავარი როლი ეკუთვნის სახელმწიფო დანახარჯებს, რომლის მთავარი მიზანი არის ეფექტური მოთხოვნის ზრდა და ხელსაყრელი პირობების შექმნა კერძო კაპიტალდაბანდებისათვის.

სახელმწიფო დანახარჯების მთავარ ორიენტირად აღებულ უნდა იქნას სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, სახელმწიფო და საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნა.

კეინზის იდეაზე დაყრდნობით ჯონ ჰიკსმა (John Hicks) 1937 წელს შეიმუშავა ყველასთვის კარგად ცნობილი IS-LM მოდელი (დახურული ეკონომიკის ზოგადი მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი). ჰიკსის მიხედვით კეინზიანური თეორია აანალიზებს ცალკეულ შემთხვევებს ეკონომიკაში და არ ემსახურება კლასიკური ეკონომიკური სკოლის იდეების განზოგადოებას. უფრო მეტიც, კეინზიანური მოდელი წარმოადგენს კლასიკური სკოლის იდეების განვითარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკაში ადგილი აქვს ლიკვიდურობის ხაფანგის უპირატესობას. ჰიკსის აღნიშნავს, რომ ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა დიდი დეპრესიის პერიოდში. ჰიკსის მიხედვით კეინზიანური ხედვა წარმატებულია და აჩვენებს ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას ეკონომიკური ციკლების პერიოდში (De Vroey 2016).

ჰიკსის მოდელი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ფრანკო მოდელიანის და ალვინ ჰანსენის (Alvin Hansen) თეორიების შედეგად, რომლებიც ერთმანეთთან აპირისპირებს ორ სუბ-მოდელს: კეინზიანურსა და კლასიკურს (Modigliani 1944, Hansen 1953).

ჰიკსის მიერ შემოთავაზებული მოდელი შემდგომში გაანალიზებულ იქნა პოსტ-კეინზიანური სკოლის წარმომადგენლების მიერ. ამ სკოლის იდეები შესწავლილ იქნა ტონი ტირლვალის (Tony Thirlwall) მიერ, რომელმაც თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა შემდეგი ექვსი პუნქტის სახით (Thirlwall, 1993):

1. დასაქმებისა და უმუშევრობის დონე განისაზღვრება საქონლისა და სამუშაო ძალის ბაზრებზე;
2. იძულებითი უმუშევრობის არსებობა დაკავშირებულია ეფექტური მოთხოვნის სიმცირესთან;
3. კავშირი ერთობლივ ინვესტიციებსა და ერთობლივ დანაზოგებს შორის არის ფუნდამენტური. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იწყება ინვესტიციებიდან და შემდეგ გადადის დანაზოგებში და არა პირიქით;

4. მონეტარული ეკონომიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ბარტერული ეკონომიკისაგან: ფული არ არის ნეიტრალური, ხოლო ფინანსები და ვალი მნიშვნელოვანი ინგრედიენტებია;

5. ფულის რაოდენობრივ თეორიას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება შემდეგი სამი მიზეზიდან გამომდინარე:

5.1. ფული არის ენდოგენური ცვლადი;

5.2. გაცვლის ტოლობის ($MV=PT$) მიზეზ-შედეგობრიობა იწყება მარჯვნიდან-მარცხნივ და არა პირიქით;

5.3. ფულის ბრუნვის სიჩქარე არ არის მუდმივი;

6. კაპიტალისტური ეკონომიკა იმართება ინვესტორების „ცხოველური ინსტიქტით“, რომელიც განსაზღვრავს ინვესტიციების დონეს.

ტრილვალის მიერ შემოთავაზებული იდეები შემდგომში გაზიარებულ იქნა პოსტ-კეინზიანური სკოლის წარმომადგენლების მიერ. კერძოდ:

1. პოლ დავიდსონის (Paul Davidson) მიხედვით, კეინზმა მოახდინა სამი მნიშვნელოვანი აქსიომის იდენტიფიკაცია „კლასიკურ“ თეორიაში:

ა) მომავალზე შეიძლება გავლენა მოახდინოს წარსულმა;

ბ) ერთობლივი ცვლილებები (ფასების მოქნილობა უზრუნველყოფს ყველა ბაზრის წონასწორობას) და

გ) ფულის ნეიტრალურობა (კლასიკური დიქოტომია: ფული გავლენას ახდენს ფასებზე და არა გამოშვებასა და დასაქმებაზე). დავიდსონი აღნიშნულ იდეებს არ იზიარებს და მიანიშნებს, რომ ჩვენს ვცხოვრობთ მნიშვნელოვანი გაურკვევლობის პირობებში და მომავალი არ შეიძლება იყოს დამოკიდებული წარსულზე, ასევე, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების იდეაც მცდარია, რადგან ფასების მოქნილობა არ უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას. ფული არ არის ნეიტრალური და ის გავლენას ახდენს გამოშვებასა და დასაქმებაზე. დავიდსონი, ისევე როგორც კეინზი, მხარს უჭერს ეფექტური მოთხოვნის იდეას, რომლისთვისაც აუცილებელია აქტიური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.

2. მიხეილ კალეცკის (Micha Kalecki) თეორიის (ორი კრიზისის მოდელი) მიხედვით, დასაქმებულებსა და კაპიტალის მფლობელებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვანია და კაპიტალისტების მიერ გაწეული ხარჯები არის ბიზნეს

ციკლების მთავარი გასაღები (Kalecki 1954). კალეცკის მიერ შემუშავებულ იქნა მარტივი შემოსავალ-ხარჯის მოდელი (დახურული ეკონომიკისთვის, მთავრობის გარეშე), სადაც მთლიანი შემოსავლები ტოლია კაპიტალისტების მიერ გაწეული ხარჯების. კეინზისა და კალეცკის თეორიები რამდენიმე მნიშვნელოვან საერთო ელემენტს შეიცავს: პირველი, ორივე მათგანი ერთობლივ მოთხოვნას ეკონომიკური აქტიურობის ცვლილების მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს და უარს ამბობს მონეტარულ ეკონომიკაში სეის კანონის გამოყენების მართებულობაზე; მეორე, ორივე მეცნიერი ერთმანეთისაგან განასხვავებს სამომხმარებლო და ინვესტიციურ ხარჯებს და ამ უკანასკნელს განიხილავს მოთხოვნის განმსაზღვრელ აქტიურ და ცვალებად კომპონენტად; მესამე, ორივე ეკონომისტის აზრით, ფასების დონე განისაზღვრება მწარმოებელთა მიერ, რომლებიც საკუთარი მოგების მაქსიმიზაციას ცდილობენ. მწარმოებლები ასევე განსაზღვრავენ ხელფასის დონეს, რომელიც ყალიბდება არა შრომის, არამედ საქონლისა და მომსახურების ბაზარზე. საერთო შეხედულებებთან ერთად, კეინზისა და კალეცკის მოსაზრებები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ელემენტებსაც შეიცავს, რამაც შემდგომში განაპირობა პოსტკეინზიანური მიმართულების შიგნით პოზიციათა დიფერენციაცია. საუბარია შემდეგ განსხვავებებზე: კეინზი მიიჩნევს, რომ ეკონომიკა წარმოდგენილია უპირატესად ატომისტური კონკურენტული ბაზრების ერთობლიობის სახით, კალეცკი კი ოლიგოპოლიური ბაზრებისგან შემდგარი ეკონომიკის ანალიზს ანიჭებს უპირატესობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კეინზი ყურადღებას ამახვილებს ფირმის მზარდ ზღვრულ დანახარჯებზე, კალეცკი კი - მუდმივ ზღვრულ დანახარჯებზე. განსხვავებულია ავტორთა შეხედულებები საბაზრო ეკონომიკაში ფულის ბუნების თაობაზე. კეინზი თვლის, რომ ფული იქმნება და კონტროლდება ცენტრალური ბანკის მიერ (აქვე შევნიშნავთ, რომ თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში “ტრაქტატი ფულის შესახებ” კეინზი დასაშვებად მიიჩნევდა ფულის შექმნას კერძო ბანკების მიერ). კეინზისაგან განსხვავებით, კალეცკი ფულს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს და, ამასთანავე, მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ფულს იქმნება კერძო საბანკო სისტემაში; კეინზი უშვებს ბაზარზე წონასწორობის არსებობას, კალეცკის ანალიზი კი მთლიანად ემყარება ეკონომიკის ციკლური მერყეობის დაშვებას; დასახელებულ ავტორებს განასხვავებს მომავლის მოლოდინისა და

წინასწარი განჭვრეტისადმი განსხვავებული დამოკიდებულება, თუმცა ორივე ეკონომისტი მოლოდინს განიხილავს იმ ცვლადის სახით, რომელიც მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული, როგორც წარსული გამოცდილებით, ისე აწმყოში შექმნილი მდგომარეობით. ამასთანავე, კეინზი მომავლის შეცნობის შესაძლებლობას აღიარებს, კალეცკი კი – არა;

3. კალეცკის მიერ შემოთავაზებული იდეა შემდეგში განავითარა ჰიმან მინსკმა (Hyman Minsky) ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზის ფარგლებში. მინსკის თეორიის მიხედვით აუცილებელია ფინანსური ბაზრების მუდმივი კონტროლი, დიდი დეპრესია იყო შედეგი ფინანსურ ბაზრებში არსებული რეგულაციების დაბალი დონისა და მთავრობის სისუსტის. მისი აზრით ყველა გამოწვევის პასუხი შეიძლება იყოს „დიდი მთავრობის“ არსებობა ეკონომიკაში.

აღსანიშნავია, რომ პოსტ-კეინზიანელების მიდგომებზე დაყრდნობით ნეოკეინზიანელებმა შექმნეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გლობალური მოდელი. ნეოკეინზიანელებმა ფულს, ფინანსებსა და კრედიტებს დაუმატეს ისეთი საფინანსო აგრეგატები, როგორცაა: გადასახადები, სახელმწიფოს ხარჯები, საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალი.

ნეოკეინზიანელები გვთავაზობენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სამ ძირითად მეთოდს:

1. სტაბილურობის მეთოდი;
2. კომპენსირებისა და კონტროლისძიებების მეთოდი;
3. კომპენსირების, მართული პროგრამების მეთოდი.

პირველი მეთოდის დროს სტაბილიზატორები მოქმედებენ მომენტალურად, ყოველგვარი სპეციალური კანონებისა და დადგენილების გარეშე, რომლებიც ავტომატურად რეაგირებენ ციკლურ რყევებზე და არიდებენ მათ ეკონომიკას. ასეთ სტაბილიზატორებს, ნეოკეინზიანელების აზრით, განეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, სოციალური დაზღვევის გადასახადი, დახმარებები უმუშევრებისათვის და ა.შ. აღნიშნული სტაბილიზატორები ავტომატურად მოქმედებენ ციკლური მოძრაობის სხვადასხვა ფაზაში. კერძოდ, არ იცვლება მათი განაკვეთები, იცვლება გადასახადის ან გადასახადელის საერთო თანხის მოცულობა ადმავლობის (ბუმის) დროს იზრდება, კრიზისა და დეპრესიის დროს მცირდება. სახელმწიფოს

დახმარებებისა და გადასახდელების ასეთი სახის ცვლილება ავტომატურად არეგულირებს” ეფექტიან მოთხოვნას”. ნეოკეინზიანელების აზრით კომპენსირებული საფინანსო პოლიტიკის დროს სახელმწიფომ მეორე და მესამე მეთოდის გამოყენებით თავის თავზე უნდა აიღოს იმ გარღვევების კომპენსირება, რომლებიც წარმოიშობა წარმოების დინამიკასა და გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის. ამასთან, მან უნდა გამოიყენოს გადასახადები (პირდაპირი და არაპირდაპირი) და სახელმწიფო ხარჯები. ჰაროდის (Roy Forbes Harrod) აზრით, საკითხისადმი ასეთი მიდგომა უზრუნველყოს საბიუჯეტო თანხების სიჭარბეს ბუმის პერიოდში და დეფიციტს დეპრესიის პერიოდში. თავის მხრივ, ჰიკსი საკმარისად არ თვლის ფულად-საკრედიტო რეგულირების კეინზის მიერ რეკომენდირებულ მეთოდებს და მოითხოვს დამატებით სხვადასხვა ფისკალური და საგადასახადო ღონისძიებების გატარებას. მისი აზრით საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფოს ვალი სულაც არ არის ბოროტება, როგორც ეს კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ. ჰანსესი (Alvin Harvey Hansen) აცხადებს, რომ “მზარდი ფედერალური ვალი კი არ დაანგრევს, არამედ გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკას“. ნეოკეინზიანელების მიერ ასევე გაანალიზებულ იქნა კეინზიანური „ჩამენებული სტაბილიზატორების“ თეორია, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც ფისკალური პოლიტიკის და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის განაწილება-გადანაწილების ინსტრუმენტი, მთავარ ფუნქციად მიჩნევს ეკონომიკური ციკლის ფაზების რეგულირებას. მათი აზრით, ეკონომიკური სისტემის წონასწორული მდგომარეობის მიღწევისა და შენარჩუნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო ხარჯები, ასევე გადასახადები, ხოლო მათი გამოყენება უნდა მოხდეს ეკონომიკური ციკლის ფაზების ცვალებადობის შესაბამისად. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის პირობებში სახელმწიფომ უნდა გაზარდოს გადასახადების განაკვეთები, ამის საპირისპიროდ შეამციროს სახელმწიფო ხარჯები, რათა მოახდინოს გარკვეული ფინანსური რეზერვის (თანამედროვე გაგებით, საბიუჯეტო პროფიციტის) ფორმირება, რომელსაც გამოიყენებს ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ნეოკეინზიანელები ფისკალურ პოლიტიკას განხილავენ, როგორც ეკონომიკის ანტიინფლაციურ ბერკეტს, რაც გულისხმობს ინფლაციის ტემპების შესამცირებლად გადასახადების განაკვეთების გაზრდას.

ფისკალური პოლიტიკის ანალიზში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ახალი კეინზიანური სკოლის წარმომადგენლებმაც, რომლებმაც შეიმუშავეს დინამიკურ-სტოქასტური ზოგადი წონასწორობის მოდელი (Dynamic Stochastic General Equilibrium (DSGE) Model), რაც გვაძლევს იგივე ვარაუდებს, როგორსაც რეალური ბიზნეს ციკლის მოდელი. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ორივე მოდელში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთა მოლოდინებს მომავლის მიმართ, თუმცა, რეალური ბიზნეს ციკლის მოდელის საწინააღმდეგოდ, რეალური ხელფასი ახალ კეინზიანურ მოდელში იზრდება სახელმწიფო მოხმარების დადებითი შოკის შემდეგ (Pappa 2009). ხოლო, როდესაც საპროცენტო განაკვეთი მკაცრად ფიქსირებულია, გამოშვებაზე მთავრობის ხარჯების დადებითი ეფექტი გაზრდის მოსალოდნელ ინფლაციას (Christiano, Eichenbaum, Rebelo 2009). ასეთ ეკონომიკაში მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორის მაჩვენებელი მაღალია, ეს მაშინ, როდესაც მთავრობის ხარჯების ზრდა ღია ეკონომიკის (სტანდარტულ DSGE) მოდელში გავლენას ახდენს გაცვლით კურსზე და აუარესებს ქვეყნის სავაჭრო ბალანსს (Gaber, Gruevski, Gaber 2013).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ კეინზიანური თეორია და მისი მიმდინარეობები თავიდანვე ორიენტირებული იყო მოკლევადიანი წონასწორობის მიზეზების ანალიზზე, გამოუყენებელი რესურსების მნიშვნელოვანი მოცულობის პირობებში. შემთხვევითი არაა, რომ კეინზის ერთ-ერთი მთავარი ნოვაცია იყო იძულებითი უმუშევრობის ცნება. მოთხოვნა გვევლინება იმ ძალად, რომელსაც შეუძლია არსებული, მაგრამ გამოუყენებელი რესურსების ამოქმედება. კეინზი წერდა, რომ პრობლემა ის კი არ არის, რომ დავადგინოთ, რომელ დარგებში და როგორ გამოვიყენოთ რესურსები (ამ საკითხში იგი კლასიკოსებს ეყრდნობოდა), არამედ ის, რომ გავიგოთ, რაზეა დამოკიდებული არსებული რესურსების გამოყენების დონე. კეინზის მიხედვით, ეკონომიკისთვის საფრთხე „პასიური“ დანაზოგებიდან მოდიოდა, რომლებიც ძალზე დიდია იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს წარმოების დონეს სრული დასაქმების პირობებში. შესაბამისად, გადასახადები განიხილება, როგორც ეკონომიკური აგენტების განკარგვადი შემოსავლიდან გამოქვითვა, ხოლო მათი ზრდა კი წარმოებისა და დასაქმების ზრდის წინააღმდეგ მოქმედი ფაქტორი. გარდა ამისა, გადასახადებს შეუძლია ზემოქმედება

მოახდინოს „პასიური“ დანაზოგების შემცირებაზე, იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება სახელმწიფოს პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული გადანაწილების ეფექტები, აგრეთვე, სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის სახელმწიფოს, დანახარჯებისადმი მიდრეკილება.

კეინზიანური მიდგომის თანახმად, გადასახადების განაკვეთის შემცირება მოხმარების ზრდას განაპირობებს, მოკლევადიან პერიოდში სამომხმარებლო ხარჯების მატება საქონლისა და მოხმარებაზე მოთხოვნის, ანუ წარმოების მოცულობისა და დასაქმების ზრდას იწვევს. ამასთან, მოხმარების ზრდით გამოწვეული დანაზოგების შემცირება ინვესტორებს შორის კონკურენციას ამწვავებს, რაც საბოლოო ჯამში, საპროცენტო განაკვეთის მომატებამდე მიგვიყვანს. ეს, თავის მხრივ, სამამულო ინვესტიციებს შეუშლის ხელს და უცხოური კაპიტალის იმპორტს მისცემს სტიმულს. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის ეს ეფექტი, რა თქმა უნდა, უარყოფითი ბუნებისაა, მაშინ როცა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის იგი აშკარად სასურველი დადებითი მომენტის მატარებელია: პირველი, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება წარმოებრივი სიმძლავრეების დასატვირთავად საჭირო თანხების გამონთავისუფლებას უწყობს ხელს, მეორე, მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქტის საწარმოებლად სწორედ უცხოური ინვესტიციებია საჭირო (პაპავა 2005, 127). გადასახადების შემცირების ზემოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე ცალსახად არ არის განსაზღვრული. ეკონომიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ სიტუაციას, როდესაც გადასახადების გაზრდა გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას, ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია შინამურნეობების მხრიდან მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას (b) და სახელმწიფოს მხრიდან მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას (g) შორის თანაფარდობაზე. შესაძლებელია, რომ ეკონომიკაში სხვადასხვა სიტუაციებში ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ შემდეგი კომბინაციებიდან: $b > g$; $b < g$; $b = g$ (ანანიშვილი, პაპავა 2009, 27-36).

1.3. ახალი ეკონომიკური კონსენსუსის თეორიის ჩამოყალიბების საწყისები

1980-1990-იან წლებში დისკუსიები მთავრობის ეკონომიკური როლის შესახებ, განსაკუთრებით კი ახალ კლასიკოსებს და ახალ კეინზიანელებს შორის, მწვავე იყო. ახალი კეინზიანელები ახალ კლასიკოსებს აბრალებდნენ, რომ ისინი რყევების არარეალურ განმარტებებს ეყრდნობოდნენ და მის ამკარა ნაკლოვანებებს იგნორირებას უწევდნენ; ახალი კლასიკოსები, თავის მხრივ, ზოგიერთი კეინზიანური მოდელის ad hoc (ამ მიზნისათვის სპეციალურად შერჩეულ) ბუნებას აღნიშნავდნენ. მაკროეკონომიკა უფრო საბრძოლო ველს ჰგავდა, ვიდრე მეცნიერების დარგს. ბოლო პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა და სინთეზის წინამძღვრებიც გამოჩნდა. მეთოდოლოგიურად ეს რეალური ბიზნეს ციკლის მოდელების აგებაზე და ფირმებისა და ადამიანების ქცევის ოპტიმიზაციის პრობლემების ფრთხილ აღწერაზე აისახა. კონცეპტუალურად ეს, რეალური ბიზნეს ციკლის მიდგომასა და ეკონომიკური ზრდის თეორიაში ტექნოლოგიური პროგრესის ტემპის ცვლილების პოტენციურ მნიშვნელობას აღიარებს. თუმცა, ის ასევე ითვალისწინებს ბევრ ნაკლს, რომელიც ახალი კეინზიანელების მიერაა მითითებული: გამოშვებაზე ერთობლივი მოთხოვნის ზემოქმედების ფორმირებაში ხელფასების განსაზღვრისას მოლაპარაკებების როლიდან დაწყებული საკრედიტო და ფინანსურ ბაზრებზე არასრულყოფილი ინფორმაციისა და ნომინალური სიხისტის როლით დამთავრებული. არ არსებობს თანხვედრა ერთი მოდელის ან მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების ერთიანი ჩამონათვალის შესახებ, მაგრამ არსებობს ფართო შეთანხმება შემდგომი მუშაობის სტრუქტურასა და მიმართულებაზე.

ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ეკონომიკურ ციკლებზე გავლენის მნიშვნელოვნება არის ძირითადი წყალგამყოფი ცალკეული სკოლის წარმომადგენლებს შორის, თუმცა ბოლო პერიოდში ცალკეული მეცნიერის მიერ მოხდა მაკროეკონომიკური პოლიტიკის გადაფასება და საერთო შეხედულების ჩამოყალიბება. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური კონსენსუსის თეორია სათვეს იღებს ნეოკლასიკური სინთეზიდან და დღემდე ვითარდება. ეს არის შეხედულება, რომელიც მიიჩნევს, რომ მიკროეკონომიკური საფუძვლები განსაზღვრავს მაკროეკონომიკურ შედეგებს. ეკონომიკაში უმუშევრობის და გამოშვების დონის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ყველა მაკროეკონომიკური მოდელი ადეკვატურად ითვალისწინებდეს რაციონალური მოლოდინის საფუძველზე მიღებულ

ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან გადახრა შეიძლება განაპირობოს ინდივიდების რაციონალურმა გადაწყვეტილებებმა. გამოშვების ბუნებრივი დონე კეინზიანურ მოდელში არის ის სიდიდე, რომელიც სრული დასაქმების პირობებში მიიღწევა. უფრო მეტიც, ეს არის გამოშვების ის დონე, რომელსაც ადგილი აქვს ფასებისა და ხელფასის სრული მოქნილობის პირობებში, ხოლო მოკლევადიან პერიოდში, უმუშევრობის ეს დონე არ იწვევს ინფლაციას (Leith, Wren-Lewis 2005).

ფისკალური პოლიტიკის ევოლუციურ განვითარებას ბიძგი მისცა დიდი დეპრესიის შემდგომმა პერიოდმა, როდესაც მოხდა მისი ანტიციკლური ხასიათის განსხვავებული ანალიზი და ახალი შეხედულებების ჩამოყალიბება, რომელთა შორის აღსანიშნავია:

✓ ეკონომიკის სტიმულირებისათვის ფისკალური პოლიტიკა გახდა ერთადერთი ხელმისაწვდომი საშუალება, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკონომიკური დაცემისა და ფინანსური კრიზისების დროს, მაშინ როცა საპროცენტო განაკვეთი აღწევს ნულოვან (ნომინალურ) მაჩვენებელს, ფისკალური მულტიპლიკატორის მნიშვნელობა კი მაღალია (DeLong, Summers 2012);

✓ მოლოდინები, დაკავშირებული კრიზისის ხანგრძლივობასთან, ერთი მხრივ, არ წარმოადგენს კრიტიკის საფუძველს ლაგის ეფექტის გამო, რომელიც ხელს უწყობს უფრო აქტიური ფისკალური პოლიტიკის გატარებას. მეორე მხრივ, ფისკალური ბერკეტებით ეკონომიკის სტიმულირება ნაკლებად ეფექტიანია მაღალი საბიუჯეტო დეფიციტის მქონე ქვეყნებში, დაბალი საბიუჯეტო დეფიციტის მქონე ქვეყნებთან შედარებით (Blanchard, Giovanni, Mauro 2010).

ახალი ეკონომიკური კონსენსუსის თეორია ფისკალურ პოლიტიკას განიხილავს როგორც დეფლაციასთან ბრძოლის ეფექტიან საშუალებას. როგორც წესი, მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის ავტორებს შეიძლება ჰქონდეთ დაბალანსებული ბიუჯეტიდან გადახრის მიზეზი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეკონომიკაში შეიმჩნევა რეცესია. რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდს, შიდა ვალის სიდიდე შენარჩუნებულ უნდა იქნას სტაბილურ და მართვად დონეზე (Bernanke 2003). ფისკალური პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე ემყარება დეფიციტური ხარჯვის დადებით შედეგებს. ამ მიდგომის გარშემო არაერთი

შეხედულება არსებობს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად შეგვიძლია მივიჩნიოთ ვუდფორდის (Woodford) კვლევა „ფისკალური თეორია და ფასების დონე“, რომელმაც ხელახლა გაანალიზა (Woodford 1998):

1. მთავრობის ხარჯებისა და ვალის გავლენა მომხმარებლების ქცევასა და მოლოდინებზე;
2. მთავრობის ხარჯების დაფინანსების მეთოდები;
3. ფისკალური პოლიტიკის გავლენა საბანკო სისტემასა და ცენტრალური ბანკის პოლიტიკაზე.

ახალი ეკონომიკური კონსენსუსის თეორიის განვითარებაში, ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ასევე ბენ ბერნანკემ (Ben Bernanke), რომელმაც შეიმუშავა ძირითადი მიდგომები IS-მრუდზე, ფილიპსის მრუდსა და ტაილორის წესზე დაყრდნობით. ბერნანკეს მიხედვით ეკონომიკური რყევების პერიოდში ფისკალურ პოლიტიკას უნდა ჰქონდეს დომინანტი პოზიცია და მონეტარული პოლიტიკა უნდა იყოს თანხვედრაში მასთან. თუ ერთმანეთს შევადარებთ ბერნანკესა და ვუდფორდის შეხედულებებს დავინახავთ, რომ ეს ორი მიდგომა ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს არის, მიუხედავად იმისა, რომ ბერნანკე ხაზს უსვამს ფულის მიწოდების ზრდის მნიშვნელობას ეკონომიკის სტიმულირებაში. მართალია, ვუდფორდიც იზიარებს ფულის და ფასიანი ქაღალდების ეფექტს, მაგრამ ბერნანკე ასევე გვთავაზობს გადასახადებით მიღებული შემოსავლების შემცირების ფულით დაფინანსებას, რადგან ეს პოლიტიკა არ ზრდის სახელმწიფოს მთლიან ვალს.

ერთობლივი მოთხოვნაზე (მიწოდებაზე) ფისკალური პოლიტიკის გავლენის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მაღალია შინამეურნეობის მოლოდინები. ფისკალური პოლიტიკა ვუდფორდის და ბერნანკეს შეხედულებით არის საშუალება, რომელიც გამოიყენება მოლოდინების სამართავად. მისი ეფექტი განულებული იქნება, თუ შინამეურნეობები არ ჩათვლიან, რომ ფისკალურ პოლიტიკა არის სანდო და მნიშვნელოვანი ცვლილებებისაგან დაცული (Tcherneva, Pavlina 2008). შესაბამისად, საკმარისი არ არის მხოლოდ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სწორი მიზნების შერჩევა, ასევე აუცილებელია რაციონალური მოლოდინების მქონე ადამიანების დარწმუნება იმაში, რომ ესა თუ ის პოლიტიკა არის სწორი და ეკონომიკურ შედეგებზე ორიენტირებული. სანდოობა და

გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია, როგორც მონეტარული, ასევე ფისკალური პოლიტიკისათვის. დეფლაციური გარემოს არსებობის შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკა უნდა დომინირებდეს, გადასახადების დისკრეციულ შემცირებას ეკონომიკაში შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს. თავის მხრივ, ნეოკლასიკური კონსენსუსის მიხედვით ფისკალური პოლიტიკა, კლასიკური და რეალური ბიზნეს ციკლების თეორიებისგან განსხვავებით, არ განიხილება როგორც არაეფექტიანი ინსტრუმენტი. ფისკალური პოლიტიკა გავლენას ახდენს გამოშვებასა და ინფლაცი-აზე და ზემოქმედებს მონეტარულ პოლიტიკაზე, ისევე როგორც ინფლაციის თარგე-თირებას შეუძლია გავლენა მოახდინოს ფისკალურ პოლიტიკაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკის სტიმულირების პროცესში ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ერთმანეთთან კოორდინაციაში უნდა ხორციელდებოდეს.

ბერნანკე ფისკალურ პოლიტიკას განიხილავს როგორც სტაბილიზირების საშუალებას, რომელიც დაკავშირებული არ არის სრული დასაქმების დონის უზრუნველყოფასთან (Seidman 2006). ახალი ეკონომიკური კონსენსუსის მიდგომის მიხედვით, პოლიტიკას შეუძლია გავლენა მოახდინოს დასაქმებულთა შემოსავლებზე მანამ, სანამ მას ინდივიდების ქცევაზე ზემოქმედების შესაძლებლობა გააჩნია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახალი ეკონომიკური კონსენსუსის თეორია დინამიკური ზოგადი წონასწორობის მოდელის ფარგლებში განხილული არ არის. აღნიშნულ თეორიაში უმუშევრობა წარმოდგენილია როგორც სრულიად ნებაყოფლობითი.

ეკონომიკური კონსენსუსის თეორიის ჭრილში მიზანშეწონილია გავიხილოთ ქართველი მეცნიერების ი. ანანიაშვილისა და ლ. პაპავას კვლევა „ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა“ (Ananiashvili, Papava 2014). კვლევის ავტორების მიერ შემოთავაზებულია “მიწოდების ეკონომიკის იდეის” ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის არტურ ლაფერის და “ერთობლივი მოთხოვნის” იდეის ფუძემდებლის კეინზის თეორიების ერთი მოდელის ფარგლებში გაანალიზება. სინთეზური მოდელის მიზნები შემდეგია: მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფელი საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრა და გადასახადების წონასწორულ და ოპტიმალურ (ლაფერის წერტილი) განაკვეთებს შორის შესაბამისობის გამოკვლევა პარამეტრების ცვლილებისას და საგადასახადო

პოლიტიკის რეჟიმზე დამოკიდებულებით. შევნიშნავთ, რომ წონასწორობის პირობები წონასწორული საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის შესაძლებლობას გვაძლევს, მაგრამ ის დგინდება არა საბაზრო მექანიზმების მოქმედებით, არამედ პოლიტიკის ინსტრუმენტით. ავტორთა მიერ წარმოდგენილი მოდელის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ აგრეგირებული მოთხოვნის ან აგრეგირებული მიწოდების ძვრის შემდეგ წონასწორობის აღდგენა შესაძლებელია საგადასახადო განაკვეთის შესაბამისი კორექტირებით. აგრეთვე ნაჩვენებია, რომ განაკვეთის ცვლილების მიმართულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საწყისი საგადასახადო განაკვეთი ოპტიმალურთან მიმართებით. მაგრამ თუ მთავრობა არ ჩაერევა, მაშინ წონასწორობა მიიღწევა ფასების მექანიზმის მეშვეობით, რისი მოქმედების შედეგადაც ცვლილებას განიცდის არა მხოლოდ წონასწორული, არამედ ოპტიმალური განაკვეთიც. მოთხოვნისა და მიწოდების პოზიციიდან ავტორების მიერ განხორციელებულმა მიდგომების სინთეზმა საშუალება მოგვცა დავასკვნათ, რომ როცა მთავრობა არ მიმართავს საგადასახადო განაკვეთის ცვლილებას, მას მაინც შეუძლია იმოქმედოს აგრეგირებულ მოთხოვნაზე, რათა ერთმანეთს დაუახლოვოს წონასწორული და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთები. ამასთან, მაკროეკონომიკური წონასწორობა არ გულისხმობს ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის ერთადერთ მნიშვნელობას. სხვა სიტყვებით, წონასწორულმა საგადასახადო განაკვეთმა შეიძლება თანაიარსებოს მიწოდების მრუდებისა და საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელობების მთელ ნაკრებთან ერთად (Макашева 2015).

აღნიშნული მეცნიერები ცდილობენ თავი დააღწიონ იმ ცალმხრივ მიდგომას, რომელიც გადასახადებთან დაკავშირებით არსებობს მოთხოვნის კეინზიანურ მოდელებში და მიწოდების თეორიაში. პირველ შემთხვევაში ერთობლივი მიწოდების იგნორირება ხდება, მეორეში კი მოთხოვნის. ისინი სრულიად მართებულად მიიჩნევენ, რომ გადასახადების როლის სრულფასოვანი ახსნა და აღნიშნული თეორიების ცალმხრივობის გადალახვა შესაძლებელია მათი სინთეზის გზით“. მსგავსი სინთეზის საილუსტრაციოდ მეცნიერები გვთავაზობენ ეკონომიკურ ლიტერატურაში კარგად ცნობილ მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელს, რომელიც ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებისგან შესდგება. ამასთანავე, სტანდარტული მოდელისგან განსხვავებით, რომელშიაც

ერთობლივი მოთხოვნის დაერთობლივი მიწოდების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად, სხვა თანაბარ პირობებში, ფასების დონე მიიჩნევა, ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ შემუშავებულ მოდელში ასეთ განმსაზღვრელს წარმოადგენს საშუალო საგადასახადო განაკვეთი, რაც ამ უკანასკნელის როლის ახლებურად დანახვის საშუალებას იძლევა (მექვაბიშვილი 2016, 238).

ეკონომიკის ისტორია ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ კონსენსუსის მიღწევა ცალკე მონეტარული თუ ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში უფრო მარტივი პროცესია, ვიდრე საერთო კონსენსუსის ჩამოყალიბება მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარშემო. შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი ჩარჩო მაკროეკონომიკური კონსენსუსის პოლიტიკის შექმნის მიმდინარე ეტაპზე ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა, აღნიშნულ იდეას საბოლოო ჩამოყალიბებამდე განვითარების დიდი გზა აქვს გასავლელი.

თავი II. ფისკალური სტიმულების მაკროეკონომიკური როლის შეფასება

2.1. ფისკალური სტიმულების როლი ეკონომიკურ პოლიტიკაში და მისი გავლენა მაკროეკონომიკურ აგრეგატებზე

ეკონომიკის, როგორც მეცნიერების განვითარების ეტაპები მნიშვნელოვნად ემთხვევა ფისკალური პოლიტიკის როლის ცვლილებას ეკონომიკური ციკლების რეგულირების პროცესში. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ფისკალური სტიმულები არის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ყველა ქვეყანა მიმართავს ეკონომიკური კრიზისების უარყოფითი შედეგების შესამცირებლად.

როგორც ზემოთ გაანალიზებული საკითხებიდან ჩანს, მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე ფისკალური პოლიტიკის გავლენის საკითხი მეცნიერთა შორის არაერთმნიშვნელოვნად არის გაანალიზებული. ეს ასევე ეხება ეკონომიკური პოლიტიკის განმარტებას. კერძოდ, კეინზიანური თეორიის მიხედვით ეკონომიკური

პოლიტიკა გულისხმობს მთავრობის მიერ ეკონომიკის რეგულირებით მაქსიმალური საერთო სარგებლიანობის მიღწევას. ოუკენი (Okun) ეკონომიკური პოლიტიკის ქვეშ გულისხმობს სამთავრობო ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედებისაკენ. ბიუკენენი (Biukenen) აღნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა არის გაცვლის პროცესი ინდივიდსა და მთავრობას შორის, რომლის დროსაც ორივე მხარე თანხმდება გაცვალოს საკუთარი დანახარჯების ნაწილი. ატკინსონი (Atkinson) და სტიგლიცი (Stiglitz) ემხრობიან იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც მთავრობის საქმიანობას აკავშირებს სოციალურ ობიექტებთან და ეკონომიკური პოლიტიკა არის გადაწყვეტილებების მიღება მთავრობის დანახარჯებთან მიმართებაში. იან ტიმბერგერის (Ian Timberger) კონცეფციით აუცილებელია, მთავრობის მხრიდან რეგულირების ობიექტი იყოს ეფექტიანი მოთხოვნა. ტიმბერგერი ეკონომიკურ კატეგორიებს სამ ჯგუფად ყოფს: პირველ ჯგუფში შედის ის კატეგორიები, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ, სრულად თუ ნაწილობრივ კონტროლდება მთავრობის მიერ. მათი განზოგადებული სახელია ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები; მეორე ჯგუფში შედის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ ცვლილებებს და ჰქვიათ პოლიტიკური მიზნები: ფასების დონე და დასაქმება, საგადასახადო ბალანსის სალდო, ეკონომიკური ზრდის ტემპი; მესამე ჯგუფში შედის ცვლადები, რომლებიც ვერ კონტროლდება მთავრობის მიერ და არ წარმოადგენენ საზოგადოების კეთილდღეობის მაჩვენებელს. ტიმბერგერი მიუთითებს იმაზე, რომ თუ ინსტრუმენტების რაოდენობა მიზნების რაოდენობაზე ნაკლებია, არ არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმიზაციის გარანტია, რადგან ასეთ შემთხვევაში იზრდება დამატებით გადაუჭრელი პრობლემების წარმოშობის ალბათობა. ტიმბერგერის მიხედვით, მაკროეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მთავრობის დანახარჯების, რეალური ხელფასის ზრდის დონის, ერთობლივი მოთხოვნის, შემოსავლების სამართლიანად გადანაწილების, ინვეტიციების დონის და საგადასახადო ბალანსის დეფიციტის მოცულობის განსაზღვრა. საგადასახადო ბალანსის დეფიციტი და ეკონომიკური ზრდის ტემპის სიმყარე დინამიკური ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებია. ტიმბერგერის თეორია საფუძველი გახდა მანდელის (Mandel) ეკონომიკური პოლიტიკის, რომლის მიხედვით ეკონომიკური

ზრდის რეგულირების ინსტრუმენტების არჩევასა, სჯობს უპირატესობა მიენიჭოს საბიუჯეტო დანახარჯებს და არა ფულის მასის ცვლილებას. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ფულად პოლიტიკას გააჩნია პრიორიტეტები ფისკალურ პოლიტიკასთან შედარებით. სამუელსონისა (Paul Samuelson) და სოლოუს (Robert Solow) მიხედვით მთავრობის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს ინსტიტუტების ისეთ მანიპულირებაში, რომელიც იძლევა მთავრობისა და ეკონომიკის ინტერესების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობას.

ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ არსებული განსხვავებული მიდგომების მიუხედავად შესაძლებელია მათი გარკვეული ნიშნით დაჯგუფება:

✓ ნორმატიული ეკონომიკური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის მომხრეები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა: აუცილებელია თუ არა მთავრობის მხრიდან ეკონომიკაში ჩარევა, შემცირდეს თუ გაიზარდოს მისი მასშტაბები. თუ პოლიტიკოსები შეთანხმდებიან ეკონომიკაში ჩარევაზე, მაშინ როგორ უნდა განისაზღვროს ოპტიმალური ეკონომიკური ღონისძიებები;

✓ პოზიტიური ეკონომიკური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის მომხრეები ცდილობენ ახსნან, თუ რატომ იქცევიან ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ადამიანები ასე და არა სხვაგვარად. მათი ქცევა განიცდის პოლიტიკის გავლენას და ინსტიტუციონალურ შეზღუდვებს;

✓ წესებზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა. აღნიშნულს მიეკუთვნება ფულის მიწოდების მუდმივი სიდიდის შენარჩუნება, ნომინალური გამოშვების ერთ დონეზე არსებობა, ფასებზე კონტროლი¹. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის წესის მიხედვით ცვლილების მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ დაბალანსებული ბიუჯეტის მოთხოვნა, საგადასახადო განაკვეთის, სავაჭრო ბალანსისა და საგარეო ვალის ერთ დონეზე შენარჩუნება;

¹აღნიშნულის კარგი მაგალითია მილტონ ფრიდმანის მიერ შემუშავებული „X%“ წესი, რომელიც მთავრობას ავალდებულებს ფულის მასის ზრდა, ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის მიუხედავად, შეინარჩუნოს ერთიდაიგივე დონეზე, დროის ყველა მონაკვეთში. აღნიშნული პოლიტიკის არსი მდგომარეობს იმ მოლოდინების ფორმირებაში, რაც საზოგადოებას აქვს მთავრობის მიერ გატარებული ან/და გასატარებელი ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ.

✓ აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა. მოწოდებულია ეკონომიკის შიდა არასტაბილურობის შემცირებაზე, როგორც წესი აღნიშნულ პოლიტიკას იყენებენ სხვადასხვა ეკონომიკური შოკების შემთხვევაში;

✓ დროებითი ეკონომიკური პოლიტიკა. ქვეყნის მმართველი წრეები ოპტიმიზაციას უკეთებენ საკუთარ საქმიანობას მიმდინარე ეკონომიკური ამოცანების გადასაჭრელად. როგორც წესი, ეს ხდება არჩევნების წინ. ეს პოლიტიკა ხშირად გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც საბიუჯეტო ხარჯების ზრდის შედეგად შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში გარკვეული სარგებელის (საარჩევნო ხმების) მიღება. თუ დროებითი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში ხშირად ხდება გადაწყვეტილებების მიღება, მაშინ წარმოიქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა არ ემთხვევა გრძელვადიან ეკონომიკურ მიზნებს. ფისკალური სტიმულები, როგორც მთავრობის ხელთ არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მეორე მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკურ კრიზისებზე გავლენის მოხდენის საშუალებას. შესაბამისად, მისი როლი მნიშვნელოვანია, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პროცესში.

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მიზნების შერჩევასა და მიღწევის შესაძლო ვარიანტების შემუშავებას და შეფასებას მოიცავს. აღნიშნულისაგან განსხვავებით, მაკროეკონომიკური პოლიტიკა მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევის სტრატეგიული და ტექნიკური გზების ერთობლიობაა. სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მაკროეკონომიკური მიზნების, მათ შორის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას და ფორმირებას უნდა დაეთმოს.

ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უმთავრეს ეკონომიკურ მიზნებად შიდა და საგარეო წონასწორობის მიღწევა შეგვიძლია დავასახელოთ. შიდა წონასწორობა რესურსების სრულ გამოყენებასა და შიდა ფასების სტაბილურ დონეს გულისხმობს, ხოლო საგარეო წონასწორობა კი მიიღწევა, როცა სახელმწიფოს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი არ არის იმდენად დეფიციტური, რომ იგი აღმოჩნდეს უძლური

გადაიხადოს საგარეო ვალები, ან ბალანსი არ არის ისეთი, რომელიც ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააგდებს სხვა სახელმწიფოებს.

პ. სამეულსონის და უ. ნორდჰაუსის (Samuelson, Nordhaus) მიხედვით არსებობს სამი უმთავრესი მაკროეკონომიკური მიზანი, ესენია:

1. პროდუქციის გამოშვების მაღალი დონე და სწრაფი ზრდა;
2. დასაქმების მაღალი დონე მცირე იძულებით უმუშევრობასთან ერთად;
3. ფასების სტაბილურობა.

შესაძლებელია ეს მიზნები “გაიშალოს” რაც პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომის უკეთეს საშუალებას მოგვცემს. აღნიშნულისათვის მაკონელისა და ბრიუს (McConnell, Brue) ფორმულირებით ვისარგებლოთ, რომელთა მიხედვით უმთავრეს ეკონომიკურ მიზნებად უნდა მივიჩნიოთ:

- ✓ ეკონომიკური ზრდა;
- ✓ სრული დასაქმება;
- ✓ ეკონომიკური ეფექტიანობა;
- ✓ ფასების სტაბილური დონე;
- ✓ ეკონომიკური თავისუფლება;
- ✓ შემოსავლების სამართლიანი განაწილება;
- ✓ ეკონომიკური უზრუნველყოფა;
- ✓ სავაჭრო ბალანსი.

უნდა აღნიშნოს, რომ მაკროეკონომიკური მიზნების პრიორიტეტულობის განსაზღვრისას ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთიანი შეხედულება არ ჩამოყალიბებულა და სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს სხვადასხვა მიზნები მიაჩნიათ პრიორიტეტულად, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების არსებობა თითქოსდა ეჭვს არ უნდა იწვევდეს (ჩიქოვავა, კაკულია 2009, 21).

აღნიშნული მიზნებიდან უმთავრეს პრიორიტეტად მაინც ეკონომიკური ზრდა მიიჩნევა, რომელიც უფრო მეტი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოებას – ანუ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. თავისთავად ეკონომიკური ზრდა მიიღწევა რესურსების მაქსიმალური გამოყენების გზით.

აღსანიშნავის ისიც, ზემოაღნიშნული მიზნების ინტერპრეტაციაც საკმაოდ რთული და სარისკო საქმეა, რადგან თავად ამ მიზნების ამგვარი რედაქციის ავტორებიც კი არ განმარტავს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს “მკვეთრ ზრდად”, “სამართლიან განაწილებად”, “გონივრულ ბალანსად”, და ა.შ., რაც იწვევს საკმაოდ დიდ დისკუსიას და ხშირ შემთხვევაში გაურკვეველობასაც კი არამარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ მსჯელობებშიც.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მიზნები შეიძლება იყოს, როგორც ურთიერთშემავსებელი, ასევე ურთიერთგამომრიცხავიც. მაგალითად, ეკონომიკური ზრდა წარმოუდგენელია ეფექტიანობისა და სრული დასაქმების გარეშე. თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდა ფასების სტაბილურ დონესა და ეკონომიკურ უზრუნველყოფას განაპირობებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფლაციის ტემპის ზრდას, როგორც წესი უმუშევრობის შემცირება მოჰყვება და პირიქით, ხოლო დასაქმების ზრდა ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარებების აუცილებლობასა და მის ოდენობას.

აღნიშნული ეკონომიკური მიზნების განხორციელებაში ვლინდება სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, რომლებიც შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ, როგორც ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელების პრაქტიკული საფუძველი.

მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებთან დაკავშირებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა გარკვეული კომპრომისების შემდეგ შესაძლებელია აქაც მაკონელისა და ბრიუს კლასიფიკაციით ვიხელმძღვანელოთ და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- ✓ ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნა;
- ✓ კონკურენციის დაცვა;
- ✓ შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება;
- ✓ ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით რესურსების განაწილების კორექტირება;
- ✓ ეკონომიკის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის წახალისება.

სახელმწიფოს მხრიდან სწორედ აღნიშნული ეკონომიკური მიზნებსა და ეკონომიკურ ფუნქციებს, შორის პრიორიტეტების განსაზღვრაში და მათ ჯეროვან შერულების პროცესში თანმიმდევრული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულებაში გამოიხატება პოლიტიკისა და უპირველეს ყოვლისა მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი.


ეკონომიკის ისტორიიდან ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის ცალკეული ქვეყნის მთავრობა ფისკალური სტიმულების შემუშავებას იწყებს. ფისკალური სტიმულები, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, პირველად გამოყენებულ იქნა 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის შემდგომ პერიოდში და დღემდე აქტიურად გამოიყენება. კერძოდ, 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს, ცალკეულ ქვეყნებში დაფიქსირებული ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირების საპასუხოდ, მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გადასახადების შემცირების, სუბსიდირებისა და სამთავრობო ხარჯების ზრდის თაობაზე. ამის შედეგად ქვეყნების უმრავლესობაში ადგილი ჰქონდა მთავრობის მიერ სხვადასხვა პაკეტების შემუშავებას ეკონომიკის სტიმულირებისათვის (დიაგრამა 2.1.1.).

როგორც, 2.1.1. დიაგრამიდან ჩანს, ფინანსური კრიზისის პერიოდში იზრდება ეკონომიკის სტიმულირების ხელშემწყობის პროგრამის რაოდენობა, რომელიც უმეტესად მთავრობის ხარჯების ზრდაში გამოიხატება. ამასთან, ფისკალური სტიმულების მნიშვნელოვანი ნაწილი შემუშავებულ და განხორციელებულ იქნა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. ეს მაჩვენებელი დაბალია ლათინური ამერიკის და განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში.

ფისკალური პოლიტიკის ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე მოსალოდნელი გავლენის შეფასება (განსაკუთრებით ფისკალური პოლიტიკის, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტის გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის კუთხით), როგორც ეკონომიკურ თეორიაში, ასევე პრაქტიკაში განსხვავებულია. ერთი მხრივ, ყურადსადებია დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის, როგორც ეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტის, გავლენა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდზე. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია

დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის კავშირი მის კომპოზიციასთან.

დიაგრამა 2.1.1. გლობალური ეკონომიკური სტიმულები 2008-2009 წლებში



წყარო: ILO 2010, 4.

ფისკალური პოლიტიკის ცვლილება მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკურ გარემოზე გავლენას ძირითადად ახდენს საქონელსა და მომსახურებაზე შინამეურნეობების, ბიზნესისა და მთავრობის ერთობლივ მოთხოვნაზე ცვლილების არხით, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა (გადასახადების შემცირება ან/და მთავრობის ხარჯების ზრდა) ზრდის ერთობლივ მოთხოვნას და წარმოებისა და დასაქმების ზრდის სტიმულს ქმნის ბიზნესისთვის. ერთობლივ მოთხოვნასა და გამოშვებაზე საპირისპირო ეფექტი აქვს მკაცრ ფისკალურ პოლიტიკას (გადასახადების ზრდა ან/და მთავრობის ხარჯების შემცირება). გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის პოტენციურ მშპ-ზე გავლენა შემდეგ არხებს უკავშირდება: სახელმწიფოს ვალის მოცულობის ცვლილება, ფიზიკური პირებისა და ბიზნესის სტიმულების ცვლილება შრომასთან, დანაზოგებთან და ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით და ასევე სახელმწიფოს ინვესტიციების ცვლილება, რომელსაც, თავის მხრივ, გავლენა აქვს შრომის და კერძო კაპიტალის მწარმოებლობაზე.

ფისკალური პოლიტიკის ცვლილებით წარმოქმნილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი პერიოდების ეფექტები მშპ-თან მიმართებით გარკვეულ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. კერძოდ, ფისკალური პოლიტიკის ჩარჩოში განხორციელებული ცვლილებების უმეტესი ნაწილი, რომელსაც დადებითი ეკონომიკური გავლენა აქვს მოკლევადიანი პერიოდის გამოშვებაზე, გრძელვადიან პერიოდში უარყოფით ასპექტში წარმოჩინდება. აღნიშნული ფენომენის მიზეზად მოიაზრება ის ფაქტი, რომ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა (მთავრობის ხარჯების ზრდა ან გადასახადის განაკვეთის შემცირება) მოკლევადიან პერიოდში განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, გამოშვებასთან ერთად გარკვეული ზომით საგადასახადო შემოსავლებსაც ზრდის. მაგრამ, როგორც წესი, ამ უკანასკნელის მასშტაბი ისეთი არ არის, რომ განეიტრალებულ იქნას საბიუჯეტო დეფიციტის ზრდა. გაზრდილი დეფიციტის დასაფარავად სახელმწიფო იძულებულია დამატებითი ვალი აიღოს, ამიტომ ასეთი ქმედება ზოგადად ამცირებს დანაზოგებსა და კაპიტალის მარაგს და უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ერთობლივ გამოშვებაზე. ცხადია, გარკვეულ პირობებში, როდესაც ფისკალური პოლიტიკის ცვლილება იმდენად ეფექტიანია, რომ ანეიტრალებს სახელმწიფო ვალის ზრდის უარყოფითი ეფექტს, მაშინ მოკლე და გრძელვადიან პერიოდებს შორის არსებული წინააღმდეგობა შეიძლება თავიდან იქნას აცილებული. როგორც წესი, მიიჩნევა, რომ ანტიციკლურ დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას, რაც გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობას ეკონომიკური აქტიურობის შენელებისას და ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას ეკონომიკური ბუმის დროს, მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ჰქონდეს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნებისათვის. ამავე დროს, არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის განხორციელება ეკონომიკური აქტიურობის შემცირებისას მიზანშეწონილად არ მიიჩნევა. ფისკალური პოლიტიკის შერბილება შესაძლებელია შეუსაბამო იყოს დიდი საგარეო დისბალანსის არსებობის დროს. ასეთ დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეკონომიკური აქტიურობა შენელებულია, შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ფისკალური კონსოლიდაცია მზარდი ინფლაციის შეზღუდვისა ან/და მიმდინარე ანგარიშის დისბალანსის შემცირების ან კაპიტალის არსებითი გადინების დასაძლევად.

მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის ცვლილების ეკონომიკურ აგრეგატებზე გავლენის შესაფასებლად მიზანშეწონილია შეფასდეს, ერთი მხრივ, აღნიშნული პოლიტიკის გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე, მეორე მხრივ, მისი გავლენა სამუშაო ძალის მიწოდებაზე. ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენა მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ ეფექტებს, სადაც პირდაპირი ეფექტია მთავრობის მოთხოვნის, ასევე შინამეურნეობებისა და საწარმოების (რომლებიც იღებენ ტრანსფერებს ან იხდიან გადასახადებს) მოთხოვნის მოცულობის ცვლილება, ხოლო არაპირდაპირია „მულტიპლიკატორის“ ეფექტით მოთხოვნა. პირდაპირი ეფექტის გავლენის მასშტაბი დამოკიდებულია პოლიტიკის ცვლილების ხანგრძლივობაზე (დროებითი თუ მუდმივი), ასევე იმ სუბიექტების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთაც აღნიშნული პოლიტიკა ეხება. მაგალითად, შინამეურნეობების მოხმარებაზე გადასახადის დროებით შემცირებას უფრო მცირე ეფექტი აქვს, ვიდრე გრძელვადიანს, ვინაიდან, ჩანაცვლების ეფექტიდან გამომდინარე მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის ცვლილება უმნიშვნელო გავლენას ახდენს შინამეურნეობის მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებაზე. ამასთან, განკარგვადი შემოსავლების დონის ზრდამ მოსალოდნელია უფრო მეტად გაზარდოს დაბალ შემოსავლიანი, ვიდრე მაღალ შემოსავლიანი შინამეურნეობების მოხმარება. რაც შეეხება დროით ფაქტორს, როგორც წესი, პირდაპირი ეფექტები ვლინდება იმ კვარტალში, რომელშიც პოლიტიკა იცვლება და გრძელდება რამდენიმე კვარტალის განმავლობაში, თუმცა პოლიტიკის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ზოგიერთ ფისკალურ ცვლილებას ერთობლივ მოთხოვნაზე უფრო სწრაფი გავლენა აქვს.

რაც შეეხება ფისკალური პოლიტიკის არაპირდაპირ ეფექტებს, აღნიშნული გავლენა უკავშირდება პირდაპირი ეფექტის ეკონომიკაზე გადაცემას და, როგორც უკვე აღინიშნა, აისახება „მოთხოვნის მულტიპლიკატორით“. მოთხოვნის მულტიპლიკატორის სიდიდე დამოკიდებულია არსებულ ეკონომიკურ გარემოსა და, შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის ცვლილების პასუხად მონეტარული პოლიტიკის ცვლილებაზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ მონეტარული პოლიტიკის პასუხი შეზღუდულია, მოთხოვნის მულტიპლიკატორი მოსალოდნელია უფრო დიდი სიდიდე იყოს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ფისკალური პოლიტიკის პასუხად

მონეტარული პოლიტიკის ძლიერი საპასუხო რეაქცია აისახება საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვან ცვლილებაში.

ფისკალური პოლიტიკის ცვლილების გავლენა შრომის მიწოდებაზე უკავშირდება შრომის მიმართ ადამიანთა სტიმულების ცვლილებას, რომელზეც გავლენას ახდენს როგორც საშემოსავლო გადასახადი, ასევე სახელმწიფო შეღავათების ოდენობა. ამასთან, მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკით გამოწვეული სამუშაო ძალის მიწოდების ცვლილება დამოკიდებულია სამუშაო ძალის მობილობის ხარისხზე.

გრძელვადიან პერიოდში პოტენციური გამოშვება, კერძოდ კი პოტენციური მშპ, დამოკიდებულია სამუშაო ძალის ოდენობასა და ხარისხზე, პროდუქტიული კაპიტალის მარაგსა და წარმოების ფაქტორთა მწარმოებლურობაზე. შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკა პოტენციურ მშპ-ზე გავლენას ახდენს სახელმწიფო ვალის მოცულობის, შრომისადმი სტიმულების, დანაზოგებისა და ინვესტიციების (მათ შორის სახელმწიფოს ინვესტიციების) დონის ცვლილებით. ეს ყველაფერი აისახება სამუშაო ძალისა და კაპიტალის მწარმოებლურობაზე.

ფისკალური პოლიტიკის, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტის გავლენა ეკონომიკაზე, თავის მხრივ, მოიცავს: ავტომატურ ფისკალურ სტაბილიზატორებსა და დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას. ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების ცვლილება გულისხმობს ფისკალური სისტემის ისეთ ბუნებრივ ცვლილებას, რომლიც ეკონომიკური აქტივობის ცვლილების შედეგად ყალიბდება. კერძოდ, ეკონომიკური დაცემისას მცირდება საგადასახადო შემოსავლები და იზრდება ტრანსფერების მოცულობა დაბალშემოსავლიანი ფენებისთვის. ამ კომპონენტის საზომად გამოიყენება ცვლილება საბიუჯეტო ბალანსის ციკლურ კომპონენტში. ემპირიული კვლევებით დასტურდება, რომ ავტომატური სტაბილიზატორების ეფექტიანობის ზომა დაუკავშირებულია მთავრობის ზომასთან და გამოშვების დონის მერყეობასთან. რაც შეეხება დისკრეციულ ფისკალურ პოლიტიკას, მასში მოიაზრება მთავრობის მიერ მისი დისკრეციის ფარგლებში განხორციელებულ აქტიური ფისკალური ღონისძიებები კონკრეტული მიზნობრივობით. ამ კომპონენტის საზომად, როგორც წესი, გამოიყენება ციკლურად

კორექტირებული პირველადი ბალანსი, რომელიც ასახავს ფისკალური პოლიტიკის ცვლილებას.

ფისკალური პოლიტიკა მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე გავლენას ახდენს:

1. ეროვნული ხარჯების შოკით. სახელმწიფო დანაზოგების ავტომატური შემცირება ეკონომიკური დაცემის და ზრდა ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში (Blinder, Solow 1974);

2. ხარჯებისა და გადასახადების ინსტრუმენტების მიზანმიმართული ცვლილებით;

3. გადასახადებისა და ტრანსფერების სისტემით.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა თავის მხრივ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ძლიერი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ამასთან გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება:

✓ საბიუჯეტო დეფიციტი ამცირებს დანაზოგებს ეკონომიკაში და შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური პროცესები, საპროცენტო განაკვეთის ზრდა და უარყოფითი ცვლილება საგადასახადო ბალანსში. პოლიტიკურმა გაურკვეველობამ, სახელმწიფოს ვალისა და ინფლაციის მაღალმა დონემ შეიძლება შეამციროს კერძო ინვესტიციები;

✓ ფისკალური ჩარჩო ხელს უწყობს სიმეტრიულ ცვლილებას. ავტომატურ სტაბილიზატორს შეუძლია შეამციროს მაკროეკონომიკური რყევები და გაურკვეველობა საშუალოვადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად;

✓ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ადგილი აქვს საბაზრო ძალების განვითარების მაღალ დონეს, მნიშვნელოვანია განხორციელდეს ფისკალური კონსოლიდაციის პროცესი;

✓ წინაპირობების შერჩევა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდისათვის. დანახარჯებზე დაფუძნებული კონსოლიდაცია არის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევის უფრო მყარი გარანტია;

✓ ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება. დაბალშემოსავლიან ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ საბიუჯეტო დეფიციტი არაპროდუქტიული ფისკალური ხარჯებისა და

დიდი რაოდენობით კრიტიკული მნიშვნელობის სოციალური მომსახურებების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ ანტიციკლური პოლიტიკის განხორციელება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, არსებობს გარკვეული წინაპირობები, რომელიც ეკონომიკური აქტივობის შენელებისას უზრუნველყოფს ანტიციკლური დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას. ასეთ წინაპირობებად შეიძლება მივიჩნიოთ:

1. სამუშაო ძალის შესაბამისი რესურსის არსებობა;
2. ეკონომიკის სტიმულირებისათვის სხვა უფრო ეფექტიანი გზების არარსებობა, მონეტარული პოლიტიკის ჩათვლით;
3. ექსპანსიურმა ფისკალურმა პოლიტიკამ არ უნდა გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთის გაზრდა;
4. ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის ეფექტი არ უნდა იქნას განეიტრალებული (“გამოდევნის ეფექტი”);
5. სხვადასხვა ექსტერნალების კონტროლის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ კრიზისებთან საბრძოლველად ფისკალური სტიმულების ეფექტიანობა არაერთხელ დადასტურდა, არსებობს კითხვები დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის დროულობასა და თარგეთირებასთან დაკავშირებით. ცალკეულ მკვლევართა აზრით, ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ფისკალური სტიმულები, როგორც წესი, მონეტარულ პოლიტიკასთან შედარებით, ნაკლებად სწრაფად ხორციელდება. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს მთავრობის ნაკლებეფექტიან ხარჯებს. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფისკალური სტიმულების პაკეტი დროულად ხორციელდა, შესაძლო შედეგების შესახებ ერთიანი მოსაზრება არარსებობს.

ცაკლები კვლევების მიხედვით ეკონომიკურ ზრდაზე ფისკალური სტიმულების გავლენის ზომა განისაზღვრება მაკროეკონომიკური აგრეგატების ცვლილებით. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს ფისკალური სტიმულების მნიშვნელოვნებას ეკონომიკური კრიზისის დამლევის პროცესში, თუმცა მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ერთმნიშვნელოვნად დადებითი არ არის. ამის მიზეზს წარმოადგენს ქვეყნების განსხვავებულობა ფისკალური და ინსტიტუციონალური

მდგომარეობით, ხარჯების მიზნობრიობითა და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ მოსახლეობის ნდობის ხარისხით. ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკურ ზრდაზე ფისკალური სტიმულების გავლენა დადებითია არაერთმნიშვნელოვანია (ცხრილი 2.1.1.).

ცხრილი 2.1.1. ფისკალური სტიმულების ეფექტიანობის შეფასება

| ავტორი | ქვეყნების რაოდენობა და პერიოდი | შეფასება | მიღებული შედეგები |
|--------------------------|--|----------|--|
| Verick, Islam 2010 | 60 ქვეყანა (2008-2009 წწ) | დადებითი | ფისკალური სტიმულები არის უფრო ეფექტიანი, როდესაც ისინი მიმართულია კაპიტალური დანახარჯების ზრდისაკენ |
| Doorn, Suri, Gooptu 2010 | 20 ქვეყანა (1995-2010 წწ) | შერეული | ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას განსაზღვრავს ფისკალური სტიმულების ეფექტიანობა |
| UNESCAP 2010 | 37 ქვეყანა (1990-2009 წწ) | დადებითი | ფისკალური სტიმულების შედეგად 7-დან 11 მილიონამდე სამუშაო ადგილი შენარჩუნდა, “დიდი ოცულის” ქვეყნებში. საპირისპირო მდგომარეობა იყო აზიის რეგიონში, სადაც არ იქნა გამოყენებული ფისკალური სტიმულები, რის შედეგად 2009 წელს ეკონომიკური ზრდა შემცირდა 4.2%-ით |
| IMF 2010 | 186 ქვეყანა (1970-2010 წწ) | შერეული | ფისკალურმა სტიმულებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ფინანსური კრიზისის პერიოდში ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში, როგორც განვითარებულ, ასევე, განვითარებად ქვეყნებში |
| Arpaia, Curci 2010 | ევროკავშირის 27 ქვეყანა (1980-2009 წწ) | დადებითი | კრიზისის პერიოდში ბევრმა ქვეყანამ გაატარა რეფორმა სამუშაო ძალის სტიმულირებისა და სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად, რომელთა შორის აღსანიშნავია სამუშაო დროის შემცირება |

| | | | |
|--------------------|---|-----------|--|
| EEAG 2010 | 27 ქვეყანა (1990-2009 წწ) | შერეული | ევროკავშირში, ფისკალური სტიმულირების პაკეტების წყალობით თავიდან იქნა აცილებული დეფლაციური პროცესები და მეორე დიდი დეპრესია |
| ILO 2010 | ევროკავშირი (2006-2009 წწ) | შერეული | ევროპის ეკონომიკის გაჯანსაღების გეგმის შესაბამისად 25 000 ადამიანმა მიიღო დახმარება (ტრენინგები; გადამზადება და ა.შ), რომლის შედეგად ბევრი დასაქმდა |
| Wyplosz 2010 | ევროზონის 16 ქვეყანა (1996-2009 წწ) | უარყოფითი | ფისკალურმა პოლიტიკამ ითამაშა უმნიშვნელო როლი ეკონომიკის სტიმულირების პროცესში, კრიზისის პერიოდში არსებული საბიუჯეტის დეფიციტის დადგენილი ნორმის არსებობის გამო |
| Kandil, Morsy 2010 | 34 განვითარებადი ქვეყანა (1970-2009 წწ) | დადებითი | საერთაშორისო რეზერვების არსებობამ ხელი შეუწყო აღნიშნულ ქვეყნებს ყოფილიყვნენ კარგ მდგომარეობაში კრიზისების დროს, ასევე, შეემცირებინათ გამოდევნის ეფექტის უარყოფითი შედეგები |

წყარო: ILO 2010.

2.2. გარდამავალი პერიოდის თავისებურებები და არსებული მდგომარეობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასში შემავალი ქვეყნები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზებისა თუ საშუალებების ძებნას შეუდგნენ. მათ წინაშე აღმოჩნდა ისეთი ამოცანების გადაჭრის აუცილებლობა, როგორცაა: ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება; ფასების ლიბერალიზაცია; ინფლაციური პროცესების შემცირება; სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია; ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება. მიუხედავად პრობლემათა მრავალფეროვნებისა, საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის ამოცანები ხშირად პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებებით ითრგუნებოდა, რაც რეფორმების საწყის პერიოდში და შემდგომშიც, როდესაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ყოველი

შესაძლებლობების გამოყენება, მოსახლეობის იმედებს არ ამართლებდა და საზოგადოებაში უარყოფითი მოლოდინების ფორმირებას უწყობდა ხელს. შეიძლება ითქვას, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დაადგინენ ადამ სმიტის მიერ დასმული ფუნდამენტური კითხვის „როგორ ხდებიან ქვეყნები მდიდრები?“ პასუხის უმოკლეს დროში მოძიების წინაშე.

მოდრაობა საბაზრო ეკონომიკისაკენ დაჩქარდა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რამაც 80-იანი წლების ბოლოსათვის სწრაფი განვითარება ჰპოვა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების წყალობით. 1989-1990 წლებში, როცა აღმოსავლეთ ევროპის შვიდმა ქვეყანამ განაცხადა საბჭოთა კავშირისაგან მათი გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ, „ცივი ომი“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დასრულდა.

ისტორიაში პრეცედენტი არა აქვს აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებში განხორციელებულ ცენტრალიზებულ გეგმიანი მეურნეობრიობის გარდაქმნას საბაზრო ეკონომიკად, რომელიც უმთავრესად კერძო საკუთრებას ემყარება.

ეკონომიკური რეფორმების ექსპერიმენტები დაიწყო იუგოსლავიაში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში. გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (აღმოსავლეთ გერმანია) განხორციელდა ფასების რეფორმა საწარმოებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებით. გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო რეფორმების გატარება ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში. მაგრამ, პირველი, ნამდვილად წარმატებული ეკონომიკური რეფორმა კომუნისტური სივრცეში დაიწყო 1978 წლიდან, კერძოდ, ჩინეთში. რეფორმები დაჩქარდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, რის შედეგადაც ჩინეთმა მიაღწია ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ტემპებს ბოლო ათწლეულში.

ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. მასზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური განვითარების ზოგადი კანონზომიერებები და საკუთრივ ქვეყნის სპეციფიკური პირობები. ამასთან მან უნდა ასახოს

კრიზისიდან გამოსვლის, ეკონომიკური სტაბილიზაციის ეტაპები და მისი მომავალი განვითარების მიმართულებები.

იდეა იმის შესახებ, რომ ინდივიდთა თავისუფლების შემცირება ეკონომიკაში მიგვიყვანს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებამდე, ფაქტობრივად არც ერთ ქვეყნაში არ დასტურდება. სიმართლე სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებს - რაც უფრო რადიკალურია სახელმწიფოს საქმიანობის „გაფართოება“, მით მეტად ზიანდება საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობა. ეს ეხება, როგორც განვითარებად, ასევე პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეკონომიკის რეგულირების მეთოდებით.

გარდამავალი პერიოდის თავისებურებების ანალიზისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ხაზს უსვამს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში წარმატებული ეკონომიკური რეფორმებისათვის აუცილებელი ფაქტორების თუ გარემოებების არსებობას. კორნაი (Kornai) აღწერს მნიშვნელოვან თავისებურებებს “ტრანსფორმაციის” რეცესიის საბაზრო ეკონომიკის რეცესიასთან მიმართებაში და ხაზს უსვამს ორი ცვლილების არსებობას: 1. გამყიდველის ბაზრიდან მყიდველის ბაზარზე გადასვლა (ფასების ლიბერალიზაცია) და 2. ბიუჯეტის მდგრადი სისტემა (პრივატიზაცია, სახელმწიფო დახმარებებისა და ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება). ეს ორი პრინციპი საბაზრო ეკონომიკისკენ ორიენტირებული ქვეყნით ხელს უწყობს ყველა ეკონომიკური აგენტის სარგებლის მაქსიმიზაციას (Kornai 1994).

კორნაის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელია შემდეგი ეკონომიკური რეფორმების გატარება:

- ✓ მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია; ფასებისა და ბაზრის ლიბერალიზაცია;
- ✓ გაცვლითი და სავაჭრო სისტემის ლიბერალიზაცია;
- ✓ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაცია;
- ✓ კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, სადაც ფირმები მარტივად შეძლებენ ბაზარზე შესვლასა და გამოსვლას;
- ✓ მთავრობის როლის ახლებურად განსაზღვრა, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, სამართლებრივი ბაზის, კერძო საკუთრების დაცვის, ბაზრის ნაკლოვანებების შემცირების მიზნით.

ბლანშარი მიუთითებს შემდეგ ორ მნიშვნელოვან ცვლილებაზე, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის ტრანსფორმაციისთვის: 1. რესურსების გადაადგილება ძველიდან ახალ აქტივობებზე და 2. რესტრუქტურისაცისას არსებული ფორმების გადარჩენა (Blanchard 1997). ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში მნიშვნელოვანია ქვეყნების საწყისი მდგომარეობის შეფასება. ცალკეული კვლევების მიხედვით, საწყისი მდგომარეობის რაოდენობრივი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არის მცირე და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მცირდება (De Melo, Denizer, Gelb 1997). მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ გარდამავალ პერიოდში წარმატებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა არის წინაპირობა ეკონომიკური აღმავლობის, ხოლო ინფლაციისა და საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლები ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევას.

მეცნიერ-ეკონომისტების უმრავლესობა თვლის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორი ძირითადი გზა არსებობს: 1. „შოკური თერაპია“ და 2. „გრადუალიზმი“ ანუ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა¹. ეკონომიკაში სისტემური ცვლილებისათვის და აუცილებელი რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის აღნიშნული მიდგომები გარკვეული წინაპირობების არსებობას მოითხოვს. კერძოდ, „გრადუალიზმის“ წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია:

✓ მოსახლეობის მიერ მთავრობის და მისი ეკონომიკური გუნდის მხარდაჭერა (რაც, სამწუხაროდ, პოსტ-კომუნისტური ქვეყნების უმრავლესობას არ გააჩნდა);

✓ გარდაქმნისათვის საჭირო ფინანსური (საკუთარი თუ საერთაშორისო) რესურსი;

„შოკური თერაპია“ გულისხმობს შემდეგი რეფორმების გატარებას:

✓ შიდა ფასების გათანაბრება მსოფლიო საბაზრო ფასების დონესთან, ინფლაციის გათვალისწინებით;

✓ ინფლაციის დროს „შემოსავლის“ ზრდის შეზღუდვა;

✓ ფულის მასის შეზღუდვა და საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა;

¹ლ. ბალცეროვიჩის კლასიფიკაციით შეიძლება განხილულ იქნეს “გადასვლის” რამდენიმე ისტორიული პროცესი: 1. კლასიკური გადასვლა; 2. ნეოკლასიკური გადასვლა; 3. ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები; 4. აზიური პოსტკომუნისტური გადასვლა (პაპავა 2005, 15)

✓ პერსონალური დანაზოგების სტიმულირება დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის ზრდით;

✓ საბიუჯეტო ხარჯების შემცირება სამთავრობო ინვესტიციების შემცირებითა და არამომგებიანი ბიზნესწამოწყებებისთვის სუბსიდიების გაუქმებით;

✓ სამთავრობო ობლიგაციების გამოშვება საბიუჯეტო დეფიციტის დასაფინანსებლად;

✓ საგადასახადო კოდექსის დარეგულირება და ინტეგრირება;

✓ ეროვნულ ვალუტაზე ერთი გაცვლითი კურსი და საშინაო ბაზარზე მისი კონვერტირებადობა;

✓ საერთო საბაჟო ტარიფის დაწესება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით;

✓ მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების პროგრამების დაწესება საბიუჯეტო შეზღუდვების გათვალისწინებით;

✓ მონოპოლიური საქმიანობების აღმოფხვრა, საწარმოებს შორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და ამ კონკურენციაში მთავრობის ინტერვენციის გაუქმება.

გასული პერიოდი ცხადყოფს, რომ ცალკეული ქვეყნები საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად სხვადასხვა მიმართულებით ატარებდნენ რეფორმებს, რომელთა თეორიული პოსტულატები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან (იხილეთ დანართი, ცხრილი 1).

ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმები საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ნაკარნახევ საყოველთაო ლიბერალიზაციის გზას დაადგა. მათ შორისაა „ვამინგტონის კონსენსუსი“, რომელშიც გაწერილი იყო ქვეყნის შიგნით გასატარებელი რეფორმები¹. მაგრამ 1990-იანი წლების შუა პერიოდში ნათელი გახდა, რომ „არავითარ ეკონომიკურ სასწაულს არ უნდა ველოდოთ“. ამასთან ერთად დაიწყო ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების რეალობაში გატარების მომხრეთა

¹„ვამინგტონის კონსენსუსი“ მოიცავს: 1) ფისკალური დისციპლინის შენარჩუნებასა და მინიმალურ საბიუჯეტო დეფიციტს; 2) მთავრობის ხარჯებისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს: ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის და განათლების დაფინანსება; 3) ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციას; 4) ეროვნული ვალუტის თავისუფალ გაცვლით კურსს; 5) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ შეზღუდვების მოხსნას; 6) პრივატიზაციას; 7) ეკონომიკის დერეგულირებას; 8) კერძო საკუთრების უფლების დაცვას; 9) გადასახადების ზღვრული განაკვეთის შემცირებას; 10) შიდა ვაჭრობის ლიბერალიზაციას.

რიცხვის შემცირება. ეკონომიკურ არენაზე გამოვიდა ისეთი კონცეფციები, რომლებიც რეფორმების გატარების სულ სხვა გზას ურჩევდნენ საზოგადოებას (პაპავა 2002, 39). აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არსებობს შეთანხმებული პოზიცია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოდელზე, ასევე, არაერთმნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის, როგორც ტერმინის განსაზღვრება (პაპავა 2005, 13), ამასთან, არ არსებობს აღნიშნულ კატეგორიაში შემავალი ქვეყნების საერთო (შეთანხმებული) ჩამონათვალი, კერძოდ:

1. გაეროს 2017 წლის კვლევის მიხედვით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კატეგორიაში შედის 17 ქვეყანა (იხილეთ დანართი, ცხრილი 2).

გაეროს მიერ ასევე ხდება ქვეყნების კლასიფიცირება მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის დონის მიხედვით. კერძოდ, ერთ სულზე 1025 აშშ დოლარის მქონე ქვეყნები მიეკუთვნებიან დაბალშემოსავლიანს, ხოლო 1026-4035 დოლარი შემოსავლის მქონე ქვეყნები შედიან საშუალო შემოსავლიანთა ჯგუფში; ქვეყნები, რომელთა შემოსავალი ერთ სულზე 4036-12475 დოლარის ფარგლებშია, საშუალოზე მაღალ შემოსავლიანთა ჯგუფს წარმოქმნიან, ხოლო 12475 დოლარზე ზემოთ შემოსავლის მქონე ქვეყნები მაღალშემოსავლიანთა ჯგუფში გადიან (იხილეთ დანართი, ცხრილი 3).

2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) არ ახდენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ცალკე გამოყოფას, თუმცა EBRD-ის კვლევებში “გარდამავალი ინდიკატორები” (transition indicators) 35 ქვეყანა განიხილული (იხილეთ დანართი, ცხრილი 4).

3. საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF 2000) გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ჯგუფში შეჰყავს 31 ქვეყანა (იხილეთ დანართი, ცხრილი 5).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის შესაბამისი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კუთხით ამ ქვეყნებში დღეს არსებული მდგომარეობის შეფასება. ამ მიზნით გავაანალიზოთ EBRD-ის კვლევა “გარდამავალი ინდიკატორი”, რომელიც ყოველწლიურად აფასებს სხვადასხვა სექტორში, თუ ზოგადად ქვეყანაში, მიმდინარე რეფორმების თავსება-

დობას დასახულ მიზნებთან (დიაგრამა 2.2.1.)¹. აღნიშნული ინდექსი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს, რომელთა შეფასება ხდება “1-4+” შკალით²:

✓ პრივატიზაცია დიდი მასშტაბით. 1. მცირეა კერძო საკუთრების წილი; 2. პრივატიზაციის ყოვლისმომცველი გეგმა მზად არის დასანერგად, ცალკეული ობიექტების გაყიდვა დასრულებულია; 3 დიდი საწარმოების აქტივების 25 პროცენტზე მეტი კერძო სექტორის ხელშია ან პრივატიზაციის პროცესშია; 4. სახელმწიფო საწარმოებისა და ფირმების აქტივების 50% მეტი კერძო სექტორის ხელშია და ადგილი აქვს მნიშვნელოვან პროგრესს ამ საწარმოების კორპორატიული მართვის პროცესში; 4+. სტანდარტები და ქმედებები არის განვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკების მსგავსი: სახელმწიფო საწარმოებისა და ფირმების აქტივების 75% მეტი კერძო სექტორის ხელშია, ადგილი აქვს ეფექტიან კორპორატიული მმართველობას;

✓ პრივატიზაცია მცირე მასშტაბით. 1. ადგილი აქვს უმნიშვნელო პროგრესს; 2. საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი პრივატიზებულია; 3. ყოვლისმომცველი გეგმა მზად არის დასანერგად; 4. მცირე საწარმოები სრულად პრივატიზებულია სავაჭრო საკუთრების უფლებებით; 4+. სტანდარტები და ქმედებები არის განვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკების მსგავსი: სახელმწიფოს საკუთრებაში არ არის მცირე საწარმოები. ეფექტიანად ხდება მიწის ნაკვეთებით ვაჭრობა;

✓ მმართველობისა და საწარმოების რესტრუქტურისა. 1. რბილი საბუჯეტო შეზღუდვები (სუსტია საწარმოო დონეზე შეღავათიანი კრედიტებისა და სუბსიდირების პოლიტიკა). მიმდინარეობს ცალკეული რეფორმები კორპორატიული მმართველობის სტიმულირებისათვის; 2. ზომიერად მკაცრი საკრედიტო და სუბსიდირების პოლიტიკა, მაგრამ სუსტია კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმი და მცირეა ქმედებები კონკურენციისა და კორპორატიული მმართველობის

¹ განზოგადებული შეფასებით: „1” აღნიშნავს არსებული მდგომარეობის უცვლელობას, ხოლო „4+“ მიუთითებს საბაზრო ან ინდუსტრიული ეკონომიკის არსებობას. ეს ინდექსი ასევე ითვალისწინებს “საბანკო რეფორმებისა და საპროცენტო განაკვეთის ლიბერალიზაციის”, “ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების” მაჩვენებლებს, რომლებიც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენს მიერ არ არის განხილული. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: <https://www.ebrd.com/cs/Satellite?c=Content&cid=1395237866249&d=&pagename=EBRD%2FContent%2FContentLayout>

გასაძლიერებლად; 3. სახეზეა მნიშვნელოვანი და ზომიერი ქმედებები საბიუჯეტო შეზღუდვების კორპორატიული მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის; 4. არსებითია გაუმჯობესება კორპორატიულ მმართველობაში და მნიშვნელოვანია საწარმოო დონეზე ინვესტიციების წილი; 4+. სტანდარტები და ქმედებები არის განვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკების მსგავსი: ეფექტიანი კორპორატიული კონტროლი შიდა ფინანსური ინსტიტუტებითა და ბაზრებით;


✓ ფასების ლიბერალიზაცია. 1. ფასების მნიშვნელოვანი ნაწილი კონტროლდება მთავრობის მიერ; 2. შეიმჩნევა ცალკეული ცვლილებები ფასების ადმინისტრირებაში. სახელმწიფოს მიერ პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილის შესყიდვა ხდება არასაბაზრო ფასებში; 3. მნიშვნელოვანი ცვლილებებია ფასების ლიბერალიზაციის პროცესში, მაგრამ კვალ მოქმედებს სახელმწიფოს მიერ პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილის შესყიდვა არასაბაზრო ფასებში; 4. ფასების ყოვლისმომცველი ლიბერალიზაცია. სახელმწიფო შესყიდვები საბაზრო ფასებში, მხოლოდ მცირე რაოდენობის პროდუქტებზე ხორციელდება ფასების კონტროლი; 4+. სტანდარტები და ქმედებები არის განვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკების მსგავსი: ფასების სრული ლიბერალიზაცია, მათ შორის სახლებზე, ტრანსპორტზე და ბუნებრივი მონოპოლიებზე ფასების კონტროლი არ არსებობა;

✓ ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემა. 1. ექსპორტისა და იმპორტის კონტროლი ან უცხოურ ვალუტაზე ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო დონეზე შეზღუდვა; 2. ცალკეული ლიბერალიზაცია იმპორტისა და ექსპორტის კონტროლის მიმართულებით. თითქმის ყველა მიმდინარე ანგარიში კონვერტირებადია, მაგრამ უცხოური გაცვლითი სისტემა არ არის სრულად ტრანსფარენტული; 3. მოხსნილია თითქმის ყველა რაოდენობრივი და ადმინისტრაციული შეზღუდვები იმპორტსა და ექსპორტზე. ასევე, თითქმის ყველა მიმდინარე ანგარიში კონვერტირებადია; 4. მოხსნილია თითქმის ყველა რაოდენობრივი და ადმინისტრაციული შეზღუდვები იმპორტსა და ექსპორტზე (გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციისა). სამინისტროებისა და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების მხრიდან ადგილი აქვს უმნიშვნელო რაოდენობის პირდაპირ ინვესტიციებს იმპორტსა და ექსპორტში; 4+. სტანდარტები და ქმედებები არის განვითარებული ინდუსტრიული

ეკონომიკების მსგავსი: სატარიფო ბარიერების უმრავლესობა მოხსნილია. ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია;

✓ კონკურენციის პოლიტიკა. 1. არ არსებობს კონკურენციის კანონმდებლობა და ინსტიტუტები. 2. კონკურენციის პოლიტიკა და შესაბამისი ინსტიტუტები ჩამოყალიბების პროცესშია. 3. ადგილი აქვს ცალკეულ ქმედებებს საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემცირებისა და კონკურენტული გარემოს სტიმულირებისათვის; 4. მნიშვნელოვანი ქმედებები ხორციელდება საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემცირებისა და კონკურენტული გარემოს სტიმულირებისათვის; 4+ სტანდარტები და ქმედებები არის განვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკების მსგავსი: ეფექტიანია კონკურენციის პოლიტიკა, ბაზრების უმრავლესობაში შესვლა ხორციელდება შეზღუდვების გარეშე.

დიაგრამა 2.2.1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ინდიკატორი: გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შეფასება




მ
ო
ც
ე
მ
უ
ლი
ინ
დე
ს
ის
გ
ათ
ვა
ლი
ს
წ
ი
ნ
ებ

ით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობაში არსებული მდგომარეობა და გატრეხული რეფორმები ვერ იღებს უმაღლეს შეფასებას.

წარმოდგენილ კომპონენტებს თუ დავალაგებთ ქულათა რეიტინგის მიხედვით შემდეგი მდგომარეობა გვექნება (დიაგრამა 2.2.2.):

1. ფასების ლიბერალიზაცია;
2. ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემა;
3. პრივატიზაცია მცირე მასშტაბით;
4. პრივატიზაცია დიდი მასშტაბით;
5. კონკურენციის პოლიტიკა;
6. მმართველობისა და საწარმოების რეკონსტრუქცია.

დიაგრამა 2.2.2. გარდამავალი პერიოდის ინდექსი



შენიშვნა: გაანგარიშებულია ავტორის მიერ.

EBRD-ის მეთოდოლოგიით აღნიშნული მაჩვენებლები გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მიუთითებს შემდეგზე:

✓ კონკურენციის პოლიტიკა (მაჩვენებელი 2.1¹) - შემუშავებულია და შესაბამისი ინსტიტუტი ფუნქციონირებს. არის ცალკეული შეზღუდვები ბაზარზე შესვლის/გამოსვლის, დომინანტი ადგილი უკავია ცალკეულ ფირმებს;

✓ ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემა (მაჩვენებელი 3.4) - თითქმის მოხსნილია ადმინისტრაციული და რაოდენობრივი შეზღუდვები იმპორტსა და ექსპორტზე. მინდინარე ანგარიში სრულად კონვერტირებადია;

✓ მთავრობისა და საწარმოების რეკონსტრუქცია (მაჩვენებელი 2.1) - ზომიერად მჭიდრო სუბსიდირების პოლიტიკა, გაკოტრების კანონმდებლობის სუსტი აღსრულება და მცირე ზომების მიღება კონკურენციისა და კორპორაციული მმართველობის განმტკიცებისათვის;

✓ პრივატიზაცია მცირე მასშტაბით (მაჩვენებელი 3.4) - ყოვლისმომცველი პროგრამა შემუშავებულია და მზად არის განსახორციელებლად;

✓ პრივატიზაცია დიდი მასშტაბით (მაჩვენებელი 2.6) - ყოვლისმომცველი პროგრამა შემუშავებულია და მზად არის განსახორციელებლად, რამოდენიმე ობიექტი უკვე გაიყიდა.

როგორც ჩანს, მიუხედავად ცალკეულ წლებში მიღწეული წარმატებებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრივატიზაციის, ვაჭრობის, უცხოური გაცვლითი სისტემის, კონკურენციისა თუ სახელმწიფო საწარმოების კორპორატიული მმართველობის კუთხით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (2014 წლის მდგომარეობით) ჯერ კიდევ არ ხასიათდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან სრული თავისებურებებით. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში ყველაზე დაბალი (საშუალო) მაჩვენებელი კონკურენციის პოლიტიკის მიმართულეებით გამოვლინდა, რაც საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და დღემდე რჩება ამ ქვეყნებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, EBRD-ი ასევე ახორციელებს გარდამავალი პერიოდის ქვეყნების შეფასებას შემდეგი ინდექსების მეშვეობით: “სტრუქტურული ცვლილების ინდიკატორი” (Structural change indicators)² და “გარდამავალი

¹აქ და შემდგომშიც აღნიშნული მიუთითებს 1989-2014 წლების საშუალო სიდიდეზე.

²რაოდენობრივი შეფასება.

განვითარების სურათი” (Transition development snapshots)¹, სადაც შეფასებულია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში არსებული მდგომარეობა და მიღწეული პროგრესი, მათ შორის: 1. ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია; 2. ბიზნეს გარემო და კონკურენცია; 3. ინფრასტრუქტურა; 4. საფინანსო სექტორი. ყველა ეს სექტორები ასევე მოიცავს ქვესექტორებს². აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ხორვატიას, უნგრეთსა და სლოვაკეთს.

2.3. ეკონომიკური ზრდის შეფასება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

გასული საუკუნის 80-იან წლებში გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების გატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზეზად იქცა არაეფექტიანი ეკონომიკის არსებობა. მთავრობისათვის რთული იყო გადაწყვეტილების მიღება რესურსების და საქონლის, განსაკუთრებით კი სამომხმარებლო საქონლის ეფექტიან განაწილებაზე. ერთი მხრივ, იზრდებოდა დეფიციტი იმ პროდუქციაზე, რომელზედაც არსებობდა მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ - იმატა უსარგებლო საქონლის მარაგებმა, რაც საბოლოო ანგარიშით დანაკარგი იყო საზოგადოებისათვის. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში დაიწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაცემა.

ეკონომიკური თეორიის მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ზოგადად ორი ფაქტორით განისაზღვრება: 1. რესურსების (მიწა, სამუშაო ძალა, კაპიტალი) მატებით და, 2. ამ რესურსების მწარმოებლურობის გადიდებით. სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის 90% მიღწეული იყო რესურსების გადიდების ხარჯზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ქვეყნებმა შეძლეს სამუშაო ძალისა და კაპიტალის ძალზე ეფექტიანი მობილიზება. მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული ადამიანური დანაკარგების გათვალისწინებით აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში დაუსაქმებელი იყო მოსახლეობის შედარებით უფრო ნაკლები ოდენობა.

¹ექსპერტული შეფასება.

²დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდი:

<http://www.ebrd.com/cs/Satellite?c=Content&cid=1395236497710&d=Mobile&pagename=EBRD%2FContent%2FContentLayout>.


აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ახალშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ნათელი გახდა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ძნელი იქნებოდა. ის პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებიან უფრო რთულია, ლათინური ამერიკის ქვეყნების პრობლემებთან შედარებით, სადაც უკვე არსებობდა და ფუნქციონირებდა საბაზრო ინსტიტუტები.

ბუნებრივია, რეფორმის არსისა და სიძნელების შემეცნების შემდეგ თავდაპირველი აღფრთოვანება და ეიფორია იცვლება პესიმიზმით, იმედის გაცრუებით, აღშფოთებით, დაბნეულობით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ხდება „ჩავარდნები“ როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. საწყის ეტაპზე ნათლად არსებობს რწმენა იმისა, რომ გარდამავალი ეკონომიკა გადაიქცევა შეუფერხებლად ფუნქციონირებად საბაზრო სისტემად, რომელიც ცხოვრების უფრო მაღალ დონეს უზრუნველმყოფი იქნებოდა მომავალში.

გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმები მძიმე მაკრო-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე მიმდინარეობდა. კერძოდ, ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი: საქართველო -44,9%; -29.3% (1992-93 წწ); მოლდოვა -29.7%; -30,9% (1992 და 1994 წლები); ალბანეთი - 28% (1991 წელი); აზერბაიჯანი -23.1%; -19.7% (1993-94 წწ); უკრაინა -22.8 % (1994 წელი); ტაჯიკეთი -21.4% (1994 წელი).

გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან პირველი დადებით მაჩვენებელი დაფიქსირდა 1992 წელს პლონეთსა და სლოვენიაში; 1993 წელს რუმინეთში; 1994 წელს 5 ქვეყანაში - სომხეთი, ხორვატია, უნგრეთი, მონღოლეთი, სლოვაკეთი; 1995 წელს 2 ქვეყანაში - ესტონეთი და საქართველო. მომდევნო, 1996 წელს ზრდის დადებითი ტენდენცია გამოვლინდა შემდეგ 8 ქვეყანაში: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მაკედონია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლიტვა, ლატვია, უზბეკეთი. 1997-სა და 1998 წლებში ამ ქვეყნების რიცხვს კიდევ ოთხი ქვეყანა - მოლდოვა, რუმინეთი, ტაჯიკეთი, ბულგარეთი. ეკონომიკური ზრდის დადებითი მაჩვენებელი ყველაზე გვიან (2000 წელს) უკრაინაში დაფიქსირდა (დიაგრამა 2.3.1.). აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 1994 წელს; მედიანური 2000 წელს; მაქსიმალური 1996 წელს; მინიმალური 1992 წელს.

დიაგრამა 2.3.1. ეკონომიკური ზრდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში



ეკონომიკურ რეფორმებს აფერხებდა ის ფაქტიც, რომ ცალკეულმა ქვეყნებმა ეროვნული ვალუტის არქონის პირობებში გაატარეს მონეტარული რეფორმები. აღნიშნული და სხვა ფაქტორების (მათ შორის არაეკონომიკურის) გავლენით ამ ქვეყნებში ინფლაციური პროცესები უკონტროლო გახდა, რასაც შესაბამისი მონაცემებიც ადასტურებს. კერძოდ, ინფლაციის მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა 1994 წელს (15 606.5%), ხოლო მინიმალური იყო 1989 წელს (0.9%). ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი ორნიშნა სიდიდეს 1996 წლიდან აღწევს.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არაერთგზის დადასტურდა, რომ ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებელს სხვადასხვა ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ფაქტორი განსაზღვრავს. ეკონომიკური ზრდა არის კომპლექსური პროცესი, რომელსაც აქვს მრავალი დეტერმინანტი. ეკონომიკური თეორია არ გვამღევს ნათელ, შეთანხმებულ პოზიციას მოდელის “სწორი” სპეციფიკაციების შესახებ (Havrylyshyn, Izvorski, Rooden 1998, 13). ეკონომიკური ზრდა არის მეწარმეებისა და მენეჯერების “ათასი და ერთი” ინდივიდუალური ინიციატივა იმისათვის, რომ გააუმჯობესონ პროდუქტი და საწარმოო პროცესი. აღსანიშნავია, რომ რეგრესიულ ანალიზს არ შეუძლია “ახსნას” ზრდა, მაგრამ მას საუკეთესოდ შეუძლია მოახდინოს მისი ბუნების შეფასება.

ეკონომიკური ზრდის თეორიებში კონსენსუსი მიღწეულია ინვესტიციების, როგორც ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მნიშვნელოვანი ფაქტორის შესახებ. თუმცა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან, მემკვიდრობით მიღებული არაეფექტიანი სისტემით, ინვესტიციების როლი მოკლევადიან პერიოდში შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს ეკონომიკის სტიმულირებისათვის. აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შეფასებისას ინვესტიციებს უფრო ნაკლები როლი ენიჭება, ვიდრე სტრუქტურულ რეფორმებსა და კერძო საკუთრების დაცვაზე ორიენტირებულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას (Havrylyshyn, Izvorski, Rooden 1998, 24)

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ ჩატარებული კვლევები ხაზს უსვამს შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებს:

✓ თავდაპირველი მდგომარეობა არის მნიშვნელოვანი ქვეყნებს შორის ეკონომიკური ზრდის განსხვავებული მაჩვენებლების შეფასებისათვის. ცაკლეული კვლევების მიხედვით, მოსახლეობის ერთ სულზე ეკონომიკის ზრდა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია გამოშვების საწყის დონესთან. ღარიბ ქვეყნებს აქვთ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევის მეტი შესაძლებლობა, ვიდრე მდიდრებს. გარდა ამისა, რესურსებით სიმდიდრე არ წარმოადგენს მაღალი ეკონომიკური ზრდის აუცილებელ პირობას;

✓ კარგ ეკონომიკურ პოლიტიკას (მაკროეკონომიკური სტაბილურობა) ძლიერი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე. როგორც კვლევებიდან ჩანს: ინფლაციის შემცირება 30-40%-ით და უფრო მეტად მნიშვნელოვანი წინაპირობა ეკონომიკური ზრდისათვის; ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ ჰქონდეთ მაღალი გადასახადები, გაცვლისა და იმპორტის კონტროლის სისტემა, ფასების რეგულირების პრაქტიკა ვერ აღწევენ ეკონომიკური ზრდის მაღალ დონეს;

✓ სამართლებრივი, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური გარემო ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის მნიშვნელოვანია. ცალკეული კვლევების მიხედვით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც არის გამართული ინსტიტუციური გარემო, პოლიტიკური სტაბილურობა, ბიზნესისათვის

ხელსაყრელი გარემო და სათანადო დონეზეა მთავრობის საკრედიტო თუ სხვა მსგავსი ინდიკატორები.

რაც შეეხება სხვა მაჩვენებლებს, შეძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებისთვის სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბების პროცესში ინფლაცია იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რასაც ძირითადად განაპირობებდა არსებული მონეტარული სისტემის ნგრევისა და ახლის ჩამოყალიბების პროცესებს შორის დროითი ლაგი.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყნების ჭრილში გაანალიზებულ ეკონომიკური ზრდის მოდელებზე განხორციელებული კვლევების ავტორები, ერთი მხრივ, ხაზს უსვამენ ამ ქვეყნებს შორის განსხვავებულ გარემო პირობებს და მეორე მხრივ, ავლენენ საერთო ფაქტორებს, რომლებიც ყველა ძირითადად ქვეყანაში გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ასეთი ფაქტორები კვლევების უმრავლესობაში ჩართულია, როგორც დამოუკიდებელი ინდიკატორები, რომელთა შორის აღსანიშნავია: სტრუქტურული რეფორმები, საწყისი მდგომარეობა, ინფლაცია (მიმდინარე და ლაგით), საბიუჯეტო ხარჯები/დეფიციტი (მიმდინარე და ლაგით), ომი (ფიქტიური ცვლადი), რუბლის ზონა, გაცვლითი კურსი (ფიქტიური ცვლადი), საბჭოთა კავშირის დაშლა (ფიქტიური ცვლადი) და სხვა ფაქტორები. ასევე ადგილი აქვს მშპ-ზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორების გამოსავლენად ფაქტორთა განსხვავებული კომბინაციის შეფასებას (იხილეთ დანართი, ცხრილი 6).

დანართის მე-6 ცხრილში მოცემულ კვლევებს საერთო ნიშნების მიხედვით თუ გავაერთიანებთ ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ შემდეგ ფაქტორთა ჯგუფს მივიღებთ:

✓ სტრუქტურული რეფორმები და ლიბერალიზაცია (de Melo, Deniz, Gelb 1996, de Melo et al., 1997, Fischer, Sahay, Végh 1996a, 1996b, Hernández-Catá 1997, Berg et al., 1999);

✓ მაკროეკონომიკური სტაბილურობა (Fischer, Sahay, Végh 1996a, 1996b, Hernández-Catá 1997, Loungani, Sheets 1997, Christoffersen, Doyle 1998, Berg et al., 1999);

✓ საბიუჯეტო დეფიციტი (Berg et al., 1999, Fischer, Sahay, Végh 1996a, 1996b);

✓ საწყისი მდგომარეობა (de Melo, Deniz, Gelb 1996; de Melo et al., 1997, Heybey, Murrell 1998, Berg et al., 1999).

აღნიშნულ და სხვა მსგავს კვლევებში ფართოდ არის დასაბუთებული და ახსნილი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი არაერთი ფაქტორი, რომლებზეც მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეთანხმებულია. თუმცა, დღემდე სადავოდ რჩება ამ ფაქტორების ფარდობითი მნიშვნელობის საკითხი (Mervar 2003).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში განხორციელებული რეფორმები მოიცავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. შესაბამისად, რეფორმებსა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის კავშირის შეფასებისათვის მიზანშეწონილია პანელური მოდელის გამოყენება, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში ერთსა და იმავე ჯვარედინ ერთეულებს ვადევნოთ თვალყური. პანელური მონაცემების სიმრავლე შესდგება მონაცემთა სიმრავლეში შემავალი თითოეული ჯვარედინი წევრის დროითი მწკრივებისაგან. ასეთი მოდელი უფრო მოქნილია და ქვეყნების მიხედვით განსხვავებული ქვეყნების მოდელირების შესაძლებლობას იძლევა.

ეკონომიკური ზრდის თეორიული მოდელები ამ საკითხზე არსებული კვლევების (Mankiw et al, 1992, Islam 1995, Barro 1997, Barro, Sala-i-Martin 2004) უმრავლესობაში მოცემულია შემდეგნაირად:

$$g_{it} = \beta Z_{it} + \lambda X_{it} + v_t + \mu_i + \varepsilon_{it} , \quad (2.3.1)$$

სადაც,

g_{it} დამოკიდებული ცვლადი გამოსახავს (i) ქვეყნის მშპ-ის ზრდას მოცემულ (t) პერიოდში;

Z, X - ძირითადი ამხსნელი ცვლადები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ დამოკიდებულ ცვლადზე;

μ_i - ქვეყნის არადაკვირვებადი ფაქტორები, რომლებიც დროში არ იცვლებიან (თითქმის არ იცვლება);

v_t - სპეციფიკური დროის ფაქტორი (ფიქტიური ცვლადი);

ε_{it} - შეცდომების (ინოვაციების) ცვლადი.

პანელური მოდელის შეფასებისათვის შემდეგი ორი ძირითადი პროცედურა გამოიყენება:

✓ ფიქსირებული ეფექტი. ეს პროცედურა მაშინ არის გამართლებული, როცა პანელური მონაცემების მოდელის შეცდომის წევრში შედის დროში უცვლელი დაუკვირვებადი ცვლადი. ფიქსირებული ეფექტის მოდელი შესაძლებლობას იძლევა ქვეყნებს შორის არსებული განსხვავება შეფასებულ იქნას განსხვავებულ კონსტანტებში. აღნიშნული მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია, როდესაც საქმე გვაქვს შესაფასებელი ქვეყნების დიდ რაოდენობასთან, რომელთა მონაცემები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით (Greene 2000).

✓ შემთხვევითი ეფექტი. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ პანელური მონაცემების მოდელში შემავალი დროში მუდმივი დაუკვირვებადი ეფექტები არაკორელირებულია მოდელის ამხსნელ ცვლადებთან დროის თითოეულ პერიოდში.

(2.3.1.) მოდელის თავისებურებებისა და კვლევის მიზნების გათვალისწინებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ფაქტორებსა და მშპ-ს შორის არსებული კავშირების შეფასებისათვის, ასევე ცალკეული ფაქტორების მნიშვნელოვნების შესწავლისთვის ჩვენ ვიყენებთ შემდეგ პანელურ მოდელს¹:

$$Y_{i,t} = a_i + b_0LNP_{i,t} + b_1LNP_{i,t-1} + b_2LNP_{i,t-2} + c_0RI_{i,t} + c_1RI_{i,t-1} + c_2RI_{i,t-2} + d_0EXP_{i,t} + d_1EXP_{i,t-1} + d_2EXP_{i,t-2} + \epsilon_{i,t}. \quad (2.3.2)$$

სადაც,

Y – მშპ-ის რეალური ზრდა (%-ში);

LNP- ინფლაციის მაჩვენებელი;

RI - სტრუქტურული რეფორმების ინდექსი (EBRD-ის მიერ შეფასებული შემდეგი ინდიკატორების საშუალო სიდიდე: ფასების ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია მცირე და დიდი მასშტაბით, კონკურენციის პოლიტიკა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ფისკალური სექტორის რეფორმა, მმართველობისა და საწარმოების რეფორმა, ინფრასტრუქტურული რეფორმები);

g - მთავრობის ხარჯები (პროცენტული წილი მშპ-ში).

¹აღნიშნული მოდელი ეყრდნობა Havrylyshyn, Izvorski, Rooden (1998) და Mervar (2003) კვლევებს.

სხვადასხვა ავტორის მიერ მოყვანილი მოდელის შეფასებულ ვარიანტებში ინფლაციას აქვს უარყოფითი გავლენა მშპ-ზე (ე.ი. შეფასებულ მოდელში b_0, b_1 და $b_2 < 0$), ხოლო სტრუქტურული რეფორმების მაღალი ხარისხი დადებით გავლენას ახდენს მშპ-ზე. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადრეულ კვლევებში მიღებული შეფასებების თანახმად, სტრუქტურული რეფორმების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითია მოკლევადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან პერიოდში დადებითია. შეიძლება ითქვას, რომ (2.3.2) მოდელის ვერიფიცირებული ვარიანტის მიხედვით რეფორმებს ზოგადად დადებითი გავლენა აქვს მშპ-ზე. რაც შეეხება მთავრობის ხარჯების გავლენას მშპ-ზე, ცალკეული კვლევით დასტურდება მთავრობის ხარჯებსა და მშპ-ს შორის პოზიტიური კავშირი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ჩატარებული რეფორმებიც ცხადყოფს, რომ კეინზიანურ პოლიტიკას დადებითი ეფექტი აქვს სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის პირობებში, ხოლო მთავრობის ხარჯების ეფექტიანობა მცირდება მის მიერ “სოციალური” პროექტების დაფინანსების ზრდისას.

(2.3.2) მოდელი მშპ-ზე გავლენის მქონე ფაქტორების მხოლოდ ვიწრო წრის შეფასების შესაძლებლობას გვაძლევს. ეს მაშინ, როდესაც არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სხვა გარემოებებსაც, რომელთა გავლენა ქვეყნის მშპ-ზე ასევე მაღალია. ასეთ ფაქტორებს შორის მიზანშეწონილია განვიხილოთ: ინვესტიციები; ფასების ლიბერალიზაცია; სავაჭრო და გაცვლითი რეჟიმი; ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (კონკურენციის პოლიტიკა) და პრივატიზაცია. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტორების ეფექტიანობა ხშირ შემთხვევაში განისაზღვრება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რაც ამ ქვეყნებს მნიშვნელოვნად განასხვავებს განვითარებული ეკონომიკებისაგან, სადაც ამ ფაქტორების უმეტესობა დიდი ხანია არ განიხილება მშპ-ზე ზემოქმედების მქონედ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გარდავექმნათ ზემოთ მოყვანილი მოდელი ისე, რომ მასში დამატებით ჩავრთოთ სხვა ფაქტორები. შედეგად მივიღებთ (2.3.2) მოდელის შემდეგ გაფართოებულ ვარიანტს¹:

¹მოდელში ჩართული მაჩვენებლების გაუმჯობესება წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური სტრატეგიის მთავარ მიზანს.

$$\begin{aligned}
Y_{i,t} = & a_i + b_0LNP_{i,t} + b_1LNP_{i,t-1} + b_2LNP_{i,t-2} + c_0RI_{i,t} + c_1RI_{i,t-1} + c_2RI_{i,t-2} + \\
& d_0EXP_{i,t} + d_1EXP_{i,t-1} + d_2EXP_{i,t-2} + e_0LIP_{i,t} + e_1LIP + e_2LIP_{i,t-2} + f_0LEN_{i,t} + \\
& f_1LEN_{i,t-1} + f_2LEN_{i,t-2} + C_0LEX_{i,t} + C_1LEX_{i,t-1} + C_2LEX_{i,t-2} + g_0LSP_{i,t} + g_1LSP + \\
& g_2LSP_{i,t-2} + d_0IN_{i,t} + d_1IN_{i,t-1} + d_2IN_{i,t-2} + \epsilon_{i,t} \quad (2.3.3)
\end{aligned}$$

სადაც,

LIP - ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი;

LEN - ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (კონკურენციის პოლიტიკა);

LEX - ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემა;

LSP - პრივატიზაციის ინდექსი (დიდი და მცირე მაშტაბის პრივატიზაციის ინდიკატორების საშუალო სიდიდე);

IN - ინვესტიციები (%-ლი წილი მშპ-ში).

თეორიულ დონეზე შეგვიძლია დავუშვათ, რომ ამ ფაქტორების შესაფასებელი კოეფიციენტები ($e_0, e_1, e_2; f_0, f_1, f_2; c_0, c_1, c_2; g_0, g_1, g_2; d, d_1, d_2$) დადებითია, თუმცა გარდამავალი ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო, ფაქტორების დროითი ლაგით ანალიზისას, შესაძლებელია ზოგიერთი მათგანი უარყოფითი აღმოჩნდეს.

(2.3.3) მოდელი გავაანალიზეთ 25 ქვეყნის, 1996-2014 წლების მონაცემების გამოყენებით¹. სადაც, დამოკიდებული ცვლადი (Y) IMF-ის², ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები (LNP; RI; g; LIP; LEN; LEX; LSP; IN) EBRD-ის ოფიციალურ სტატისტიკას³.

საანალიზო პერიოდი, ასევე დავეყავით ორ ნაწილად (1999-2007 და 2007-2014 წლები), მოდელის ფარგლებში განხილული ფაქტორების განსხვავებულ პერიოდში შეფასებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ანალიზის გაფართოების მიზნით არ შემოვიფარგლეთ (2.3.3) მოდელის ერთი სპეციფიკაციით და განვიხილეთ მისი რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან განხილულ ფაქტორთა მოცვის ხარისხით. გარდა ამისა, სხვადასხვა ვარიანტისთვის გამოვიყენეთ ფიქსირებული და შემთხვევითი ეფექტის მეთოდები.

¹ქვეყნების ჩამონათვალი იხილეთ დიაგრამა 2.3.1.-ში.

²დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდი: <https://www.imf.org/external/datamapper/index.php>

³დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 2.2 საკითხში.

განხილული მოდელების სტატისტიკური მნიშვნელოვნების შეფასებისთვის ცნობილი საშედეგო სტატისტიკური მაჩასიათებლები გამოიყენება: დეტერმინაციის ჩვეულებრივი და კორექტირებული R^2 და \bar{R}^2 კოეფიციენტები, დარბინ-უიტსონის სტატისტიკა (DW); F-სტატისტიკა და ჰაუსმანის (Hausman) ტესტი (ფიქსირებული და შემთხვევითი ეფექტების არჩევისას).

მოკლედ დავახასიათოთ (2.3.3) მოდელის ვარიანტების თავისებურებები და შედეგები.

შემთხვევითი ეფექტების მოდელი. შემთხვევითი ეფექტებით სულ გაანალიზებულია 9 მოდელი (ცხრილი 2.3.1.)¹, რომელთა შორის შედარებით საუკეთესო სტატისტიკური შეფასებებით ხასიათდება A6 მოდელი, სადაც ამხსნელ ფაქტორებად განხილულია ინფლაცია (LNP), მთავრობის ხარჯები (g), ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი (LIP), ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (კონკურენციის პოლიტიკა) (LEN), ვაჭრობა და უცხოური გაცვლითი სისტემა (LEX), პრივატიზაციის ინდექსი (LSP), ინვესტიციები (IN). ჩამოთვლილი ფაქტორებიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მხოლოდ სამი: მთავრობის ხარჯები (g), კონკურენციის პოლიტიკა (LEN) და ინვესტიცია (IN). ამასთან, მშპ-ზე მთავრობის ხარჯების გავლენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია პირველ პერიოდში, მომდევნო პერიოდში კი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი ხდება; კონკურენციის პოლიტიკა მშპ-ზე მხოლოდ ერთი ლაგის დაგვიანებით ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას; რაც შეეხება ინვესტიციებს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტორი ყველა სხვა დანარჩენთან შედარებით სტაბილური ზემოქმედებით გამოირჩევა და სამივე ლაგისთვის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ როგორც A6 მოდელიში, ასევე სხვა დანარჩენ მოდელებშიც ზოგიერთი ფაქტორის კოეფიციენტის ნიშანი არ არის შესაბამისობაში ზოგადი თეორიით გათვალისწინებულთან. მაგალითად, A6-ის მიხედვით მშპ-ზე სამთავრობო ხარჯების ან ინვესტიციების ზრდის გრძელვადიანი გავლენა უარყოფითია.

2.3.1. ცხრილში წარმოდგენილი სხვა მოდელებისა და ცვლადების ზოგადი შეფასება შემდეგ თავისებურებებზე მიგვითითებს:

¹აღნიშნული მეთოდით პანელური მოდელის გაანალიზება განპირობებული იყო შესაბამისი ტესტით, რომელიც ფიქსირებულ ეფექტთან შედარებით შემთხვევითი ეფექტების მეთოდის უპირატესობაზე მიუთითებს. იხილეთ 2.3.1. ცხრილში “ჰაუსმან ტესტი”.

✓ ინფლაციის (LNP) უარყოფითი გავლენა მშპ-ზე დასტურდება ყველა მოდელში;

✓ სტრუქტურული რეფორმების ინდექსი (RI) ჩართული იყო მხოლოდ ერთ მოდელში და შეფასების მიხედვით მშპ-ზე ეს ფაქტორი დადებითად ზემოქმედებს როგორც საწყის პერიოდში ასევე გრძელვადიან პერიოდში;

✓ მოდელების უმრავლესობის თანახმად მთავრობის ხარჯების (g) გრძელვადიანი გავლენა მშპ-ზე უარყოფითია;

✓ განხილულ მოდელებში მშპ-ზე ზემოქმედების თვალსაზრისით არაერთგვაროვან სურათს ვაწყდებით ფასების ლიბერალიზაციის ინდექსთან (LIP) მიმართებაში;

✓ მოდელების უმრავლესობაში ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (LEN) სტატისტიკურად მნიშვნელოვან ეფექტს ერთი ლაგის დაგვიანებით იძლევა და ეს ეფექტი მშპ-ზე ძირითადად უარყოფითია;

✓ შეიძლება ითქვას, რომ მოდელების უმრავლესობაში გამოკვეთილი სურათი არ მიიღება გაცვლითი რეჟიმის (LEX) მიმართ;

✓ პრივატიზაციის ინდექსი (LSP) ჩართული იყო მხოლოდ ორ მოდელში. ორივე მათგანის მიხედვით LSP მშპ-ზე დადებით გავლენას ახდენს საწყის პერიოდში, გრძელვადიანი ეფექტი კი უარყოფითია;

✓ განხილულ ყველა მოდელში ინვესტიციების დადებითი გავლენა მშპ-ზე ძირითადად გრძელვადიან პერიოდში ვლინდება.

საწყისი მდგომარეობის შეფასება. ცალკეულ კვლევებში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების წარმატების თუ წარუმატებლობის განმაპირობებელ ფაქტორად ქვეყნის საწყისი მდგომარეობაც განიხილება (Fischer, Sahay 2004).

საწყისი მდგომარეობის პირველი სტრუქტურული ანალიზი დე მელოსა და სხვების მიერ განხორციელდა (de Melo et al., 1997), შემდეგი 11 კრიტერიუმის გამოყენებით:

1. ქვეყნის მდებარეობა¹;
2. გასული პერიოდის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი;

¹იგულისხმება ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან დაშორება.

3. განსხვავება ქვეყნებს შორის 1989 წლამდე ან მის მერე მიღებული დამოუკიდებლობით;

4. ბუნებრივი რესურსების რაოდენობა;

5. ინდუსტრიალიზაციის დონე;

6. ურბანიზაცია;

7. მშპ ერთ სულზე 1989 წლის მაჩვენებლით;

8. ინფლაცია;

9. სავაჭრო დამოკიდებულება კომუნისტურ ქვეყნებს შორის;

10. ჩრდილოვანი ბაზარი და გაცვლითი კურსი;

11. კომუნისტურ სისტემაში გატარებული წლების რაოდენობა.

როგორც მოყვანილი ჩამონათვალი გვიჩვენებს, საწყისი მდგომარეობის შეფასებისათვის ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ინდიკატორები გამოიყენება, რომლებიც ცალკეულ კვლევებში განსხვავებული კომბინაციითა და შინაარსით გვხვდება (Stiglitz 1992, 6-9). წინამდებარე კვლევაში (2.3.3) მოდელზე დაყრდნობით საწყისი მდგომარეობის შეფასებისას გამოვიყენეთ: ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი (LIP); ბაზარზე შესვლის მაჩვენებელი (კონკურენციის პოლიტიკა) (LEN); ვაჭრობა და გაცვლითი სისტემა (LEX); პრივატიზაციის ინდექსი (დიდი და მცირე მასშტაბის პრივატიზაციის ინდიკატორების საშუალო სიდიდე) (LSP); ინვესტიციები (IN). ამ ფაქტორების განსხვავებული კომბინაციით შევაფასეთ 11 მოდელი ფიქსირებული ეფექტის გამოყენებით, რაც ამ საკითხთან მიმართებაში ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია (de Melo et al., 1997, Heybey, Murrell 1998, Berg et al., 1999).

ფიქსირებული ეფექტების (2.3.3) მოდელით მიღებული შეფასებები განხილული ქვეყნებისთვის დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან (იხილეთ ცხრილი 2.3.2.). მიუხედავად ამისა, ქვეყნებს შორის დღესაც შესამჩნევია გარკვეული განსხვავება. კერძოდ, ყველაზე მაღალი საწყისი მდგომარეობის მაჩვენებლით ხასიათდება: აზერბაიჯანი, უნგრეთი, ყაზახეთი, ხოლო მინიმალურით ბულგარეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, საქართველო, მოლდოვა, პლონეთი, რუმინეთი, რუსეთი. ცხრილი 2.3.2.-დან ჩანს, რომ ქვეყნების უმრავლესობაში საწყისი მდგომარეობა უკვე აღარ წარმოადგენს მშპ-ზე გავლენის მქონე ფაქტორს, და ამას განაპირობებს რეფორმების საწყისი ეტაპიდან დღემდე გასული ხანგრძლივი პერიოდი. საწყისი

მდგომარეობის გავლენა მშპ-ზე საკმაოდ მაღალი იყო რეფორმების საწყის პერიოდში, როდესაც ცალკეულ ქვეყნებში მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების ნაწილი არ ფუნქციონირებდა და მიმდინარე რეფორმების პარალელურად სახეზე იყო ეკონომიკური დაცემის გაღრმავების ტენდენციები

ცხრილი 2.3.1. მშპ-ის ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები (შემთხვევითი ეფექტი, 1998-2014 წლები)

| დამოკიდებული ცვლადი მშპ | | | | | | | | | |
|-------------------------|--------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ცვლადები | A1 | A2 | A3 | A4 | A5 | A6 | A7 | A8 | A9 |
| LNP | -0.008 (-0.62) | -0.01 (-0.85) | -0.002 (0.13) | -0.26 (-1.79) | -0.003 (-0.21) | -0.02 (-1.55) | -0.01 (-0.65) | -0.009 (-0.56) | -0.007 (0.63) |
| LNP-1 | -0.0005 (-0.12) | -0.002 (-0.50) | -0.005 (-0.03) | -0.001 (-0.23) | -0.004 (-0.78) | -0.001 (0.25) | -0.009 (-0.20) | -0.003 (-0.61) | -0.001 (-0.53) |
| LNP-2 | -0.005 (-1.66) | -0.006 (-2.16) | -0.005 (-1.18) | -0.006 (-2.15) | -0.005 (-1.71) | -0.003 (-1.30) | -0.004 (-1.61) | -0.004 (-1.54) | -0.004 (-1.48) |
| RI | 7.11 (1.64) | | | | | | | | |
| RI-1 | -12.83 (-2.12) | | | | | | | | |
| RI-2 | 3.37 (0.91) | | | | | | | | |
| g | -0.31 (-3.79) | | | | -0.32 (-3.85) | -0.27 (-3.56) | -0.28 (-3.60) | -0.32 (-3.88) | |
| g-1 | 0.03 (0.32) | | | | 0.03 (0.34) | 0.09 (0.93) | 0.07 (-0.77) | 0.05 (0.50) | |
| g-2 | 0.06 (0.85) | | | | 0.05 (0.65) | -0.02 (-0.29) | -0.007 (-0.09) | 0.04 (0.57) | |
| LIP | | 0.98 (0.70) | -0.76 (-0.34) | | -0.96 (-0.39) | -0.30 (-0.14) | -1.90 (-0.86) | -0.35 (-0.14) | |
| LIP-1 | | 0.79 (0.79) | 1.31 (0.43) | | 1.08 (0.37) | -0.13 (-0.05) | 0.70 (0.27) | 0.69 (0.24) | |
| LIP-2 | | -1.08 (0.65) | -3.59 (-1.52) | | -1.83 (-0.08) | 1.16 (0.56) | 0.37 (0.17) | -1.19 (-0.51) | |
| LEN | | 2.25 (0.15) | | 2.36 (1.62) | 2.33 (1.55) | 1.23 (0.93) | 1.49 (1.10) | 2.12 (1.42) | |
| LEN-1 | | -4.92 | | -4.94 | -4.36 | -4.18 | -3.70 | -4.57 | |

| | | | | | | | | | |
|----------------|------------------|-----------------|------|----------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| | | (0.01) | | (-2.57) | (-2.35) | (-2.48) | (-2.23) | (-2.46) | |
| LEN-2 | | 1.15 (0.38) | | 0.47 (0.38) | 1.81 (1.41) | 1.78 (1.54) | 1.45 (1.25) | 2.06 (1.58) | |
| LEX | | 0.21 (0.90) | | | 0.83 (0.45) | 0.88 (0.55) | 0.29 (0.17) | 1.006 (0.55) | |
| LEX-1 | | -1.90 (0.42) | | | -1.07 (-0.46) | -1.03 (-0.50) | -1.11 (-0.54) | -0.94 (-0.41) | |
| LEX-2 | | -0.64 (0.70) | | | -0.44 (-0.27) | 0.30 (0.21) | 0.02 (0.01) | -0.20 (-0.12) | |
| LSP | | | | | | 0.61 (0.31) | | 2.96 (1.36) | |
| LSP-1 | | | | | | -3.77 (1.55) | | -3.84 (-1.42) | |
| LSP-2 | | | | | | 1.67 (1.11) | | -0.05 (-0.03) | |
| IN | 0.13 (1.76) | | | | | 0.47 (9.50) | 0.48 (9.48) | | 0.51 (9.92) |
| IN-1 | -0.03 (-0.31) | | | | | -0.19 (-2.99) | -0.21 (-3.24) | | -0.25 (-3.90) |
| IN-2 | -0.12 (-1.16) | | | | | -0.19 (-3.83) | -0.18 (-3.53) | | -0.25 (-4.92) |
| R ² | 0.20 | 0.11 | 0.04 | 0.08 | 0.22 | 0.43 | 0.36 | 0.25 | 0.23 |
| \bar{R}^2 | 0.18 | 0.08 | 0.02 | 0.06 | 0.19 | 0.40 | 0.33 | 0.22 | 0.22 |
| F-სტატისტიკა | 11.41 | 4.15 | 2.99 | 5.93 | 7.49 | 14.14 | 12.48 | 7.45 | 20.23 |
| DW | 1.23 | 1.24 | 1.19 | 1.86 | 1.22 | 1.35 | 1.41 | 1.21 | 1.29 |
| ჰაუსმან ტესტი | 0.61 | 0.78 | 0.11 | 0.03 | 0.12 | 0.01 | 0.49 | 0.48 | 0.00 |

ცხრილი 2.3.2. საწყისი მდგომარეობის შეფასება (ფიქსირებული ეფექტი, 1998-2014 წწ)

| | A1 | A2 | A3 | A4 | A5 | A6 | A7 | A8 | A9 | A10 | A11 |
|-------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|--------|-------|
| ალბანეთი | -0.90 | 0.31 | -0.30 | 0.71 | 0.83 | -0.62 | -1.98 | -0.65 | -1.81 | -2.25 | -0.43 |
| სომხეთი | -1.88 | 2.05 | 1.43 | 2.65 | 2.42 | 0.99 | -3.21 | 2.10 | -1.36 | -3.73 | 2.05 |
| აზერბაიჯანი | 2.07 | 4.11 | 4.63 | 5.60 | 5.32 | 4.69 | 2.20 | 4.32 | 3.03 | 3.55 | 5.69 |
| ბელორუსია | 2.17 | -1.19 | -0.32 | -0.53 | -0.03 | 0.86 | 3.24 | -3.56 | -0.38 | 4.87 | 0.13 |
| ბულგარეთი | 0.51 | -0.05 | -0.04 | -0.55 | -0.45 | -0.38 | 0.56 | -7.18 | 0.30 | -0.31 | -1.33 |
| ხორვატია | 0.45 | -2.53 | -2.79 | -3.33 | -3.00 | -3.01 | 0.20 | -2.33 | -0.33 | 0.12 | -3.12 |
| ესტონეთი | 2.30 | 0.78 | 0.60 | -0.78 | -0.97 | 0.38 | 2.81 | 0.19 | 1.54 | 2.16 | -1.57 |
| მაკედონია | -1.83 | -1.89 | -2.60 | -1.65 | -1.64 | -2.90 | -2.78 | 0.33 | 0.12 | -2.91 | -0.50 |
| საქართველო | -2.27 | 1.08 | 0.28 | 1.09 | 1.12 | -0.20 | -3.50 | 0.54 | -2.42 | -4.28 | 0.01 |
| უნგრეთი | 4.63 | -0.19 | -0.28 | -2.00 | -2.10 | -0.60 | 5.51 | -0.33 | 3.52 | 4.89 | -2.47 |
| ყირგიზეთი | -0.75 | 0.08 | -0.56 | 0.33 | 0.28 | -1.02 | -1.61 | -0.21 | -1.04 | -2.10 | -0.68 |
| ლატვია | 1.86 | 0.42 | 0.46 | -0.28 | -0.45 | 0.17 | 2.27 | -0.08 | 1.26 | 2.05 | -1.27 |
| ლიტვა | 0.99 | 0.37 | 0.62 | -0.69 | -0.69 | 0.47 | 1.57 | 1.10 | 1.72 | 1.08 | -0.65 |
| მოლდოვა | -0.23 | -1.43 | -1.34 | -1.37 | -0.56 | -1.56 | -0.73 | -1.17 | -0.84 | -0.59 | -1.35 |
| პოლონეთი | 0.59 | 0.68 | 0.81 | -0.68 | -0.69 | 0.59 | 1.11 | 0.99 | 1.36 | 1.14 | -0.85 |
| რუმინეთი | -1.09 | -1.20 | -0.87 | -1.38 | -1.12 | -1.31 | -0.74 | -0.76 | -0.61 | -1.127 | -2.04 |
| რუსეთი | -0.37 | -0.77 | -0.80 | -0.84 | -1.07 | -0.51 | 0.23 | -0.78 | -0.08 | 0.22 | -0.44 |
| სლოვაკეთი | 2.95 | 1.12 | 1.04 | -0.69 | -0.62 | 0.90 | 3.46 | 1.44 | 2.73 | 2.88 | -0.64 |
| სლოვენია | 1.36 | -1.69 | -1.81 | -2.62 | -2.08 | -2.02 | 1.27 | -1.64 | 0.55 | 1.66 | -2.43 |
| ტაჯიკეთი | -2.77 | 0.83 | 1.10 | 2.28 | 2.09 | 1.44 | -3.05 | 1.34 | -1.22 | -2.45 | 2.91 |
| თურქმენეთი | -2.56 | 2.88 | 3.90 | 6.37 | 5.83 | 5.40 | -2.20 | 4.33 | 0.35 | -0.48 | 9.41 |
| უკრაინა | -0.32 | -2.94 | -2.61 | -2.43 | -2.7 | -2.43 | 0.46 | -2.28 | -0.07 | 0.63 | -1.91 |
| უზბეკეთი | -0.96 | -1.17 | -0.57 | 0.035 | -0.25 | 0.70 | -0.34 | -2.35 | -2.50 | -0.35 | 1.26 |
| ყაზახეთი | -3.94 | 0.36 | 0.02 | 0.80 | 0.59 | -0.01 | -4.74 | -0.52 | -3.82 | -4.70 | 0.27 |

ცხრილი 2.3.3. მშპ-ის ზრდის პანელური მოდელი (1999-2007 წწ)

| ცვლადები | A1 | A2 | A3 | A4 | A5 | A6 |
|----------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| LNP | -0.02 (-1.87) | -0.02 (-1.93) | -0.01 (-1.18) | -0.02 (-2.41) | -0.02 (-2.31) | -0.02 (-2.23) |
| RI | -1.11 (-0.66) | | | -3.55 (-2.26) | -3.08 (-3.37) | |
| გ | -0.19 (-4.15) | -0.20 (-4.40) | -0.21 (-4.69) | | | -0.23 (-5.25) |
| LIP | | | | | | -2.89 (-1.66) |
| LEN | -0.73 (-2.60) | -1.31 (-2.35) | | | | 1.13 (0.15) |
| LEX | | | -0.40 (-0.47) | | | 0.85 (0.97) |
| LSP | | | | 0.23 (0.22) | | -0.61 (-0.76) |
| IN | 0.24 (5.83) | 0.23 (5.68) | 0.21 (5.07) | 0.23 (5.68) | 0.23 (5.68) | 0.20 (5.17) |
| R ² | 0.18 | 0.18 | 0.16 | 0.12 | 0.12 | 0.21 |
| \bar{R}^2 | 0.16 | 0.16 | 0.15 | 0.11 | 0.11 | 0.19 |
| F-სტატისტიკა | 9.53 | 11.93 | 10.55 | 7.80 | 10.27 | 8.08 |
| DW | 1.48 | 1.47 | 1.44 | 1.36 | 1.38 | 1.40 |

ცხრილი 2.3.4. მშპ-ის ზრდის პანელური მოდელი (2007-2014 წწ)

| ცვლადი | A1 | A2 | A3 | A4 | A5 | A6 |
|--------|-------------------|-------------------|-------------------|------------------|------------------|-------------------|
| LNP | -0.001 (-0.02) | -0.001 (-0.03) | -0.038 (-0.78) | -0.05 (-0.92) | -0.05 (-0.95) | -0.003 (-0.69) |
| RI | 0.04 (0.03) | | | -4.72 (-3.07) | -4.31 (-6.01) | |
| გ | -0.33 (-7.05) | -0.33 (-8.36) | -0.36 (-7.07) | | | -0.35 (-7.11) |
| LIP | | | | | | 0.36 (0.86) |
| LEN | -1.35 (-1.55) | -1.33 (-2.88) | | | | -1.03 (-0.80) |
| LEX | | | -0.38 (-0.63) | | | 1.02 (1.34) |

| | | | | | | |
|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|------------------|
| LSP | | | | 0.33 (0.30) | | -1.27 (-1.68) |
| IN | 0.20 (5.32) | 0.21 (5.33) | 0.22 (5.34) | 0.23 (4.90) | 0.23 (4.92) | 0.22 (5.62) |
| R ² | 0.38 | 0.38 | 0.35 | 0.22 | 0.22 | 0.38 |
| \bar{R}^2 | 0.36 | 0.37 | 0.33 | 0.20 | 0.21 | 0.36 |
| DW | 1.65 | 1.65 | 1.60 | 1.63 | 1.63 | 1.65 |
| F-სტატისტიკა | 23.17 | 29.20 | 25.38 | 13.48 | 18.12 | 16.69 |

განსხვავებულ პერიოდთა შეფასება. ზემოთ გაანალიზებულმა ორლაგანმა მოდელმა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა ჩვენს მიერ განხილული ფაქტორების იმ როლზე, რასაც ისინი ასრულებენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროცესში. მაგრამ იმის გამო, რომ შეფასებულ ლაგურ მოდელში ცვლადთა საკმარისად დიდი რაოდენობა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვეფასებინა პანელური მოდელი ლაგური ცვლადების გათვალისწინების გარეშე. საქმე ისაა, რომ ასეთი მიდგომა ხშირ შემთხვევაში, ფორმალური ანალიზის თვალსაზრისით, გამართლებულია და უფრო დამაჯერებელ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, იმის დასადგენად, შეიცვალა თუ არა წლების განმავლობაში ფაქტორების როლი განხილული ქვეყნების ეკონომიკების ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების პროცესში, საანალიზო პერიოდი დავყავით ორ ნაწილად (1999-2007 და 2007-2014 წლები) და თითოეულისთვის შევაფასეთ პანელური მოდელის ერთნაირი ვარიანტები (ცხრილი 2.3.3, ცხრილი 2.3.4).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომამ მთლიანობაში გაამართლა და განხილულ მოდელთა უმრავლესობაში ცხადად გამოიკვეთა ფაქტორთა დიდი ნაწილის სტატისტიკური მნიშვნელოვნება.

გვინდა გამოვყოთ რამდენიმე გარემოება:

✓ ინფლაციისა და მთავრობის ხარჯების გავლენა მშპ-ზე უარყოფითია ორივე პერიოდში;

✓ სტრუქტურული რეფორმების, ფასების ლიბერალიზაციის გავლენა მშპ-ზე უარყოფითია 1999-2007 წლებში, დადებითია 2007-2014 წლებში;

✓ გაცვლითი რეჟიმის გავლენა მშპ-ზე უარყოფითია A3, ხოლო დადებითია A6 მოდელში ფარგლებში ორივე პერიოდში. ანალოგიური მდგომარეობაა პრივატიზაციის ინდექსის შემთხვევაში (A4 და A6 მოდელები);

✓ ინვესტიციების გავლენა მშპ-ზე მნიშვნელოვანია ორივე პერიოდში, შეფასებული კოეფიციენტი 0.20-0.24 შუალედშია. მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა A1 მოდელში პირველ პერიოდში, ხოლო A4 მოდელში მეორე პერიოდში.

✓ რაც შეეხება ზოგად სურათს, 2007-2014 წლების მოდელები ისევე როგორც ფაქტორთა უმრავლესობის შეფასებები გაუმჯობესებულია 1999-2007 წლების მოდელებთან შედარებით.

თავი III. მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური როლის შეფასება (საქართველოს მაგალითზე)

3.1. მთავრობის როლი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება ნებისმიერი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, რაც მხოლოდ წარმოებული საქონლითა და მომსახურეობის რაოდენობით არ განისაზღვრება. დამატებით საჭიროა მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტა და ეს ყველაფერი მთავრობის მხრიდან ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სწორად დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, სადაც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტიტუტები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზეა. აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობის მიერ შემუშავებული ფისკალური სტიმულები მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს, რადგან ისინი გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა სექტორის მიმდინარე თუ სამომავლო მდგომარეობაზე და ასახვას ჰპოვებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

მთავრობის მიერ ეკონომიკური საქმიანობის სწორად წარმართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, სადაც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზეა. აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობის მიერ შემუშავებული ფისკალური სტიმულები მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას, ვინაიდან ის გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა სექტორის მიმდინარე თუ სამომავლო გადაწყვეტილებებზე, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზრდის ტემპზე აისახება.

მთავრობის მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენის საშუალებად სხვადასხვა სახის ეკონომიკური ხასიათის პროგრამები გვევლინება, რომლებიც ხშირად მაკროეკონომიკურ მიზნებზე ან ცალკეული დარგის განვითარებაზეა ორიენტირებული. საქართველოში სამთავრობო პროგრამებით

ეკონომიკური პროცესების რეგულირება დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან დაიწყო და დღემდე აქტიურად გამოიყენება (ცხრილი 3.1.1.).

ცხრილი 3.1.1. მთავრობის ეკონომიკური პროგრამები

| მიღების თარიღი | | დასახელება |
|----------------|---------------|---|
| 1 | 1991-1992 წწ | “შოკური თერაპია” |
| 2 | 1993-2003 წწ | ანტიკრიზისული პროგრამები |
| 3 | 17.02.2004 წწ | ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით |
| 4 | 27.12.2004 წწ | ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით |
| 5 | 17.02.2005 წწ | ერთიანი და ძლიერი საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის, გრძელვადიანი სტაბილურობისა და ევროინტეგრაციის გზით |
| 6 | 24.07.2006 წწ | ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის |
| 7 | 07.09.2007 წწ | ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის |
| 8 | 22.11.2007 წწ | საქართველოს მთავრობა დასაქმებისა და კეთილდღეობისათვის |
| 9 | 31.01.2008 წწ | ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე |
| 10 | 01.11.2008 წწ | ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე |
| 11 | 06.02.2009 წწ | ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე |
| 12 | 02.07.2010 წწ | ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე |
| 13 | 19.11.2012 წწ | ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის |
| 14 | 20.11.2013 წწ | ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის |
| 15 | 26.07.2014 წწ | ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის |
| 16 | 07.05.2015 წწ | ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის |
| 17 | 25.11.2016 წწ | საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2016-2020 “თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა” |
| 18 | 22.12.2017 წწ | საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2018-2020 “თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა” |
| 19 | 21.06.2018 წწ | საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2018-2020 “თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა” |
| 20 | 14.07.2018 წწ | საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2018-2020 “თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა” |


შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის ფორმირების გზაზე „შოკური თერაპია“ იყო პირველი სამთავრობო პროგრამა, რომელიც მოიცავდა მაკროეკონომიკური რეფორმების მთელ სპექტრს¹ და მიზნად ისახავდა საქართველოში

¹რამდენიმე ქვეყანაში “შოკური თერაპია” სახელცვლილი ფორმით განხორციელდა: იუგოსლავიაში “მარკოვიჩის გეგმა”; უნგრეთში “კუპას გეგმა”; ჩეხოსლოვაკიაში “კლაუსის გეგმა”.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას, პოლონეთის გამოცდილების ე.წ. „ბალცეროვიჩის გეგმის“ გათვალისწინებით¹. თუმცა, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ აღნიშნული პროგრამის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პოლონეთში მიღწეული შედეგებისაგან (იხილეთ დიაგრამა 3.1.1.). როგორც დიაგრამა 3.1.1. გვიჩვენებს, პოლონეთში „შოკური თერაპიის“ მერე ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ დაცემას. ეკონომიკური დაცემის მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთ „მოწინავე“ ადგილზე იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით; მდგომარეობა მხოლოდ 1995 წლიდან გაუმჯობესდა. შემდგომ წლებში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, კერძოდ, დამოუკიდებელი ეროვნული ბანკის ჩამოყალიბებამ, ეროვნული ვალუტის შემოღებამ, ინფლაციური პროცესების შემცირებამ, საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწამ დადებითი როლი ითამაშა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს ეკონომიკა კვალავ იდგა რიგი მაკროეკონომიკური გამოწვევების წინაშე, რომელთა შორის აღსანიშნავია: ინფლაცია; სახელმწიფო საბიუჯეტო დეფიციტი; 1998 წლის ფინანსური კრიზისი. საქართველოში ეკონომიკური რეფორმები ძირითადად მიმართული იყო ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციისა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციის განხორციელებისაკენ, თუმცა ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე ე.წ. „ბალცეროვიჩის გეგმის“ მხოლოდ სამი პუნქტი (1;2;7) განხორციელდა წარმატებულად (Papava 1996, 255).

¹„ბალცეროვიჩის გეგმა“ მოიცავს: 1. საშინაო ფასების გათანაბრება მსოფლიო საბაზრო დონესთან ინფლაციის გათვალისწინებით; 2. შეზღუდვები შემოსავლების ზრდაზე ინფლაციის პირობებში; 3. ფულის მარაგის შეზღუდვასა და საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვან ზრდას; 4. პერსონალური დანაზოგების სტიმულირებას დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდით; 5. საბიუჯეტო ხარჯების კლებას სამთავრობო ინვესტიციის შემცირებითა და არამომგებიანი ბიზნეს წამოწყებებისთვის სუბსიდიების გაუქმებით; 6. სამთავრობო ობლიგაციების გამოშვებას სამთავრობო საბიუჯეტო დეფიციტის დასაფინანსებლად; 7. საგადასახადო კოდექსის დარეგულირებასა და ინტეგრირებას; 8. ეროვნულ ვალუტაზე ერთი გაცვლითი კურსის და საშინაო ბაზარზე მისი კონვერტულობის დაწესებას; 9. საერთო საბაჟო ტარიფის დაწესებას იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით; 10. მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების პროგრამის დაწესებას საბიუჯეტო შეზღუდვების გათვალისწინებით; 11. მონოპოლიური საქმიანობების აღმოფხვრას, საწარმოებს შორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობასა და ამ კონკურენციაში სახელმწიფოს ინტერვენციის გაუქმებას (Papava 1996).

დიაგრამა 3.1.1. ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და პოლონეთში



მთავრობის მიერ შემუშავებული ყველა პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (განსაკუთრებით ეკონომიკური გარდაქმნების საწყის ეტაპზე) საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფას ისახავდა მიზნად, ვინაიდან საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის ჰქმნის მნიშვნელოვან გარემოს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიმართულებით არაერთი რეფორმა იქნა განხორციელებული. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

რეფორმები საგადასახადო სფეროში. 2004 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის ბაზას წარმოადგენდა 1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგადასახადო კოდექსი. 1997-2004 წლებში მოქმედ საგადასახადო კოდექსში მრავალი ცვლილება განხორციელდა, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სრულიად ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2004 წლის 22 დეკემბერს. ძველი

საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საქართველოში მოქმედებდა 13 საერთო-სახელმწიფოებრივი, 6 ადგილობრივი და 1 საბაჟო გადასახადი, რომელიც რეგულირდებოდა საქართველოს საბაჟო კოდექსით, ანუ სულ 20 გადასახადი. საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნებოდა: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, ქონების გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი, გადასახადი ქონების გადაცემისათვის, სოციალური დაზღვევის გადასახადი, გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის, გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის, ფიქსირებული გადასახადი, მცირე ბიზნესის გადასახადი. ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნებოდა: სათამაშო ბიზნესის გადასახადი, საკურორტო გადასახადი, სასტუმროს გადასახადი, რეკლამის გადასახადი, გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებაზე, მიწის გადასახადი. ცალკე კანონით რეგულირდებოდა საბაჟო გადასახადი.

2004 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი მოქმედებდა იქამდე, ვიდრე 2011 წლის 1 იანვარს ძალაში არ შევიდა 2010 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსი. ახალი საგადასახადო კოდექსით დადგინდა 6 გადასახადი, რომელთაგან 5 საერთო-სახელმწიფოებრივია (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, იმპორტის გადასახადი) და ერთი ადგილობრივი – ქონების გადასახადი (იხილეთ ცხრილი 3.1.2.). ცვლილებები განიცადა სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილების პრინციპმაც. 2007 წლის ჩათვლით ადგილობრივ ბიუჯეტებში მიემართებოდა ადგილობრივი, მათ შორის, ქონებისა და სათამაშო ბიზნესის გადასახადები, სხვა ადგილობრივი გადასახადები კი - 2005 წლის 1 იანვრამდე, ანუ გაუქმებამდე. ასევე 100%-ით ადგილობრივ ბიუჯეტებში მიემართებოდა ორი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი: მოგების გადასახადი (2006 წლის 1 იანვრამდე) და საშემოსავლო გადასახადი (2008 წლის 1 იანვრამდე), გარდა აჭარის ტერიტორიაზე ამოღებული საშემოსავლო გადასახადისა, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში

რჩებოდა. ანუ სადღეისოდ, გარდა ქონების გადასახადისა და აჭარისთვის - საშემოსავლო გადასახადისა, ყველა გადასახადიდან მიღებული შემოსავლები მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში საკუთარი შემოსავლების წილი საკმაოდ მცირეა - საშუალოდ, 5-10%-ია; ძირითად შემოსავლებს ისინი იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული გათანაბრებითი, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერების საშუალებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს მოქმედი საქართველოს საგადასახდო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, ქვეყანაში არსებობს 5 საერთო სახელმწიფოებრივი და 1 ადგილობრივი გადასახადი (ცხრილი 3.1.2.). ამავე მუხლის მიხედვით: „გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე“. გადასახადის განაკვეთები გადასახადის ტიპების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

- ✓ საშემოსავლო გადასახადი (20%);
- ✓ მოგების გადასახადი (15%);
- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი (18%);
- ✓ აქციზის გადასახადი (განსხვავებულია პროდუქციის მიხედვით);
- ✓ იმპორტის გადასახადი (0%, 5% ან 12%);
- ✓ ქონების გადასახადი (განსხვავებულია ქონების ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, ძირითადად ქონების 1%-მდე).

ცხრილი 3.1.2. საგადასახდო პოლიტიკის ცვლილება

| წელი | გადასახადების რაოდენობა | დღგ | საშემოსავლო გადასახადი | მოგების გადასახადი | სოციალური გადასახადი |
|------|-------------------------|-----|------------------------|--------------------|----------------------|
| 2004 | 22 | 20% | 12-20% | 20% | 33% |
| 2005 | 10 | 20% | 12% | 15% | 20% |
| 2006 | 10 | 20% | 12% | 15% | 20% |
| 2007 | 7 | 20% | 12% | 15% | 20% |
| 2008 | 6 | 18% | 25% | 15% | - |

| | | | | | |
|-----------|---|-----|-----|-------|---|
| 2009-2010 | 6 | 18% | 20% | 15% | - |
| 2011-2012 | 6 | 18% | 20% | 15% | - |
| 2013-2016 | 6 | 18% | 20% | 15% | - |
| 2017 | 6 | 18% | 20% | 0-15% | - |

2005 წლიდან მიმდინარეობდა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

✓ 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და სანაცვლოდ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25%-მდე გაიზარდა.

✓ 2007 წლის 1 იანვრიდან საბაჟო გადასახადს საბაჟო კოდექსის ნაცვლად არეგულირებს საგადასახადო კოდექსი.

✓ 2007 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა სათამაშო ბიზნესის გადასახადი და ის გარდაიქმნა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლად.

✓ 2009 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25%-იდან შემცირდა 20%-მდე.

✓ 2008 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-დან შემცირდა 15%-მდე.

✓ 2009 წლის 1 იანვრიდან დივიდენდების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის განაკვეთი 10%-იდან შემცირდა 5%-მდე; პროცენტების სახით მიღებულ შემოსავლებზე 2009 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო განაკვეთი 10%-დან შემცირდა 7.5%-მდე, 2010 წლის 1 იანვრიდან კი -5%-მდე.

✓ 2017 წელს გაიზარდა აქციზისა და ქონების გადასახადი¹.

საგადასახადო სისტემაში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმებიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი წესი, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ამ წესის მიხედვით გადასახადის გადამხდელი არ გადაიხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ არ გაანაწილებს მოგებას ან არ გასწევს ისეთ ხარჯებს, რომელიც არ უკავშირდება მის ეკონომიკურ საქმიანობას. ახალი მოგების გადასახადით იბეგრება: განაწილებული

¹დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდი: <http://forbes.ge/news/1828/gadasaxadis-zrdis-namdvili-mizezi>

მოგება¹; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის²; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გაცემა³; წარმომადგენლობითი ხარჯები⁴.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის ასევე განხორციელდა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში. კერძოდ⁵:

✓ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის ივლისში შეიცვალა მცირე ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებული რეგულაციები. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრა 1%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 5%-ისა. 100000 ლარიდან 500000 ლარამდე გაიზარდა მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა. შეიცვალა მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების პირობები. სტატუსი არ უუქმდება პირს, თუ მისი ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის მიხედვით, მცირე ბიზნესის საქმიანობის ნაწილში არ გადააჭარბებს 500 000 ლარს. ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების საფუძველი აღარ არის მისი დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტი. პროექტის შესაბამისად, მცირე ბიზნესს ერთობლივი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბებისას სტატუსი გაუქმებულად ჩაეთვლება გადაჭარბების თვის დასაწყისიდან, კალენდარული წლის დანარჩენ არასრულ პერიოდზე კი დაიბეგრება საერთო წესით. ამასთან, პირი უფლებამოსილია მცირე ბიზნესის სტატუსი მიიღოს სტატუსის გაუქმების წლის მომდევნო წელს, თუ იგი აღნიშნული მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართავს სტატუსის გაუქმების წლის დასრულებამდე;

✓ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების დაბეგვრა 2019 წლიდან განხორციელდება მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის (საწარმოთათვის 2017 წლიდან მოქმედი მოდელი) პრინციპებით, რაც ფაქტობრივად ნიშნავს მათ განთავისუფლებას ამ გადასახადისგან, რადგან ისინი მოგებას არ ანაწილებენ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მოგების გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ შეთხვევებში, თუ:

¹საგადასახადო კოდექსი 981¹ მუხლი.

²საგადასახადო კოდექსი 981² მუხლი.

³საგადასახადო კოდექსი 981³ მუხლი.

⁴საგადასახადო კოდექსი 981⁴ მუხლი.

⁵დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდი:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4072647>


1. გასწია ისეთი ხარჯი, რომელიც არც ეკონომიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული და არც მისი საქმიანობის მიზნიდან გამომდინარეობს;

2. უსასყიდლოდ განახორციელა საქონლის/მომსახურების მიწოდება და აღნიშნული არ გამომდინარეობს მისი საქმიანობის მიზნიდან;

3. გასწია ზღვრულ ოდენობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში მოგების გადასახადს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომლის წილი ყოველწლიურად იზრდება მთლიან შემოსავლებში (დიაგრამა 3.1.2.). აღნიშნულის გამო მოგების რეფორმის გავლენა საგადასახადო შემოსავლებზე საკმაოდ დიდი იქნება იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება გამოიწვიოს მათი შემცირება.

დიაგრამა 3.1.2. ნაერთი ბიუჯეტის გადასახადები (%-ლი წილი მთლიან შემოსავლებში)



მოგების რეფორმის განხორციელების შედეგად საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი შემცირება გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე. ცალკეული გაანგარიშებით ამ რეფორმის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი სცენარების განვითარება (ცხრილი 3.1.3.).

**ცხრილი 3.1.3. რეფორმების შედეგების გავლენა საგადასახადო შემოსავლებზე
(2017-2019 წწ)**

| | 2017 | 2018 | 2019 |
|--|------|------------|------|
| სცენარი 1 | | | |
| რეინვესტირების ნორმა | | 40% | |
| საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ.ლარი) | -475 | -167 | -141 |
| სცენარი 2 | | | |
| რეინვესტირების ნორმა | | 50% | |
| საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ.ლარი) | -580 | -204 | -173 |
| სცენარი 3 | | | |
| რეინვესტირების ნორმა | | 60% | |
| საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ.ლარი) | -686 | -242 | -204 |
| სცენარი 4 | | | |
| რეინვესტირების ნორმა | | 70% | |
| საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ.ლარი) | -791 | -279 | -235 |
| სცენარი 5 | | | |
| რეინვესტირების ნორმა | | 80% | |
| საგადასახადო შემოსავლების შემცირება (მლნ.ლარი) | -897 | -316 | -267 |

წყარო: საქართველოს საბიუჯეტო ოფისი 2016, 12.

თავის მხრივ, აღნიშნული რეფორმის მოსალოდნელი შესაძლო გავლენა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე შემდეგნაირად გამოიყურება¹:

✓ რეფორმას აქვს ინვესტიციების წამახალისებელი ეფექტი. საფონდო კაპიტალი 1,5 წელიწადში 3,23%-ით გაიზრდება. რეფორმა გამოიწვევს წმინდა ინვესტიციების ზრდას. ეკონომიკური აგენტები ინვესტიციებში იმაზე მეტ სახსრებს ჩადებენ ვიდრე რეფორმამდე აკეთებდნენ;

✓ 1,5 წელიწადში რეალური მშპ-ი დაახლოებით 1,44%-ით გაიზრდება;

✓ 1,5 წელიწადში მთლიანი კერძო მოხმარება დაახლოებით 0,85%-ით გაიზრდება;

✓ რეფორმა სამთავრობო ბიუჯეტის წლიურ დეფიციტს გაზრდის მაქსიმუმ 3%-ით. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის 1%-ით და დამატებული ღირებულების გადასახადის 1,25%-ით გაზრდა აღმოფხვრის აღნიშნულ დეფიციტს.

¹დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კვლევა "მმართველობა განვითარებისთვის" (G4G).

✓ რეფორმის საინვესტიციო ეფექტიდან გამომდინარე, კომპანიების მიერ დივიდენდების საქართველოში დატოვებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მცირედით შემცირდება;

✓ რეფორმის შედეგი, დაახლოებით 1,5 წელიწადში გახდება ხელშესახები.

მიზანშეწონილია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ დაგეგმილი რეფორმების შედეგად, საგადასახადო შემოსავლების შემცირების მიუხედავად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის “საქართველო 2020” მიხედვით გადასახადების წილი მშპ-ში იზრდება (ცხრილი 3.1.4.). როგორც აღნიშული ცხრილიდან ჩანს, სტრატეგიის მიზნების განხორციელების შემთხვევაში 1%-ით იზრდება საგადასახადო ტვირთი, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 94 მუხლის მე-5 პუნქტთან “საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივაა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს”. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების კომპენსირება უნდა მოხდეს ეკონომიკური ზრდის მაღალი დონით.

ცხრილი 3.1.4. სტრატეგია 2020: საპროგნოზო მაჩვენებლები

| მაჩვენებელი | მიმდინარე | საპროგნოზო |
|--|-----------|------------|
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, ნომინალური) | 5 811.7 | 13 000 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, მუდმივ ფასებში) | 5 811.7 | 9200 |
| ჯინის კოეფიციენტი | 0.41 | 0.35 |
| ინფლაცია (%) | 2.4 | 3.0 |
| უმუშევრობა (%) | 15.0 | <12 |
| გადასახადები (წილი მშპ-ში,%) | 24 | 25 |
| ექსპორტი (საქონელი და მომსახურება, წილი მშპ-ში, %) | 45 | 65 |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (წილი მშპ-ში,%) | >10 | 6 |
| სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-თან (%) | 34 | <40 |

რეფორმები საბიუჯეტო ხარჯების სფეროში. 2004 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა 2003 წლის 24 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ”, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობამ. შემოღებულ იქნა უფრო დეტალური და ოპტიმალური საბიუჯეტო კალენდარი, ახლებურად განისაზღვრა ბიუჯეტის ანგარიშგების პროცედურები და წესები. ამ კანონის მიხედვით, 2004 წლის დასაწყისიდან სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა მხარჯავი დაწესებულების შემოსულობები, ხოლო აპრილის თვიდან ბიუჯეტის ყველა შემოსულობა ირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე და ხმარდება წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებას. ანუ მხარჯავი დაწესებულების მიერ მიღებული შემოსავალი აღარ რჩება მის განკარგულებაში, რის შედეგადაც გაუქმდა მათ დაქვემდებარებაში არსებული ე.წ. სპეცსახსრები. შესაბამისად, სახაზინო სამსახურში დაიხურა საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეციალური შემოსავლების ანგარიშები და ამ ანგარიშებზე რიცხული ნაშთები მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ანგარიშზე. საბიუჯეტო სისტემის კანონიდან ამოღებული იქნა დებულება “დაცული მუხლების” შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტის ყველა ხარჯი თანაბრად პრიორიტეტულია. ამასთან, შეიცვალა “სეკვესტრის” მექანიზმი და მის ნაცვლად ამოქმედდა ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალური განხილვა პარლამენტში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი წინადადებების განხილვის საფუძველზე ხდება დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრების ცვლილება მათი შემცირების ან გადიდების გზით.

საბიუჯეტო რეფორმის კუთხით მიმდინარეობს საბიუჯეტო მოწყობის არსებითი სრულყოფა. წინაწლებთან შედარებით, შემცირდა საბიუჯეტო დაწესებულებათა რაოდენობა. გაიზარდა უწყებების და ორგანიზაციების დამოუკიდებლობა მათი პოლიტიკის და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრაში. შეიცვალა ბიუჯეტიდან დაფინანსების მეთოდოლოგია. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში და შესაბამისად, ხარჯებში აღარ აისახება საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლები (აღნიშნული შემოსავლები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აისახება საბანკო დაწესებულებებში).

ასევე შეიცვალა ამ ორგანიზაციების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების პრინციპიც: ფინანსთა სამინისტრო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასიგნებებს გამოუყოფს მხარჯავ დაწესებულებას, რომელიც, თავის მხრივ, აფინანსებს ცალკეული პროგრამის ან ღონისძიების განმახორციელებელ, მისი კონტროლის ქვეშ მყოფ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. შედეგად, შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციული სტრუქტურა და, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მაგივრად, ბიუჯეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მოცემულია ესა თუ ის პროგრამა ან ღონისძიება. გრძელდება მუშაობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის სრულყოფაზე, რაც ითვალისწინებს საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2001 წლის კლასიფიკაციის დანერგვას. 2004 წლის 5 აპრილიდან განხორციელდა უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომლის შესაბამისადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ეროვნულ ბანკში და მის ფილიალებში დაიხურა შემოსავლების 12500-მდე სატრანზიტო ანგარიში და გაიხსნა სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიში.

ბიუჯეტის სტრუქტურასთან დაკავშირებით 2004 წლიდან არსებული ბიუჯეტის შემოსავლის და გასავლის მხარის ფორმატი შეიცვალა 2009 წლის 1 იანვარს. 2004-2008 წლებში ბიუჯეტს ჰქონდა ორი მხარე: შემოსულობები და გადასახდელები. შემოსულობები მოიცავდა შემოსავლებს, გრანტებსა და სესხებს. შემოსავლები, თავის მხრივ, მოიცავდა საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალურ შემოსავლებს. გადასახდელები მოიცავდა ხარჯებს, დაკრედიტებასა და ვალის ამორტიზაციას. ხარჯები, თავის მხრივ, მოიცავდა მიმდინარე ხარჯებს და კაპიტალურ ხარჯებს. ერთი მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და გრანტებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ხარჯებსა და დაკრედიტებას შორის დადებითი სხვაობა წარმოადგენდა ბიუჯეტის პროფიციტს, ხოლო უარყოფითი სხვაობა—დეფიციტს. 2009 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ბიუჯეტის ახალი ფორმატის მიხედვით, შემოსულობები მოიცავს შემოსავლებს, არაფინანსური აქტივების კლებას, ვალდებულებების ზრდას. შემოსავლები, თავის მხრივ, მოიცავს გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს. ბიუჯეტის გადასახდელები მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდას და ვალდებულებების კლებას. ხარჯები, თავის მხრივ, მოიცავს შრომის ანაზღაურებას,

საქონელს და მომსახურებას, პროცენტს, სუბსიდიებს, გრანტებს, სოციალურ უზრუნველყოფას, სხვა ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუჯეტის მთლიანი სალდო. დადებითი მთლიანი სალდო ბიუჯეტის პროფიციტია, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო – ბიუჯეტის დეფიციტი.

ფისკალური სფეროს სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2004 წლიდან, რაც გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 (Government Finance Statistics Manual) ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული ახალი რეგულაციების ასახვა მოხდა ახალ საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც მომზადდა და დამტკიცებულ იქნა 2009 წელს და ძალაშია 2010 წლიდან. საბიუჯეტო კოდექსმა თავისთავში გააერთიანა საბიუჯეტო სისტემასთან დაკავშირებული ყველა საკანონმდებლო აქტი, როგორც სახელმწიფო, ისე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის. საბიუჯეტო კოდექსით, ასევე, განისაზღვრა ეტაპობრივად პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის ვალდებულება, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 2012 წლიდან, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის 2013 წლიდან. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სტანდარტებს (GFSM 2001), რომლის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არის სახელმწიფო ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, რომელიც განისაზღვრება საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილების სხვაობით, ხოლო GFSM 1986 წლის ვერსია არ მიჯნავს საოპერაციო და მთლიან სალდოს და განიხილავს მხოლოდ ერთ სალდოს, რომელიც გაიანგარიშება, როგორც მთლიან შემოსავლებსა და მთლიან ხარჯებს შორის სხვაობა. ამასთან, მთლიანი შემოსავლები და მთლიანი ხარჯები მოიცავს არაფინანსური აქტივების კლებასა და ზრდას (კაპიტალურ შემოსავლებსა

და კაპიტალურ ხარჯებს), ხოლო წმინდა დაკრედიტება (დაკრედიტება დაფარვის გამოკლებით) განიხილება როგორც ხარჯი. ეკონომიკური ანალიზის მიზნებისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქტიურად იყენებს მთლიან ფისკალურ დეფიციტს, რომელიც უახლოვდება GFSM 1986 წლის მეთოდოლოგიას (იხილეთ დანართი, ცხრილი 7).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო რეფორმა შეეხო ასევე “ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს” (BDD), რომელმაც რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, მას შემდეგ რაც ის პირველად მომზადდა 2005 წელს. ახალი საბიუჯეტო კოდექსით საკანონმდებლო დონეზე გამყარდა კავშირი ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიური ბიუჯეტის კანონის დაგეგმვას შორის. დოკუმენტი ასახავს მთავრობის პრიორიტეტებს, გასული წლების და დასაგეგმი წლების მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზს და მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებებს. თანდათანობით დოკუმენტში აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტები და ასევე ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით, ყოველწლიურად ამზდებდა ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების 4 წლიან დოკუმენტს, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. ეს დოკუმენტი ასახავდა სამინისტროების და სხვა მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ დაფინანსებას და მიზნებს. დოკუმენტი ადგენს ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრულ მოცულობებს მხარჯავი დაწესებულებებისთვის.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ ფორმატზე გადასვლიდან გამომდინარე 2012-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი მომზადდა განსხვავებული ფორმატით, რათა იგი შესაბამისობაში ყოფილიყო პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იყო პირველი ბიუჯეტი, რომელიც მთლიანად პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მომზადდა. იმისთვის, რომ აღნიშნული შესაძლებელი ყოფილიყო, ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები. მომზადდა „პროგრამული ბიუჯეტის

დანერგვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 მარტის #284 განკარგულება, რომლითაც განისაზღვრა 2010, 2011 და 2012 წლებში გასატარებელი ღონისძიებები პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის მიზნით. 2009 და 2010 წლებში მუშაობა მიმდინარეობდა საპილოტე სამინისტროებთან, რომელთაც მოამზადეს პროგრამული ფორმატის ბიუჯეტები ტრადიციულ, ორგანიზაციულ ბიუჯეტებთან ერთად. 2011 წლის პილოტური ბიუჯეტები 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ბოლო პროექტთან ერთად წარედგინა საქართველოს პარლამენტს 2010 წლის დეკემბერში. შემუშავდა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებით დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, რომელიც მომზადდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების, სხვა ქვეყნების მაგალითების, პილოტი სამინისტროების გამოცდილების და სამუშაო ჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით. მეთოდოლოგიით განისაზღვრა პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შედგენის ინსტრუქციები და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმატი.

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმებიდან გამომდინარე განხორციელდა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან¹. მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში ცვლილებები, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულებებისა და გადახდების განხორციელების წესის ახალი ინსტრუქცია. მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა პროგრამული ბიუჯეტის დანერგვასთან დაკავშირებით, ცვლილებები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონებიდან გამომდინარე მომზადდა/ცვლილებები შევიდა შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში.

¹დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდი: <http://treasury.ge/4968>

2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგია, უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორულ სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს უფრო ფართო მაჩვენებლების სისტემას: თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა, შესაძლო რისკები. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით თუ სხვადასხვა სექტორული სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები ასახული იქნეს შესაბამისი წლის წლიური ბიუჯეტის კანონში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში. მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენის პროცედურები და მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და როგორ უნდა მოხდეს თითოეული მათგანით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადება, როგორ უნდა მოხდეს ხარჯთაღრიცხვების მომზადება მართვისა და რეგულირების, მომსახურების მიწოდების, სუბსიდირების, ინფრასტრუქტურული/კაპიტალური პროგრამებისთვის.

2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამასთან, 2015 წლის განმავლობაში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები განახლებული ფორმატით პილოტურად მომზადდა ხუთი სამინისტროს მიერ. 2016 წელს ყველა სამინისტრომ განაახლა თავიანთი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. 2016 წლის განმავლობაში განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები ყველა სამინისტროსთან, განხილულ იქნა მათ მიერ მომზადებული 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და პროგრამული ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებული სირთულეები და

არსებული გამოწვევები. შედეგად, სამინისტროების მიერ დამტკიცდა გადამუშავებული სამოქმედო გეგმები, რომელსაც ახლავს ხარჯთაღრიცხვები.

3.2. მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორი

ეკონომიკაში მთავრობის მონაწილეობის ეფექტიანობის ანალიზისათვის არაერთი ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ინდიკატორი გამოიყენება, რომლებიც მთავრობის ეკონომიკურ საქმიანობას განსხვავებული მეთოდოლოგიით აანალიზებს. მთავრობის ეკონომიკური როლის გარშემო არსებული თეორიების მრავალფეროვნების მიუხედავად, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი თანხმდება, იმაზე, რომ მთავრობის პირველად მიზანს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ზრდის ტემპის სტიმულირება ან/და შესაბამისი გარემოს შექმნა წარმოადგენს. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევის შემდეგ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისად, აქტუალური ხდება შემოსავლების სამართლიანი გადანაწილების, ფასების სტაბილურობის, სავაჭრო ბალანსის და ა.შ. საკითხები.

მაკროეკონომიკურ დონეზე მთავრობის ეკონომიკური როლის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ფისკალური პოლიტიკის ანალიზი, რომელიც მიმართულია ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ციკლებისა შერბილებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის გზით ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებისაკენ. ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია არაერთი მიდგომა, რომელიც ადასტურებს, ფისკალური პოლიტიკის, კერძოდ მთავრობის ხარჯების დადებით გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, დღემდე სადავოა შემდეგი საკითხები: მულტიპლიკატორის მნიშვნელობა; მთავრობის ხარჯების ეფექტიანობა და მიზანმიმართულობა; მთავრობის ხარჯების დროთაშორისო განაწილება ეკონომიკური ციკლების პერიოდში; “გამოდევნის ეფექტი”; ხარჯების შინამეურნეობების მოხმარებაზე, მოლოდინებზე და დანაზოგებზე შესაძლო უარყოფითი გავლენა და ა.შ.

ეკონომიკის ისტორიაში ცნობილი თეორიები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მთავრობის ხარჯების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის პირველი მაკროეკონომიკური შეფასება განხორციელდა კეინზის მიერ, რომელმაც შემოგვთავაზა ხარჯების

მულტიპლიკატორის იდეა. შესაბამისად, მულტიპლიკატორის გაფართოებული ანალიზამდე მიზანშეწონილია განვიხილოთ კეინზიანური ჯვარი, რომელიც კეინზიანური თეორიის ყველაზე მარტივ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. აღნიშნულისათვის გავანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს დაგეგმილი დანახარჯების სიდიდეზე. დაგეგმილი დანახარჯები წარმოადგენს თანხას, რომლის დანახარჯვასაც გეგმავენ საოჯახო მეურნეობები, ფირმები და მთავრობა საქონელსა და მომსახურების შეძენაზე. ფაქტიური დანახარჯები განსხვავდება დაგეგმილისაგან იმ შემთხვევაში, თუ ფირმები იძულებულები არიან განახორციელონ დაუგეგმავი ინვესტიციები.

თუ დავუშვებთ, რომ ეკონომიკა დახურული ტიპისაა (ე.ი. წმინდა ექსპორტი ნულის ტოლია), ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ დაგეგმილი დანახარჯები (E) როგორც (C) მოხმარების, დაგეგმილი ინვესტიციებისა (I) და მთავრობის დანახარჯების (G) ჯამი:

$$E = C + I + G. \quad (3.2.1)$$

ამ ტოლობას ვუმატებთ მოხმარების კეინზიანურ ფუნქციას:

$$C = C(Y - T). \quad (3.2.2)$$

მოხმარების ფუნქცია მიუთითებს იმაზე, რომ მოხმარება დამოკიდებულია განკარგვად შემოსავლებზე ($Y - T$). გარდა ამისა, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ დაგეგმილი ინვესტიციების დონე ფიქსირებულია ($I = \bar{I}$), ხოლო საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა უცვლელია ($G = \bar{G}$; $T = \bar{T}$). აღნიშნულ ტოლობათა გაერთიანებით ვღებულობთ:

$$E = C(Y - \bar{T}) + \bar{I} + \bar{G}. \quad (3.2.3)$$

ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ დაგეგმილი დანახარჯები წარმოადგენს შემოსავლების (Y), დაგეგმილი ინვესტიციების (I) ეგზოგენური დონისა და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ეგზოგენური ცვლადების (G და T) ფუნქციას. ეკონომიკა იმყოფება წონასწორულ მდგომარეობაში როდესაც ფაქტიური დანახარჯები ტოლია დაგეგმილი დანახარჯების, რომელიც შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$Y = E. \quad (3.2.4)$$

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული მოდელი გავანთავისუფლოთ “მთავრობის ხარჯების უცვლელობის” დაშვებისაგან. რადგანაც მთავრობის ხარჯები წარმოადგენს ერთობლივი დანახარჯების ერთ-ერთ კომპონენტს, მისი ზრდა ნიშნავს, იმას, რომ შემოსავლების მოცემული დონის პირობებში დაგეგმილი დანახარჯები გაიზარდა. თუ მთავრობის დანახარჯები გაიზარდება ΔG სიდიდით, მაშინ ეკონომიკაში წონასწორობა დამყარდება (Y) გამოშვების ზრდის უფრო მაღალი დონის პირობებში. ვინაიდან, მთავრობის ხარჯების ზრდა იწვევს შემოსავლების ზრდას გაცილებით მეტი ოდენობით თავდაპირველ იმპულსთან შედარებით, ე.ი. ΔY მეტია ΔG -ზე. $\Delta Y/\Delta G$ შეფარდება ეწოდება მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორი - ის გვიჩვენებს თუ რამდენად გაიზარდა ერთობლივი შემოსავალი მთავრობის ხარჯების ერთი ერთეულით ზრდისას.

კეინზიანური ჯვარის მოდელიდან გამომდინარე, მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორი ერთზე მეტია. აღნიშნულის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მოხმარების ფუნქციის შესაბამისად, უფრო მაღალი შემოსავალი განაპირობებს მოხმარების უფრო მაღალ დონეს. რადგანაც მთავრობის დანახარჯების ზრდა იწვევს შემოსავლების ზრდას, ის აგრეთვე ამაღლებს მოხმარების დონეს, რაც, თავის მხრივ ზრდის შემოსავალს, რომელიც განაპირობებს მოხმარების ზრდას და ა. შ.

რამდენად მაღალია მულტიპლიკატორი? იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვას, გავანალიზოთ შემოსავლების ცვლილების ჯაჭვი. კერძოდ, პირველ იმპულსს ადგილი აქვს მაშინ როდესაც ხარჯები იზრდება ΔG სიდიდით, რომელიც შემოსავლებსაც ზრდის $\Delta Y = \Delta G \times m_g$ სიდიდით, სადაც m_g მთავრობის დანახარჯების მულტიპლიკატორია. აღნიშნული ზრდა თავის მხრივ აფართოებს მოხმარებას $b \times \Delta G$ სიდიდით, სადაც b მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებაა. შემოსავლის ზრდა კვლავ ზრდის დანახარჯებსა და შემოსავლებს ეკონომიკაში, რის შედეგაც მეორე იმპულსი $b^2 \times \Delta G$ ოდენობით მომდევნო ეტაპზე ადიდებას მოხმარებას $MPC \times (MPC \times \Delta G)$ ოდენობით. აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება შემოსავალსა და მოხმარებას შორის გრძელდება უსასრულოდ. საბოლოოდ, ერთობლივი ეფექტი ტოლია:

$$\Delta Y = (1 + b + b^2 + b^3 + \dots)\Delta G. \quad (3.2.5)$$

ამგვარად, მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორი

$$\frac{\Delta Y}{\Delta G} = \frac{1}{1-b} \quad (3.2.6)$$

მარტივი კეინზიანური მოდელის პირობებში ერთზე მეტი სიდიდეა. ადვილად შევნიშნავთ, რომ განხილული მოდელის ფარგლებში ნებისმიერი ავტონომიური დანახარჯების მარტივი მულტიპლიკატორი განისაზღვრება (3.2.6) ფორმულის მსგავსად და, როგორც წესი, ერთზე მეტი სიდიდეა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უფრო რეალისტურ მოდელებში ეს ფაქტი ყოველთვის არ დასტურდება. მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორის შესახებ არსებული კვლევები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა პირობებისა და კონტექსტის შემთხვევაში ფისკალური მულტიპლიკატორის მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც ერთზე მეტი, ასევე ერთზე ნაკლები სიდიდე (Charles, Dallery, Marie 2018). საილუსტრაციოდ განვიხილოთ დანართის მე-8 ცხრილი სადაც შეჯამებულია მულტიპლიკატორის შესახებ რამოდენიმე ქვეყანისათვის სხვადასხვა ლიტერატურაში მოყვანილი კვლევის შედეგები, რომელიც გვიჩვენებს, რომ ფისკალური კეინზიანური მულტიპლიკატორის მნიშვნელობა ერთზე მეტია ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი, მესამე და ორი წლის კუმულაციური გაანგარიშებისას, ასევე მაღალია გადასახადების მულტიპლიკატორის მნიშვნელობები, რომლებიც გაანგარიშებულია ვექტორულ ავტორეგრესიის მოდელისა და ახალი კეინზიანური სიმულაციის მოდელებით. ასეთივე მიდგომის საფუძველზე გაანგარიშებული მოდელის შედეგად მულტიპლიკატორის მნიშვნელობა ერთზე მეტია ავსტრალიის, გერმანიის (სამივე საანალიზო წელს), დიდი ბრიტანეთის შემთხვევაშიც (მესამე წელს). რაც შეეხება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, მხოლოდ ჩინეთის მაგალითზეა მულტიპლიკატორის მნიშვნელობა ერთზე მეტი, სადაც ის გაანგარიშებულია სახელმწიფო ინვესტიციების საფუძველზე, ხოლო სხვა ქვეყნებში მულტიპლიკატორის მნიშვნელობა ერთზე ნაკლებია.

თეორიული და ემპირიული კვლევებით დასტურდება, რომ მაკროეკონომიკურ აგრეგატების ცვლილებაზე ფისკალური შოკების გავლენის ზომა და მულტიპლიკატორის ნიშანი დამოკიდებულია ქვეყანის მაკროეკონომიკურ გარემოზე, გამოთვლის/შეფასების მეთოდზე. ხარჯების მულტიპლიკატორზე

გავლენას ქვეყნის შიგნით მინდინარე არაერთი ფაქტორი ახდენს, თუმცა მაკროეკონომიკურ დონეზე გავლენის მქონე ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

1. ფინანსური ბაზრის დამოკიდებულება შუამავლების ინსტიტუტზე. ფინანსური შუამავლების განვითარების დაბალი დონე გავლენას ახდენს ფინანსურ რესურსზე შინამეურნეობებისა და ბიზნესის ხელმისაწვდომობაზე, რაც აისახება მოხმარებისა და ინვესტიციების დონეზე. ასეთ პირობებში ფისკალური იმპულსები, შეიძლება ითქვას, ზრდის მულტიპლიკატორის მაჩვენებელს შინამეურნეობების მოხმარების ზრდის შედეგად;

2. ზოგადი მაკროეკონომიკური და ფინანსური წინაპირობები ეკონომიკაში და ექსტერნალიები - გაურკვევლობის მაღალი დონე ეკონომიკური კრიზისების პერიოდში მოსახლეობას უბიძგებს გაზარდოს დანაზოგები და შეამციროს ზღვრული მიდრეკილება მოხმარებისადმი.

ამასთან, ფისკალური მულტიპლიკატორის შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მისი რამდენიმე სახეობა:

✓ ზემოქმედების მულტიპლიკატორი. განსაზღვრავს გამოშვების ცვლილებას იმავე, მაგალითად, t_0 პერიოდში, რომელშიც მოხდა ფისკალურ ბალანსში ეგზოგენური ცვლილებები. დისკრეტული შემთხვევისთვის ზემოქმედების მულტიპლიკატორი შემდეგი ფორმულით გამოითვლება: $\frac{\Delta Y(t_0)}{\Delta G(t_0)}$, სადაც $\Delta Y(t_0)$ არის გამოშვების ნაზრდი t_0 პერიოდში, ხოლო $\Delta G(t_0)$ აღნიშნავს მთავრობის მიერ t_0 პერიოდში განხორციელებული დანახარჯების ნაზრდს;

✓ ფისკალური ბალანსის დროებითი ცვლილების მულტიპლიკატორი. გამოსახავს გამოშვების ცვლილებას რაიმე $t_0 + N$ პერიოდში ($N > 0$), რომელიც წარმოიქმნება იმის გამო, რომ t_0 პერიოდში მთავრობის მიერ ერთჯერადად ეგზოგენურად განხორციელდა ცვლილება ფისკალურ ბალანსში. ეს მულტიპლიკატორი შემდეგი სახით ჩაიწერება: $\frac{\Delta Y(t_0 + N)}{\Delta G(t_0)}$;

✓ კუმულაციური მულტიპლიკატორი. განისაზღვრება, როგორც გამოშვების კუმულაციური ცვლილება დროის N პერიოდის მანძილზე, გამოწვეული ფისკალურ ბალანსში ეგზოგენური ცვლილებებით. კუმულაციური მულტიპლიკატორის ფორმულას შემდეგი სახე აქვს: $\frac{\sum_{i=0}^N \Delta Y(t_0 + i)}{\Delta G(t_0)}$;

✓ მულტიპლიკატორის პიკური (მაქსიმალური) მნიშვნელობა ანუ ფისკალური ბალანსის დროებითი ცვლილების მულტიპლიკატორებს შორი მაქსიმალური სიდიდე. განისაზღვრება შემდეგი სახით: $\max(\frac{\Delta Y(t_0+i)}{\Delta G(t_0)}, i = 0, 1, \dots, N)$.

გადამცემი არხების სიმრავლის მიუხედავად, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა თავის რაოდენობრივ გამოხატულებას საბოლოოდ პოულობს მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორში. მულტიპლიკატორის მცირე მნიშვნელობა ფისკალური პოლიტიკის დაბალ ეფექტიანობაზე მიუთითებს, ხოლო მულტიპლიკატორის მაღალი მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ეკონომიკური ზრდის სტიმულირება მთავრობის შედარებით ნაკლები ძალისხმევით არის შესაძლებელი. ფისკალური მულტიპლიკატორის პოტენციური ზომის განმსაზღვრელ ფაქტორებს მიეკუთვნება:

✓ ღია სავაჭრო რეჟიმი. ქვეყნები, სადაც ადგილი აქვს იმპორტისადმი მიდრეკილების დაბალ დონეს, მულტიპლიკატორის მნიშვნელობა მაღალია;

✓ სამუშაო ძალის სიხისტე. განვითარებული პროფკავშირები ან/და შიდა საკანონმდებლო რეგულაციები იწვევს მულტიპლიკატორის მნიშვნელობის ზრდას;

✓ ავტომატური სტაბილიზატორის დონე. ძლიერი ავტომატური სტაბილიზატორი ამცირებს მულტიპლიკატორის მნიშვნელობას;

✓ სავალუტო რეჟიმი. ქვეყნაში სადაც ადგილი აქვს მცურავი გაცვლითი რეჟიმის არსებობას, იქ მულტიპლიკატორის მნიშვნელობა შედარებით დაბალია;

✓ ვალის სიდიდე. მაღალი ვალის მქონე ქვეყნებში მულტიპლიკატორის მნიშვნელობა მცირეა;

✓ მონეტარული წინაპირობების კოორდინირების ხარისხი ფისკალურ პოლიტიკასთან (ფისკალური სტიმულები იწვევს თუ არა საპროცენტის განაკვეთის ზრდას);

✓ ქვეყნის ფისკალური მდგრადობა;

✓ მომხმარებელთა ქცევა. ფისკალური პოლიტიკის ეგზოგენური შოკები, მომავალში გადასახადების შესაძლო ზრდის შიშით, იწვევს გადაწყვეტილების ცვლილებას დანაზოგებთან მიმართებაში;

✓ ფისკალური სტიმულების შემადგენლობაში მთავრობის ხარჯების წილი.

მთავრობის ხარჯების თავისებურებები და მულტიპლიკატორი. ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირ შემთხვევაში ფისკალური სტიმულების ანალიზი ხდება საბიუჯეტო ხარჯების ან შემოსავლების, როგორც აგრეგირებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, მშპ-ზე გავლენის შეფასების გზით. თუმცა, თითოეული მათგანი (შემოსავლები და ხარჯები) მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ გარემოზე გავლენის მქონე სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებიც სხვადასხვა მაკროეკონომიკურ სიდიდეებსა თუ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განსხვავებულ სეგმენტზე ახდენენ გავლენას. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევაში, ამ საკითხზე არსებული სხვა კვლევებისაგან განსხვავებით, მოხდება ხარჯების თითოეული კომპონენტის მულტიპლიკატორის მნიშვნელობის შეფასება. ამისათვის მნიშვნელოვანია განვიხილოთ საბიუჯეტო ხარჯების კომპონენტები, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოიცავს შემდეგს:

- ✓ შრომის ანაზღაურება. გულისხმობს დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციებს;

- ✓ საქონელი და მომსახურება. სხვა მატერიალური მარაგების შექმნაზე გაწეული საკასო ხარჯი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მატერიალური მარაგების შექმნა ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებულ სხვა ხარჯვით კატეგორიებში ან არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შესაბამის კატეგორიებში აღირიცხება) საქონლისა და მომსახურების შესყიდვად განიხილება და აღრიცხვაში არაფინანსურ აქტივებში აისახება. სხვა მატერიალური მარაგების ფაქტობრივი გამოყენების შემთხვევაში ისინი ფაქტობრივ ხარჯებში ჩამოიწერება, რაც თავის მხრივ საქონლისა და მომსახურების გამოყენებად განიხილება;

- ✓ ძირითადი კაპიტალის მოხმარება. წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების

შემცირებას. მისი ღირებულებითი შეფასება ხორციელდება მოცემული პერიოდის საშუალო ფასებით. ძირითადი კაპიტალის მოხმარება პერსპექტიულ მაჩვენებელს წარმოადგენს და იგი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სახელმწიფოს ფინანსურ ჩანაწერებში ასახული ცვეთის (ამორტიზაციის) სიდიდისაგან, რომელიც ჩვეულებრივ ძირითადი აქტივების საწყისი ღირებულების გამოყენებით დაანგარიშდება;

✓ პროცენტი. წარმოადგენს გადასახდელს, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური მოთხოვნების გარკვეული სახეებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან (გარდა აქციებისა), სესხებიდან და კრედიტორული დავალიანებიდან. სასესხო ვალდებულებები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი ერთეული (დებიტორი) სესხს იღებს მეორე ერთეულისაგან (კრედიტორისაგან). პროცენტი წარმოადგენს გადასახდელს, რომელსაც უხდის დებიტორი კრედიტორს, კრედიტორის მიერ უზრუნველყოფილი ეკონომიკური ღირებულების გამოყენების-თვის;

✓ სუბსიდიები. წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამ მუხლში არ აღირიცხება იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადასაცემი თანხები, რომელიც შემდგომ გამოიყენება მოსწავლეთა ვაუჩერული სისტემის დასაფინანსებლად, სტუდენტთა გრანტებისა და სტიპენდიების გასაცემად;

✓ გრანტები. წარმოადგენს მიმდინარე ან კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერებს ერთი სახელმწიფო ერთეულიდან სხვა სახელმწიფო ერთეულზე, საერთაშორისო ორგანიზაციაზე ან სხვა ქვეყნის მთავრობაზე. გრანტი კლასიფიცირდება გრანტის მიმღები ერთეულის ტიპის მიხედვით. სხვა სახელმწიფო ერთეულზე გადასაცემი გრანტების მუხლით აღირიცხება ტერიტორიული ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერი. ამასთან, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერი შეიძლება აღრიცხულ იქნეს როგორც მიმდინარე გრანტების, ასევე კაპიტალური გრანტების მუხლში, ხოლო გათანაბრებითი ტრანსფერი მხოლოდ მიმდინარე გრანტების მუხლში, თუმცა აღნიშნულიდან შესაძლებელია კაპიტალური დანიშნულების ხარჯების გაწევაც. ამასთან, ერთი სახელმწიფო ერთეულიდან სხვა

სახელმწიფო ერთეულზე სესხის სახით გადაცემული ტრანსფერი აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივები და არა როგორც გრანტები¹;

✓ სოციალური უზრუნველყოფა. ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისგან დაცვის მიზნით.

✓ სხვა ხარჯები.

ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების მშპ-ზე გავლენის შეფასებისათვის მოვახდინოთ თვისობრივად ახლოს მდგომი მაჩვენებლების გაერთიანება და შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

✓ Gexp - მთავრობის მოხმარება (დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება + ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე);

✓ TR - ტრანსფერები (სუბსიდიები + სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები);

✓ RDG - პროცენტი;


✓ GG-გრანტები;

✓ GO- სხვა ხარჯები.

საქართველოს მთავრობის ხარჯების (ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების) კომპონენტებს შორის მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება მთავრობის მოხმარება და ტრანსფერები. მთავრობის მოხმარების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2003 წელს (7.08%), ხოლო ყველაზე მაღალი 2008 წელს (13.66%), რაც შეეხება ტრანსფერებს, ეს მაჩვენებელი ძირითადად გაზრდილია სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ზრდით, რომელმაც მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწია 2017 წელს (54%). რაც შეეხება სხვა კომპონენტებს მათი წილი მთავრობის მთლიან ხარჯებში შედარებით დაბალია (დიაგრამა 3.2.1.).

¹გრანტები - ამ კლასიფიკაციის მიზნებისთვის მისი შინაარსი არ ემთხვევა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ განმარტებას. ხარჯებში „გრანტი“ გამოიყენება მხოლოდ წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის.

დიაგრამა 3.2.1. მთავრობის ხარჯების კომპონენტების %-ლი წილი მშპ-ში (განგარიშებულია 2010 წლის ფასებში)



საქართველო, როგორც მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა განიცდის მულტიპლიკატორის მნიშვნელობაზე შესაძლო გავლენის მქონე ფაქტორების მნიშვნელოვან ზემოქმედებას. ამავე დროს, სახეზე გვაქვს მთავრობის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა სოციალური დანიშნულების პროექტებზე და ეკონომიკის სტიმულირების პროგრამების სიმრავლე (იხილეთ ცხრილი 3.1.1.). რომელთა გავლენა მშპ-ზე თეორიულ დონეზეც კი მაღალი არ არის, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში უარყოფითია (იხილეთ დანართი, დიაგრამა 1). ამასთან, მხოლოდ სტატისტიკური ანალიზით მთავრობის ხარჯების კომპონენტებსა და ამ მაჩვენებლებს შორის კავშირის სიმჭიდროვის დასაბუთება ან/და უარყოფა მიზანშეწონილი არ არის. რაც წარმოშობს შესაბამისი ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენების აუცილებლობას, რომელიც მაღალი სანდოობით დახასიათებს ფისკალურ სტიმულებსა (ჩვენს შემთხვევაში მთავრობის ხარჯებსა) და მშპ-ს შორის არსებულ კავშირს.

აქვე მიზანშეწონლია აღინიშნოს, რომ საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებშიც მთავრობის ხარჯების ზრდა ერთგვარი ტენდენცია გახდა 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ. კრიზისმა ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ მოაბრუნა ფისკალური პოლიტიკისაკენ, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური იყო

დიდი დეპრესიის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, ცალკეულ ქვეყნებში დაფიქსირებული ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირების საპასუხოდ მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გადასახადების შემცირების, სუბსიდირებისა და მთავრობის ხარჯების გაზრდის თაობაზე, ერთობლივი მოთხოვნის (AD) სტიმულირების მიზნით.

თეორიული მოდელი და მიღებული შედეგები. მთავრობის ხარჯების კომპონენტების მულტიპლიკატორის ანალიზი ეფუძნება ვექტორული ავტორეგრესიის (VAR) მოდელს. რომელიც, არის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი მექანიზმი მრავალცვლადიანი დროითი მწკრივების ანალიზისთვის. საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ვექტორული ავტორეგრესია განსაკუთრებით ეფექტიანია ეკონომიკური და ფინანსური დროითი მწკრივების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის. ვექტორული ავტორეგრესიის მოდელის ძირითადი მახასიათებელია იმის დაშვება, რომ კონკრეტულ დამოკიდებულ ცვლადზე ზეგავლენას შესაძლოა ახდენდეს არამხოლოდ დამოუკიდებელი ცვლადების მიმდინარე ან გასული პერიოდების მაჩვენებლები, არამედ საკუთარი გასული პერიოდის მაჩვენებლებიც.

გამოშვებაზე ფისკალური პოლიტიკის გავლენის დასადგენად ხშირად გამოიყენება სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი (SVAR). სტანდარტული მოდელისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გაითვალისწინება შესაბამის ცვლადებს შორის სტრუქტურული დამოკიდებულება მათი ურთიერთგავლენის მიმართულების გათვალისწინებით.

უფრო დეტალურად, ვექტორული ავტორეგრესია არის n -განტოლებიანი და n -ცვლადიანი მოდელი, რომელშიც თითოეული ცვლადი შესაძლოა აიხსნას მისი და დანარჩენი $n-1$ ცვლადის წარსული მნიშვნელობებით. ზოგადად SVAR მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$Y_t = C + \Pi_1 Y_{t-1} + \Pi_2 Y_{t-2} + \dots + \Pi_p Y_{t-p} + \varepsilon_t, \quad T = 1, \dots, T, \quad (3.2.7)$$

სადაც, Π_1 არის კოეფიციენტების ($N \times N$) მატრიცა და ε_t არის ნულოვანი საშუალოსა და დროში უცვლელი კოვარიაციის მატრიცის მქონე შემთხვევით წევრთა ($N \times 1$) მატრიცა.

ძვრის ოპერატორის გამოყენებით მოყვანილი სტრუქტურული ავტორეგრესიული (SVAR) მოდელი შემდეგი სახისით შეიძლება ჩავწეროთ¹:

$$X_t = A(L)X_{t-1} + U_t \quad (3.2.8)$$

სადაც,

$X_t \equiv (GDP_t; Gexp_t; TR_t; RDG_t; GG_t; GO_t)$ - არის ენდოგენური მაჩვენებლების ვექტორი;

$A(L)$ - მატრიცული ლაგური პოლინომი;

$U_t \equiv (U_t^{GDP}; U_t^{Gexp}; U_t^{TR}; U_t^{RDG}; U_t^{GG}; U_t^{GO})$ - შეცდომების (ინოვაციების) ვექტორი, რომლის ელემენტები კერძო შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდნენ “თეთრ ხმაურს”.

მოყვანილ შესავასებელ მოდელში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლად ვიხილავთ რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს (Y), ხოლო მთავრობის ხარჯების კომპონენტებად შემდეგი მაჩვენებლები განიხილება: მთავრობის მოხმარება (Gexp); ტრანსფერები (TR); პროცენტი (RDG); გრანტები (GG); სხვა ხარჯები (GO), რომლებიც გაანგარიშებულია კვარტალური მონაცემების გამოყენებით (2005-ის II კვარტალიდან 2017-ის IV კვარტალის ჩათვლით) 2010 წლის ფასებში, მშპ-ის დეფლატორზე დაყრდნობით.

(3.2.8) მოდელის შეფასებულ ვარიანტს საქართველოსთვის ცხრილ 3.2.1-ში მოცემული სახე აქვს.

ცხრილი 3.2.1. (3.2.8) მოდელის შეფასებული ვარიანტი

Vector Autoregression Estimates
 Sample (adjusted): 2005Q2 2017Q4
 Included observations: 51 after adjustments
 Standard errors in () & t-statistics in []

| | Y | GEXP | GG | GO | RDG | TR |
|----------|--------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------------------|-------------------------------------|
| Y(-1) | 1.019861 (0.04562) [22.3565] | 0.047070 (0.04997) [0.94199] | 0.002130 (0.00260) [0.81866] | 0.051859 (0.02246) [2.30885] | -2.90E-05 (0.00588) [-0.00494] | 0.029600 (0.02544) [1.16334] |
| GEXP(-1) | -0.217783 (0.13259) [-1.64251] | 0.318832 (0.14524) [2.19524] | 0.010301 (0.00756) [1.36244] | 0.227486 (0.06528) [3.48458] | 0.006277 (0.01708) [0.36752] | 0.133965 (0.07395) [1.81145] |
| GG(-1) | 1.071658 (2.34955) | 4.853018 (2.57364) | 0.425231 (0.13398) | -1.142053 (1.15684) | -0.033949 (0.30264) | 0.157779 (1.31049) |

¹მოდელი ეყრდნობა ბლანშარის და პეროტის (2002), პეროტის (2004) კვლევებს.

| | | | | | | |
|---|--------------------------------------|--------------------------------------|--------------------------------------|--------------------------------------|--------------------------------------|--------------------------------------|
| | [0.45611] | [1.88566] | [3.17389] | [-0.98722] | [-0.11218] | [0.12040] |
| GO(-1) | -0.513651 (0.26219) [-1.95912] | 0.372688 (0.28719) [1.29770] | -0.019894 (0.01495) [-1.33067] | 0.169031 (0.12909) [1.30939] | -0.037716 (0.03377) [-1.11682] | -0.227234 (0.14624) [-1.55388] |
| RDG(-1) | 0.429496 (0.97955) [0.43846] | 1.683085 (1.07298) [1.56861] | -0.057020 (0.05586) [-1.02082] | -0.164876 (0.48230) [-0.34185] | 0.860063 (0.12617) [6.81655] | -0.571422 (0.54636) [-1.04588] |
| TR-1) | 0.069023 (0.19953) [0.34593] | -0.237198 (0.21856) [-1.08527] | 0.003730 (0.01138) [0.32781] | -0.031747 (0.09824) [-0.32315] | 0.028079 (0.02570) [1.09254] | 0.940504 (0.11129) [8.45092] |
| C | 122.4815 (137.398) [0.89144] | 74.23617 (150.502) [0.49326] | -7.929028 (7.83482) [-1.01202] | -155.0378 (67.6501) [-2.29176] | -2.607526 (17.6978) [-0.14734] | -98.71519 (76.6351) [-1.28812] |
| R-squared | 0.989843 | 0.439219 | 0.433031 | 0.708226 | 0.746843 | 0.947311 |
| Adj. R-squared | 0.988458 | 0.362748 | 0.355717 | 0.668439 | 0.712322 | 0.940126 |
| Sum sq. resids | 318685.9 | 382376.8 | 1036.245 | 77257.61 | 5287.403 | 99142.58 |
| S.E. equation | 85.10500 | 93.22221 | 4.852941 | 41.90292 | 10.96213 | 47.46831 |
| F-statistic | 714.6691 | 5.743656 | 5.600941 | 17.80032 | 21.63424 | 131.8484 |
| Log likelihood | -295.2393 | -299.8854 | -149.1600 | -259.1043 | -190.7179 | -265.4643 |
| Akaike AIC | 11.85252 | 12.03472 | 6.123920 | 10.43546 | 7.753644 | 10.68488 |
| Schwarz SC | 12.11768 | 12.29988 | 6.389073 | 10.70061 | 8.018796 | 10.95003 |
| Mean dependent | 4876.391 | 506.1891 | 5.280463 | 216.1923 | 37.70392 | 515.0796 |
| S.D. dependent | 792.1639 | 116.7788 | 6.045979 | 72.77173 | 20.43815 | 193.9928 |
| Determinant resid covariance (dof adj.) | | 1.79E+17 | | | | |
| Determinant resid covariance | | 7.36E+16 | | | | |
| Log likelihood | | -1424.564 | | | | |
| Akaike information criterion | | 57.51230 | | | | |
| Schwarz criterion | | 59.10322 | | | | |

მოდელში გამოყენებული მონაცემები სეზონურად შესწორებულია, ხოლო ერთეულოვანი ფესვის ADF (Augmented Dickey–Fuller test) და PP (Phillips-Perron test) ტესტების შესაბამისად ეს მონაცემები სტაციონალურია პირველი რიგის სხვაობის მიმართ 5%-იანი კრიტიკული წერტილების მნიშვნელოვნების დონისათვის. მოდელში გამოყენებული ლაგის ხანგრძლივობის გამოვლენისთვის შეფასება მოხდა 0-4 ინტერვალში SC და HQ კრიტერიუმების მიხედვით გამოვლინდა პირველი ლაგის უპირატესობა სხვებთან შედარებით (ცხრილი 3.2.2.).

ცხრილი 3.2.2. ინფორმაციული კრიტერიუმების მნიშვნელობები ვექტორული ავტორეგრესიის სხვადასხვა ლაგის მოდელისათვის

VAR Lag Order Selection Criteria

Endogenous variables: Y GEXP GG GO RDG TR

Exogenous variables: C

Sample: 2002Q1 2017Q4

Included observations: 48

| Lag | LogL | LR | FPE | AIC | SC | HQ |
|-----|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| 0 | -1545.477 | NA | 4.79e+20 | 64.64489 | 64.87879 | 64.73328 |
| 1 | -1344.250 | 343.7627 | 4.96e+17* | 57.76043 | 59.39774* | 58.37917* |
| 2 | -1315.405 | 42.06643 | 7.17e+17 | 58.05854 | 61.09924 | 59.20762 |
| 3 | -1289.831 | 30.90168 | 1.34e+18 | 58.49296 | 62.93706 | 60.17239 |
| 4 | -1235.350 | 52.21059* | 9.31e+17 | 59.72294* | 63.57044 | 59.93272 |

* indicates lag order selected by the criterion

LR: sequential modified LR test statistic (each test at 5% level)

FPE: Final prediction error

AIC: Akaike information criterion

SC: Schwarz information criterion

HQ: Hannan-Quinn information criterion

შეფასებული მოდელის სტატისტიკები მიუთითებს, იმაზე, რომ საქართველოს მაგალითზე აგებული SVAR მოდელის ფარგლებში მიღებული შედეგები და შეფასებები, საკმარისი სტატისტიკური სანდოობით ახასიათებს მთავრობის ხარჯების კომპონენტების წილს მშპ-ის ზრდის სტიმულირების პროცესში.

იმპულსზე რეაქცია. ვექტორულ ავტორეგრესიულ მოდელში იმპულსზე რეაქციის ფუნქცია გვიჩვენებს ენდოგენური ცვლადების რეაქციას შემთხვევითი სიდიდის ერთჯერად შოკზე და მოულოდნელი შოკური ზემოქმედების შემდეგ სისტემის რეაქციის კვლევის საშუალებას გვაძლევს. პრობლემას ამ ტიპის მოდელში წარმოადგენს ის, რომ სისტემის განტოლებების შოკები კორელირებულია და ახდენენ ერთმანეთზე გავლენას. თუ შემთხვევითი წევრების ვარიაციები კორელირებულია, მაშინ უნდა მოხდეს მათი გარდაქმნა ისე, რომ ისინი არ იყვნენ კორელირებულნი, რათა შესაძლებელი იყოს ცვლადებს შორის იმპულსის პირდაპირი ინტერპრეტაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით, სიმსმა (Sims 1980) შემოგვთავაზა შოკების თანწყობის სქემით ამ პრობლემის გადაწყვეტა. კერძოდ იმის დაშვებით, რომ ერთი შოკის გავლენა წარმოადგენს ნულოვანს, იმპულსზე რეაქციის ფუნქცია აჩვენებს შოკის ერთი სტანდარტული ერთეულით ცვლილების დროს როგორი იქნება სისტემის ენდოგენური ცვლადების რეაქცია. თუ დავუშვებთ მიმდევრობის ცვლილებას, მაშინ

ფუნქცია შეიცვლის სახეს. თუ ფუნქცია მნიშვნელოვნად იცვლება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილი აქვს ინოვაციების მნიშვნელოვან ჯვარედინ კორელაციას.

(SVAR) მოდელიდან მიღებული იმპულსზე რეაგირების ფუნქციების შეფასებისათვის მოვახდინოთ დროითი ლაგების გაფართოება და გავანალიზოთ ის 10 ლაგის პირობებში. მოდელში ტრანსმისიის მექანიზმი აგებულია კეინზიანურ თეორიაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვით მთავრობის ხარჯების ზრდა მოკლევადიან პერიოდში ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს დასაქმების დონეზე და ცვლის მაკროეკონომიკური წონასწორობას. ტრანსმისიის მექანიზმის დეტალური შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი ცვლადების განსხვავებული კომბინაციის პირობებში, კერძოდ:

$$\uparrow Gexp \rightarrow +\uparrow TR \rightarrow +\uparrow RDG \rightarrow +GG \uparrow \rightarrow +GO \uparrow \rightarrow GDP \quad (3.2.9)$$

$$\uparrow Gexp \rightarrow +\uparrow TR \rightarrow +\uparrow RDG \rightarrow +GDP \quad (3.2.10)$$

$$\uparrow (Gexp + TR + RDG) \rightarrow GDP \quad (3.2.11)$$

$$\uparrow Gexp \rightarrow \uparrow TR \rightarrow \uparrow GO \rightarrow GDP \quad (3.2.12)$$

$$\uparrow Gtotal \rightarrow GDP \quad (3.2.13)$$

სადაც,

✓ (3.2.9) მოდელი გვიჩვენებს მთავრობის ხარჯების ყველა კომპონენტის ზრდის გავლენას მშპ-ზე (დიაგრამა 3.2.2.);

✓ (3.2.10) მოდელი აფასებს მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და პროცენტის გავლენას მშპ-ზე (დიაგრამა 3.2.3.);


✓ (3.2.11) მოდელი გვიჩვენებს მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და პროცენტის ერთობლივ გავლენას მშპ-ზე (დიაგრამა 3.2.4.);

✓ (3.2.12) მოდელი გვიჩვენებს მთავრობის ხარჯების სამი კომპონენტის (მთავრობის მოხმარება, ტრანსფერებისა და სხვა ხარჯების) გავლენას მშპ-ზე (დიაგრამა 3.2.5.);

✓ (3.2.13) მოდელის ფარგლებში გაანალიზებულია მთავრობის ნაერთი ხარჯების გავლენა მშპ-ზე (დიაგრამა 3.2.6.).

დიაგრამა 3.2.2. რეალური მშპ-ის იმპულსზე რეაქციის ფუნქციები
 მთავრობის ხარჯების კომპონენტებზე

Response to Cholesky One S.D. Innovations ± 2 S.E.




დიაგრამა 3.2.3. მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და პროცენტის შოკის


გავლენას მშპ-ზე

Response to Cholesky One S.D. Innovations ± 2 S.E.


Response of GDP to GEXP



Response of GDP to RDG




Response of GDP to TR



დიაგრამა 3.2.4. მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და პროცენტის შოკის




ერთობლივი გავლენა მშპ-ზე




დიაგრამა 3.2.5. მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და სხვა ხარჯების შოკის

გავლენა მშპ-ზე

Response to Nonfactorized One Unit Innovations ± 2 S.E.



დიაგრამა 3.2.6. მთავრობის ნაერთი ხარჯების შოკის გავლენა მშპ-ზე



ჩვენს მიერ შეფასებული იმპულსზე რეაქციის ფუნქცია გვიჩვენებს, რომ: ყველა მოდელში სადაც მთავრობის მოხმარებაა ჩართული ხარჯების სხვა კომპონენტებთან განსხვავებულ კომბინაციაში მისი მნიშვნელობა უარყოფითია ყველა ლაგის პირობებში, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ხარჯების შემთხვევაშიც. გრანტების გავლენა მშპ-ზე საწყისი პერიოდიდან მეოთხე კვარტალის ჩათვლით დადებითია, ხოლო შემდგომში უარყოფითი ხდება. პროცენტის გავლენა მშპ-ზე დადებითია ყველა მოდელის ფარგლებში, ტრენდიც სტაბილურია. რაც შეეხება ტრანსფერებს მისი გავლენა მშპ-ზე არაერთმნიშვნელოვანია, კერძოდ მოდელში სადაც ტრანსფერები განხილულია ხარჯების სხვა ყველა კომპონენტთან ერთად მისი მნიშვნელობა დადებითია, თუმცა მეოთხე კვარტალში აღწევს ნულს, ხოლო მოდელში სადაც ტრანსფერებია განხილული მთავრობის მოხმარებასა და პროცენტთან ერთად მისი მნიშვნელობა დაბალია, უფრო მეტიც პირველიდან მეშვიდე კვარტალის ჩათვლით უარყოფითია, მეშვიდე კვარტალის შემდეგ უმნიშვნელოდ იზრდება. მთავრობის მოხმარების, ტრანსფერებისა და პროცენტის მშპ-ზე კუმულაციური გავლენაც უარყოფითია. რაც შეეხება მთავრობის ხარჯების ნაერთი მაჩვენებლის შოკის გავლენას მშპ-ზე, აღნიშნული მაჩვენებელი უარყოფითია პირველ კვარტალში, ხოლო პირველი კვარტლიდან ტრენდი მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება მეორე კვარტალის ჩათვლით, ხოლო მესამე

კვარტალში შედარებით მცირეა, მეოთხე კვარტლიდან ტრენდი სტაბილური და ზრდადია.

მთავრობის ხარჯების მშპ-ზე გავლენის გრძელვადიან პერიოდში შეფასებისათვის მოვახდინოთ, ხარჯების თითოეული კომპონენტის მნიშვნელოვნების გამოვლენა და ლაგების გაზრდა 4-მდე. აღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოში მთავრობის ხარჯების კომპონენტების გავლენა რეალურ მშპ-ზე უმნიშვნელოა. გავლენის ეფექტი არ ვლინდება პირველი კვარტალის განმავლობაში, შემდგომ კვარტლებშიც მცირეა და ცალკეულ შემთხვევებში უარყოფით მნიშვნელობასაც ეღებულობს. კერძოდ, მშპ-ზე მთავრობის ხარჯების გავლენა მაქსიმუმს აღწევს მესამე კვარტალში, ტრანსფერების და გრანტების მეორე კვარტალში, პროცენტის გავლენა - მეორე კვარტალში; სხვა ხარჯების გავლენის ეფექტი ყველა კვარტალში უარყოფითია. რაც შეეხება მულტიპლიკატორის კუმულაციური მნიშვნელობას, მისი სიდიდე ყველაზე მაღალია მთავრობის მოხმარების პირობებში, რომლის შემდეგ მოდის გრანტებისა და პროცენტის მაჩვენებელი. ხოლო, სხვა ხარჯებისა და ტრანსფერების მულტიპლიკატორის მნიშვნელობა უარყოფითია (ცხრილი 3.2.3.). აღნიშნული შეფასებები გვიჩვენებს, რომ საქართველოს შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში კეინზიანური მულტიპლიკატორის მნიშვნელობა ერთზე ნაკლებია.

ცხრილი 3.2.3. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის იმპულსზე რეაქციის ფუნქციები მთავრობის ხარჯების თითოეული კომპონენტის პირობებში

| პერიოდი | მთავრობის ხარჯების კომპონენტები | | | | |
|----------------------------|---------------------------------|------------------------|------------------------|-----------------------|------------------------|
| | GEXP | GG | GO | RDG | TR |
| I | 0.000000 (0.00000) | 0.000000 (0.00000) | 0.000000 (0.00000) | 0.000000 (0.00000) | 0.000000 (0.00000) |
| II | 1.117022 (16.1536) | 18.21689 (15.1906) | -37.64736 (11.6722) | 20.28376 (12.6281) | 9.960948 (10.1152) |
| III | 14.15964 (19.0608) | 3.166799 (19.8103) | -35.55738 (15.0592) | 20.71964 (19.1340) | -3.653131 (12.6938) |
| IV | -5.993439 (26.5240) | -5.631467 (23.1510) | -17.59626 (19.4934) | 21.98856 (27.1724) | -15.14995 (14.8433) |
| კუმულაციური გავლენა | | | | | |
| I | 0.000000 (0.00000) | 0.000000 (0.00000) | 0.000000 (0.00000) | 0.000000 (0.00000) | 0.000000 (0.00000) |

| | | | | | |
|--|-----------------------|-----------------------|------------------------|-----------------------|------------------------|
| II | 1.117022 (15.5121) | 18.21689 (15.5148) | -37.64736 (13.4235) | 20.28376 (14.0678) | 9.960948 (10.3489) |
| III | 15.27667 (31.0950) | 21.38369 (31.0758) | -73.20474 (25.3095) | 41.00340 (27.6377) | 6.307817 (17.3191) |
| IV | 9.283228 (53.5494) | 15.75223 (49.5107) | -90.80100 (39.5662) | 62.99196 (51.0736) | -8.842137 (27.4778) |
| მულტიპლიკატორის მაქსიმალური მნიშვნელობა | | | | | |
| კვარტალი | (III-III) | (II-III) | (-) | (IV-IV) | (II-III) |
| კუმულაციური მულტიპლიკატორი¹ | | | | | |
| წლიური | 0.45 | 0.23 | -0.009 | 0.08 | -0.12 |

მონაცემთა ვარიაცია. გარდა ზემოაღნიშნულისა, ვექტორული ავტორეგრესიის მოდელებში მნიშვნელოვანია იმპულსების ორთოგონალიზაცია. კერძოდ, იმის დაშვებით, რომ ერთი შოკის გავლენა წარმოადგენს ნულოვანს, იმპულსზე რეაქციის ფუნქცია აჩვენებს შოკის ერთი სტანდარტული ერთეულით ცვლილების დროს როგორი იქნება სისტემის ენდოგენური ცვლადების რეაქცია. ამ თავისებურებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ქოლესკის დეკომპოზიციის შესწავლა. რომლის მიხედვით, მშპ-ის ვარიაციის დეკომპოზიცია გვიჩვენებს, რომ მშპ-ს ვარიაცია ძირითადად ახსნილია საკუთარი ვარიაციით წარსულ პერიოდში. მეხუთე კვარტალის შემდეგ მშპ-ის ვარიაციაში მთავრობის მოხმარების ვარიაცია ყველაზე მნიშვნელოვანია. ამასთან დინამიკური წონასწორობის აღდგენის პროცესი ატარებს მონოტონურ ხასიათს და მისი გავლენა მე-10 კვარტალში აღწევს მაქსიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰიპოთეზა მთავრობის მოხმარების მშპ-ზე გავლენის ნეიტრალობის შესახებ უარყოფილია (იხილეთ დანართი, ცხრილი 9).

მიზეზ-შედეგობრიობის ტესტი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ SVAR მოდელი ახასიათებს მთავრობის ხარჯების კომპონენტების როლს მშპ-ს სტიმულირების პროცესში. თუმცა მშპ-სა და ხარჯებს შორის შეიძლება არსებობდეს როგორც პირდაპირი და ასევე უკუკავშირი. ამის შესამოწმებლად შეიძლება გამოვიყენოთ გრეინჯერის მიზეზ-შედეგობრიობის ტესტი. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გრეინჯერის მიხედვით მთავრობის ხარჯები მშპ-ის ზრდის მიზეზია თუკი ხარჯების ლაგური მნიშვნელობების გაუთვალისწინებლობა გავლენას

¹გაანგარიშებულია ავტორის მიერ.

მოახდენს ზრდის პროგნოზის ხარისხზე; ანალოგიურად, მშპ-ის ზრდა მთავრობის ხარჯების გრეინჯერის მიზეზია, თუკი ზრდის წინა ისტორიის გაუთვალისწინებლობა აისახება მთავრობის ხარჯების საპროგნოზო მნიშვნელობაზე.

SVAR მოდელი გვიჩვენებს, რომ საანალიზო 2002-2017 წლებში ერთობლივი სახელმწიფო ხარჯები თითქმის 1%-იანი მნიშვნელოვნების დონით წარმოადგენდა მშპ-ის ზრდისათვის გრეინჯერის მიზეზს, ეს მაშინ როცა მიზეზობრიობის შებრუნებული მიმართება მართებულია მხოლოდ 10%-იანი მნიშვნელოვნების დონით (ცხრილი 3.2.4.).

ცხრილი 3.2.4. გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტი (Granger Causality Test)

VAR Granger Causality/Block Exogeneity Wald Tests
 Sample: 2002Q1 2017Q4
 Included observations: 62

Dependent variable: ALLEXP

| Excluded | Chi-sq | df | Prob. |
|----------|----------|----|--------|
| Y | 4.624439 | 2 | 0.0990 |
| All | 4.624439 | 2 | 0.0990 |

Dependent variable: Y

| Excluded | Chi-sq | df | Prob. |
|----------|----------|----|--------|
| ALLEXP | 9.010183 | 2 | 0.0111 |
| All | 9.010183 | 2 | 0.0111 |

3.3. მთავრობის ზომის სამართლებრივი შეზღუდვის მაკროეკონომიკური ასპექტები

თანამედროვე პირობებში მთავრობის ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება ეკონომიკური თავისუფლების დონის ამაღლებისთვის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ეს საკითხი აქტიურად განიხილება სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში (Gwartney, Lawson 2003, 2007, Gwartney, Holcombe, Lawson 2006, Hausmann, Pritchett, Rodrik 2005,

Heckelman 2000, Hibbs 1983, Hutton 1992, Knack, Keefer 1995, Krickhaus 2004 და სხვა) ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეკონომიკური თავისუფლების ანალიზისას შემდეგი კომპონენტები განიხილება:

✓ მთავრობის ზომა: სამთავრობო ხარჯები, გადასახადები და მთავრობის საკუთრებაში არსებული საწარმოები;

✓ საკუთრების უფლება და სამართლებრივი სტრუქტურა;

✓ მყარი ვალუტა: სავალუტო და ინფლაციური პოლიტიკა;

✓ საერთაშორისო ვაჭრობა და სავაჭრო პოლიტიკა;

✓ ბიზნესის, სამუშაო ძალის, საკრედიტო ბაზრის რეგულირება.

საერთაშორისო ორგანიზაცია “Fraser Institute” ეკონომიკურ თავისუფლებას განისაზღვრავს შემდეგი სახით: “პერსონალური თავისუფლება, თავისუფალი გაცვლა, კონკურენცია და კერძო საკუთრების უფლება”, ხოლო, “Heritage Foundation“-ი ეკონომიკური თავისუფლებას განსაზღვრავს როგორც “მთავრობის მხრიდან იძულების წესის არ არსებობა წარმოების, განაწილების ან საქონლისა და მომსახურების მოხმარებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის დაცვისა და თავისუფლებისათვის”. აღნიშნული ორგანიზაციები ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკურ თავისუფლებას განსაზღვრავენ შემდეგ კომპონენტების საფუძველზე:

✓ “Fraser Institute”: 1. მთავრობის ზომა; 2. სამართლებრივი სისტემა და კერძო საკუთრების უფლება; 3. მონეტარული თავისუფლება; 4. ვაჭრობის თავისუფლება; 5. რეგულაცია (იხილეთ დანართი, ცხრილი 10).

✓ “Heritage Foundation“: 1. კანონის უზენაესობა (კერძო საკუთრების უფლება, სასამართლოს ეფექტიანობა, მთავრობის კეთილსინდისიერება); 2. მთავრობის ზომა (ფისკალური სიჯანსაღე, საბიუჯეტო დანახარჯები, საგადასახადო ტვირთი); 3. რეგულირების ეფექტიანობა (ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება); 4. ბაზრის ღიაობა (ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტირების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება) (იხილეთ დანართი, ცხრილი 11).

მაკროეკონომიკური ინდიკატორების სამართლებრივ ჩარჩოში ჩასმა ახალი რეალობა არ არის თანამედროვე მსოფლიოსათვის, თუმცა მიდგომები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია (იხილეთ დანართი, ცხრილი 12).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ამაღლება, ეკონომიკაში მთავრობის მონაწილეობის შემცირებით, საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფასთან ერთად, ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის მთავარი ორიენტირია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ზომის შემცირება ყველა წლის ბიუჯეტის მთავარი მიზანია, საკანონმდებლო დონეზე 2011 წლამდე არ იყო ფიქსირებული/დადგენილი საბიუჯეტო ხარჯების მშპ-თან თანაფარდობის მაჩვენებელი. სწორედ 2011 წელს მიღებული კანონის “ეკონომიკური თავისუფლების შესახებ” შესაბამისად მოხდა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების განსაზღვრა, რომლის მიზანია ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობა, მთავრობის ზომის შემცირება, პასუხისმგებლიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსებობა¹.

აღნიშნული კანონის მიხედვით დადგინდა შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვარი:

- ✓ ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არა უმეტეს 30%;
- ✓ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არა უმეტეს 3%;
- ✓ სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არა უმეტეს 60%.

ასევე დაწესდა მნიშვნელოვანი შეზღუდვები ახალი გადასახადების შემოღებისა და გადასახადების განაკვეთის გაზრდის შესახებ, კერძოდ:

- ✓ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან არსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის განაკვეთის ზედა

¹აღნიშნული კანონი ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრიდან, რომლის პირველადი ვერსია ინიცირებულ იქნა „ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის სახით.

ზღვრის გაზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით¹, ხოლო რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას;

✓ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივაა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება². საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებში შედის:

✓ განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებში შედის:

- ✓ საშემოსავლო გადასახადი;
- ✓ მოგების გადასახადი;
- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
- ✓ იმპორტის გადასახადი;
- ✓ აქციზი.

აღნიშნული კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოითხოვს გადასახადების დროებით გაზრდა არა უმეტეს 3 წლის ვადით. ამ შემთხვევაში რეფერენდუმი არ ტარდება. გადასახადების ცვლილების შესახებ ანალოგიური შეზღუდვები გათვალისწინებულია ასევე საქართველოს კონსტიტუციაში (მუხლი 94), თუმცა კონსტიტუციაში არ არის ჩანაწერი მთავრობის ზომის, დეფიციტის ან ვალის შეზღუდვის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის მცირე ზომის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრები განსაზღვრულია ნაერთი

¹„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად დაუშვებელია, რეფერენდუმის საგანი იყოს გადასახადის პროგრესულობის პრინციპი ან მეთოდოლოგია/საგადასახადო რეჟიმი.

²საპენსიო რეფორმის მიზნებიდან გამომდინარე კანონში შევიდა შემდეგი სახის ცვლილება “1. საპენსიო და სადაზღვეო შენატანები რეგულირდება კანონით და ისინი არ წარმოადგენენ გადასახადებსა და მოსაკრებლებს”.

ბიუჯეტის აგრეგატებზე. საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტი მოიცავს მხოლოდ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, მათ სისტემაში შემავალი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების გარეშე, ხოლო სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების ერთიანი რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ბიუჯეტს, რომელიც, ასევე, ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამე-წარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების კონსოლიდაციასაც და, ნაერთი ბიუჯეტის მსგავსად, არ ექვემდებარება არც ერთი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

ინდიკატორების მომცველობის საკითხი ასევე ყურადსადება სახელმწიფო ვალთან დაკავშირებითაც, რამდენადაც ამ ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალის მაჩვენებელი არ მოიცავს, მაგალითად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ვალდებულებებს, რაც ფისკალური რისკების შემცველი შეიძლება იყოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის ზღვრის გაანგარიშების საკითხიც (არაუმეტეს 3%). ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების მეთოდოლოგიურის პეციფიკის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში დასაზუსტებელია თუ რა მეთოდით უნდა მოხდეს დეფიციტის გაანგარიშება - საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის სახელ-მძღვანელოს GFSM 2001 წლის 5 მეთოდოლოგიით თუ მისი წინამორბედი 1986 წლის ვერსიის მიხედვით, რომელიც ეკონომიკური ანალიზისას აქტიურად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობით ბიუჯეტის დეფიციტად განსაზღვრულია ბიუჯეტის უარყოფითი სალდო, რომელიც თავის მხრივ, ეყრდნობა GFSM 2001 კლასიფიკაციას, გაანგარიშების აღნიშნული სპეციფიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც მოყვანილი ორი კლასიფიკაციით გაანგარიშებული დეფიციტის მაჩვენებელი არსებითად განსხვავებულ ნიშნულს შეიძლება უტოლდებოდეს¹.

¹საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 38, მე-8 პუნქტი.

საყურადღებოა ჩანაწერი, რომელიც ეხება დამტკიცებული ბიუჯეტის შეუსაბამობას ზღვრებთან ან/და ზღვრების შეუსაბამო (თუ შესაბამისი) ბიუჯეტის დამტკიცებას, რამდენადაც დამტკიცებულ ბიუჯეტში იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები, რომლებზეც დაწესებულია ზღვრები, წარმოდგენილია ბიუჯეტის თანდართულ დოკუმენტებში და არსებული კანონმდებლობით მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა ანუ არ მტკიცდება პარლამენტის მიერ. შესაბამისად, ლოგიკურია ჩავთვალოთ, რომ ბიუჯეტის ზღვრებთან შესაბამისობაში შესაძლებელია იგულისხმებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართულ მასალაში წარმოდგენილი მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლების ზღვრებთან შესაბამისობა, თუმცა კანონში ამის შესახებ მითითება არ არის (საბიუჯეტო ოფისი 2015).

კანონის მიხედვით შესაძლებელია მიმდინარე პერიოდში მიღებულ იქნას ბიუჯეტი, რომელიც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, იმ წინაპირობით, რომ მომავალი 2 წლის განმავლობაში მოხდება დადგენილ მაჩვენებელთან დაახლოება და ახალი გეგმის წარდგენა. კანონის მიხედვით ასევე არ არის განმარტებული და არ არის შეზღუდვა აღნიშნული მექანიზმის განმეორებით გამოყენებითობაზე. შესაბამისად, ყოველ წელს შესაძლებელია მიღებულ იქნას დადგენილ პარამეტრებთან შეუსაბამო ბიუჯეტი¹.

მაკროეკონომიკური პარამეტრების სამართლებრივი შეზღუდვები მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო პერიოდში აღნიშნულ კანონში შესული ცვლილებების შედეგად, რომელმაც ჩამოაყალიბა განსხვავებული რეალობა და მაკროეკონომიკური პარამეტრების განაგარიშების მეთოდოლოგია. ეს მეთოდოლოგია შემდეგ გარემოებებს ითვალისწინებს.

¹“თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ზღვარს ან/და ზღვრებს, საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდგომი ორი წლის ბიუჯეტების პარამეტრები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ პერიოდში ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმას”; “საქართველოს პარლამენტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ზღვრის ან/და ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ ზღვრ(ებ)ის შესაბამისი იყო, გარდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა ან/და ეკონომიკური რეცესიისა”.

1. მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დადგენა შემდეგი სახით¹:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არა უმეტეს 3%;

ბ) მთავრობის ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არა უმეტეს 60%. დაზუსტების მიზნით აღვნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა, და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა. გაითვალისწინება ასევე „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური კანონის პროექტის შემუშავება, დამტკიცება და შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იმგვარად, რომ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის შესრულების პარამეტრები შეესაბამებოდეს დადგენილ ზღვრულ მოცულობებს, როგორც გეგმიური ისე შესრულების მაჩვენებლების შემთხვევაში.

3. საქართველოს მთავრობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პარლამენტისათვის წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებისას წარადგენს ინფორმაციას დადგენილ ზღვრებთან ფისკალური პარამეტრების შესაბამისობის თაობაზე.

4. საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის, გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების მიღმა დაგეგმვა ან/და დაგეგმილი პარამეტრების შესრულება შესაძლებელია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის და აღნიშნული მდგომარეობის შედეგად დამდგარი ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროების შემთხვევაში;

¹დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდი:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4418507?publication=0>

ბ) ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში - თუ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ზედიზედ ბოლო ორი კვარტალის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტლებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

5. მეორე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს ასევე წარუდგენს გეგმას ამ კანონით განსაზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების თაობაზე. პარამეტრებში დაბრუნების გეგმის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.

6. საბიუჯეტო წლის დასრულების შემდგომ ანგარიშგებისას, ზღვრული მაჩვენებლების დარღვევის შემთხვევაში (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად წარუდგენს:

ა) ინფორმაციას ზღვრული მოცულობების დარღვევის გამომწვევი მიზეზების შესახებ;

ბ) ინფორმაციას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის და შესაბამისად, მისი გავლენის შესახებ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრებზე, მათი დადგენილ ზღვრულ მოცულობებთან შესაბამისობის მიმართულებით.

აღნიშნულ ცვლილებას საფუძვლად დაედო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, თუმცა ადგილი აქვს აღნიშნული რეკომენდაციებიდან გადახრას (ცხრილი 3.3.1.). მიუხედავად ამისა, ეს ინიციატივა წარმოადგენს კანონის მიღების შემდეგ პირველ სისტემურ ცვლილებას, რომელიც ცალკეული მიმართულებით ქმნის მაკროეკონომიკური პარამეტრების განსხვავებულ სამართლებრივ ჩარჩოებს. მიზანშეწონილია გავაანალიზოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ცხრილი 3.3.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციები და მათი პრაქტიკაში გამოყენების შედარებითი ანალიზი¹

| „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კანონი (მოქმედი) | „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კანონი (ცვლილება) | IMF-ის რეკომენდაცია |
|--|--|--|
| სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან: არა უმეტეს 60% | მთავრობის ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან: არა უმეტეს 60% | მთავრობის ვალის შეფარდება მთლიან შიდა-პროდუქტთან: არა უმეტეს 60% |
| სახელმწიფო ვალი მოიცავს: <ul style="list-style-type: none"> • ცენტრალური მთავრობის ვალს; • ეროვნული ბანკის ვალს ფონდის მიმართ. | მთავრობის ვალი მოიცავს: <ul style="list-style-type: none"> • ცენტრალური მთავრობის ვალს; • საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა; • „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება. | მთავრობის ვალი უნდა მოიცავდეს: <ul style="list-style-type: none"> • ცენტრალური მთავრობის ვალს; • მუნიციპალიტეტების ვალს; • სსიპ-ების სავალო ვალდებულებებს; • <i>იმ სახელმწიფო საწარმოების ვალს, რომლებიც დაკლასიფიცირდება როგორც სამთავრობო სექტორი².</i> |

დეფიციტის გაანგარიშების წესი. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ იზრდება დეფიციტის გაანგარიშების არეალი მისი ერთიან ბიუჯეტთან თანაფარდობაში მოყვანით; მეორე მხრივ, ხაზგასასმელია ერთიანი ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი სტატისტიკის არ არსებობა. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ დეფიციტის მაჩვენებელზე გადამეტების კანონმდებლობითი დაშვება, რაც ცალკეული დარგის განვითარების მიზნით ქმნის დეფიციტის მაჩვენებლის ცვლილების პრეცედენტს. ეს უკანასკნელი არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს წინაპირობებაა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც საინვესტიციო რისკების მატარებელი.

¹წინა წლების ბიუჯეტისგან განსხვავებით 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში მოცემულია მხოლოდ ცენტრალური მთავრობის ვალი, რაც კანონის მოქმედ რედაქციას და არც მის ცვლილებას არ ემთხვევა.

²GFSM 2014 მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ვალის გაანგარიშება. მშპ-თან თანაფარდობაში სახელმწიფო ვალი იცვლება მთავრობის ვალით, რაც არის სახელმწიფო ვალი ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და ემატება ყველა დონის საჯარო უწყებების ვალი¹. აღნიშნული ცვლილებით ადგილი აქვს ვალის გაანგარიშების მაჩვენებლის შევიწროებას და აღნიშნულ პარამეტრზე პასუხისმგებლობის მთავრობაზე გადაკისრებას. ეს მაშინ, როდესაც კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია ვალთან მიმართებაში ეროვნული ბანკის მიმდინარე და სამომავლო გეგმები. თავის მხრივ, აღნიშნული მაჩვენებლიდან ეროვნული ბანკის გასვლა ამცირებს ვალის მაჩვენებელზე გაცვლითი კურსის ზეწოლას და ხდის მის საქმიანობას უფრო ლიკვიდურს, ასევე, მას დონორი ორგანიზაციებიდან რესურსების მოზიდვის თავისუფლებას აძლევს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მგდომარეობით ეროვნული ბანკის ვალების წილი მთლიან ვალში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მთავრობის ვალებს, თუმცა აღნიშნული კანონპროექტის ძალაში შესვლის შემდეგ მოსალოდნელია პროპორციის საპირისპირო მიმართულებით ცვლილება².

ეკონომიკური ციკლების რეგულირება. დადებითად უნდა შეფასდეს ის ცვლილებები, რომლიც უკავშირდება ერთიანი ბიუჯეტის დადგენილი ზღვრებიდან გადახდის შემთხვევის წინაპირობების დაკონკრეტებას და ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობის გაჩენას.

მთავრობის ზომა. აღნიშნული ცვლილების შედეგად ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არასაფინანსო აქტივების ზრდის ზღვრული მაჩვენებელი ქრება კანონის რეგულირების სფეროდან, 2019 წლის პირველი იანვრიდან. ეს ცვლის არსებულ პრაქტიკას და საინვესტიციო გარემოს, ამავე დროს, მთავრობას აძლევს სრულ თავისუფლება ხარჯებთან მიმართებაში, რაც უახლოეს მომავალში გაზრდის ეკონომიკურ ზრდაზე მთავრობის ზომის გავლენას.

მთავრობის ანგარიშვალდებულების ზრდა. იზრდება საქართველოს მთავრობის ანგარიშვალდებულების დონე პარლამენტთან მიმართებაში, რაც გამოიხატება საკანონმდებლო შეზღუდვების შესრულების ან გადახრის შესახებ საანგარიშო წლის განმავლობაში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენაში.

¹აღნიშნულ მაჩვენებელში არ შედის სახელმწიფო საწარმოების ვალი.

²დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: საგარეო ვალი (BPM-5.ED)

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>.

3.4. მთავრობის ზომის მაკრო მოდელი

საბიუჯეტო ხარჯები წარმოადგენს მთავრობის ხელში არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს, ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ზრდის ტემპების სტიმულირებისათვის. ეკონომიკური ზრდის მოდელების განვითარების ქრონოლოგიას თუ გავყვებით, ვნახავთ, რომ თითოეული მათგანი ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებლად სხვადასხვა ფაქტორს განიხილავს. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის პირველი სინთეზური მოდელი შემუშავებულ იქნა სოლოუ-სვენის (Cass-Koopmans) და კას-კოპმანის (Cass-Koopmans) მიერ 1950-60-იან წლებში, რომელიც ცნობილია ნეოკლასიკური მოდელის სახელწოდებით და ეკონომიკური ზრდას განიხილავს, როგორც კაპიტალისა და სამუშაო ძალის შედეგს. ამ მოდელებში მთავრობის როლი ეკონომიკური ზრდის სტიმულირების პროცესში ნაკლებია, ვინაიდან ამ მიდგომების მიხედვით მთავრობის გადაწყვეტილებები გრძელვადიან ეკონომიკური ზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

ეკონომიკური ზრდის მოდელების შემდგომი განვითარება უკავშირდება რომერის (Romer), ბაროსა (Barro) და სალა-მარტინის (Sala-I-Martin) კვლევებს, რომლებმაც ადრე არსებულ მოდელებს დაუმატეს ტექნოლოგიური პროგრესი და განიხილეს, როგორც შემდეგი ფაქტორების ერთობლიობა: კონკურენცია, მზარდი დანახარჯები კვლევებსა და განვითარებაზე; ადამიანური კაპიტალი, ასევე, მოხდა მთავრობის ჩართვა მოდელში. უფრო კონკრეტულად, ბაროს მიერ შემუშავებულ მოდელში მოხდა მთავრობის როლის გაფართოებული ანალიზი, საწარმოო ფუნქციაში მთავრობის მწარმოებელი ხარჯების ჩართვით.

დადებითი კავშირი ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადასტურდა სხვადასხვა კვლევაში, რომლებიც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ასეთი კავშირი შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც გადასახადებისაგან მიღებული შემოსავლები გამოყენებულია ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისათვის (Telxeira, Fortuna 2003). ინსტიტუტების როლი მნიშვნელოვანია

ასევე მთავრობის ხარჯების ანალიზისას. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების, რაოდენობა არც ისე ბევრია, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ ერთ-ერთი მათგანი, რომლის მიხედვით მთავრობის მოხმარებას აქვს უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ცალკეულ ქვეყნებში, რაც ნათლად ჩანს განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე. ამის ძირითად მიზეზად გვევლინება მთავრობის არაეფექტიანი საქმიანობა. თუმცა იმ ქვეყნებშიც, სადაც მთავრობა ეფექტიანად ფუნქციონირებს, მისი როლი არაერთმნიშვნელოვანია. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის (სამთავრობო ინსტიტუტების) ეფექტიანობა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია (Burtkiewicz, Yanikkaya 2011).

მოგვიანებით ოლსონმა (Olson) ეკონომიკური ზრდის სტიმულირების დახასიათებისას ყურადღება გაამახვილა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც ითვალისწინებს კერძო საკუთრების, კანონების, ინსტიტუტებისა და კორუფციის დონის შეფასებას. აღნიშნული ავტორი, ასევე, მიუთითებს იმაზე, რომ ცალკეული ქვეყნები ღარიბები არიან არსებული რესურსების არაეფექტიანი გამოყენების გამო. რომერის (Romer 1986) და ლუკასის (Lucas 1988) კვლევებში განხილულია ტექნოლოგიური პროგრესის როლი მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევის პროცესში. ნორტონი (North) და ტომასი (Thomas) მიუთითებენ იმაზე, რომ აღნიშნული ფაქტორები არ არის აუცილებელი, მაგრამ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის. ქვეყნების მიხედვით ფუნდამენტურ განსხვავებას ეკონომიკურ ზრდაში განაპირობებს განსხვავებული ინსტიტუციონალური გარემო (North, Thomas 1953). ოლსონმა ემპირიულად დაადასტურა, რომ კარგი სამთავრობო ინსტიტუტები არის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი დეტერმინანტი (Olson 1982).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის მიხედვით მაღალი ტრანსფერენტულობა და მარტივი წვდომა კაპიტალის ბაზარზე ეხმარება ქვეყანას ეკონომიკური კრიზისების პრევენციაში (IMF 2007). სხვა კვლევების მიხედვით ინსტიტუციონალური ტრანსფერენტულობა ეკონომიკურ პრაქტიკაში ქმნის მოთხოვნას კონკრეტული ტიპის სამთავრობო სისტემაზე (Folscher, Krafchik, Shapiro 2000), ტრანსფერენტულ სამთავრობო სისტემას აქვს შესაძლებლობა შეამციროს ეკონომიკური დაცემის სოციალური დანახარჯები (Djonkov et.al, 2003).

ბოლო პერიოდში ეკონომიკური ზრდის შესახებ არსებულ კვლევებში განსაკუთრებით გააქტიურდა მთავრობის ეკონომიკური როლის, როგორც წარმოების ფაქტორის განხილვის საკითხი. რაც გამოწვეულია, ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური გარემოს განვითარებაზე/სრულყოფაზე მთავრობის შესაბამისი ინსტიტუტების განსაკუთრებული როლით, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ეკონომიკაში ისეთი პირობები სადაც ეკონომიკური სუბიექტები მოქმედებენ კონკურენტულ გარემოში და ხელს უწყობენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მთავრობის დაბალი ეკონომიკური უნარი აფერხებს ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლების შესაძლებლობას და ამახიჯებს საბაზრო სტიმულებს. იმაზე დამოკიდებულებით, რამდენად სრულყოფილია ინსტიტუციური გარემო, ერთი და იგივე საწარმო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების პირობებში გამოშვების მოცულობა განსხვავებული იქნება ნებისმიერი ორი ეკონომიკისათვის ან დროის ნებისმიერი ორი პერიოდისათვის. საუკეთესო, ანუ იდეალური ინსტიტუციური გარემოს შემთხვევაში ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვებები ერთმანეთის ტოლია. მაგრამ, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტობრივად არსებული ინსტიტუციური გარემო განსხვავდება მისი იდეალური ვარიანტისაგან, ამიტომ ეკონომიკის ფაქტობრივი ერთობლივი გამოშვების დონე პოტენციურს ჩამოუვარდება (ანანიშვილი, პაპავა 2011, 18).

გარდა ინსტიტუციონალური გარემოს შექმნისა, მთავრობა ქვეყნის შიგნით ფუნქციონირებს როგორც მყიდველი და მწარმოებელი, დამსაქმებელი და ინვესტორი, ასევე, ახდენს რესურსების გადანაწილებას სხვადასხვა მიმართულებით. მთავრობას აქვს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა შესაბამისი რეგულაციების შემუშავებითა და რეალიზებით. ამავე დროს, ყველა ქვეყანაში მთავრობის მწარმოებლური როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია (კვარაცხელია 2012, 53-77).

ეკონომიკურ პროცესებზე მთავრობის გავლენის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელში, ერთობლივი მიწოდებისა და მოთხოვნის მხარესაც მთავრობაა ჩართული. კერძოდ, ნეოკლასიკურ მოდელი, რომელიც ფისკალური სტიმულების შესახებ არსებულ კვლევებში ერთ-

ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეს მოდელი ეყრდნობა ფასების სიხისტის, ფული ნეიტრალურობისა და მთავრობის ხარჯების გადასახადებით დაფინანსების დაშვებას (3.4.1).

$$Y^D = C(i, G) + I(i) + G \quad (3.4.1)$$

$$Y^S = Y^S(i, G)$$

(3.4.1) მოდელის გათვალისწინებით, დავუშვათ, რომ მთავრობის ხარჯების ერთი ერთეულით ზრდისას, მოსახლეობა ზოგავს სამომხმარებლო ხარჯებს a ერთეულით, წარმოების მოცულობა იზრდება β ერთეულით. თუ $(a + \beta) > 1$, მაშინ ეკონომიკურად მიზანშეწონილია მთავრობის ზომის ზრდა. მოსახლეობა დაინტერესებულია მთავრობის ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან გაიზარდოს მანამ, სანამ არ მიაღწევს კრიტიკულ მნიშვნელობას $(a + \beta) = 1$, რომლის შემდგომ მთავრობის ზომის ზრდა უარყოფითს ხდის ხარჯების ზღვრულ პროდუქტს და ვიღებთ შემდეგ უტოლობა $(a + \beta) < 1$.

მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური ეფექტის შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ხარჯების პერიოდულობა, რომელიც განსხვავებულ გავლენას ახდენს ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეზე. კერძოდ, თუ მთავრობის ხარჯების ზრდა ერთჯერად ხასიათს ატარებს, მაშინ მოსახლეობის განკარგვადი შემოსავალი ერთჯერადად მცირდება, რომლის კომპენსირება დანაზოგებიდან ხდება, ხოლო მოხმარების სიდიდე პრაქტიკულად არ იცვლება. სამომხმარებლო დანაზოგები იზრდება საზოგადოებრივი საქონლის ზრდის შედეგად. ამ ეფექტების გათვალისწინებით ერთობლივი მოთხოვნა იზრდება $\Delta Y^D = \Delta G - a\Delta G$ სიდიდით, ერთობლივი მიწოდება კი $\Delta Y^S = \beta\Delta G$ სიდიდით. მთავრობის ხარჯების მუდმივი ზრდის შემთხვევაში მცირდება განკარგვადი შემოსავალი არამარტო მიმდინარე არამედ მომავალ პერიოდშიც, ვინაიდან აღნიშნული ამცირებს მოსახლეობის მხრიდან მოხმარებას და დანაზოგებს. მთავრობის ხარჯების ერთჯერადი ზრდის შედეგად მოხმარება იზრდება ამავე სიდიდით, შედეგად კი $\Delta Y^S = \beta\Delta G = \Delta Y^D$. მთავრობის ხარჯების მუდმივი ზრდის შედეგად წარმოება იზრდება, $\Delta Y = \beta\Delta G$, მოხმარება კი მცირდება $\Delta C = (1 - \beta)\Delta G$, ვინაიდან მთავრობის ხარჯების ზრდა

გამოდევნის კერძო მოხმარებასა და ინვესტიციებს (Тарасевич, Гребенников, Леусский 2006, 359-361).

მიუხედავად კვლევების სიმრავლისა, მთავრობის ხარჯების რეალური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ დონეზე საკამათოა. ტრადიციულად, საბაზრო ჩავარდნების თეორიამ გაამართლა მთავრობის ინტერვენცია ეკონომიკაში, მაშინ როცა მთავრობის ჩავარდნების თეორია ყურადღებას ამახვილებდა მთავრობის საქმიანობის შესაძლო საზიანო ეფექტზე. თეორიულმა დებატებმა წარმოშვა დიდი რაოდენობის ემპირიული ლიტერატურა და ურთიერთსაწინააღმდეგო მიგნებები (Nijkamp 2004), რომლებიც ეხებოდა მთავრობის ზომასა (განისაზღვრება როგორც მთავრობის ხარჯების წილი მთლიან მშპ-ში) და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის შეფასებას.

მთავრობის ზომის თეორიული საფუძვლები. საჯარო სექტორის მნიშვნელოვნება და სიდიდე დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით ინსტიტუტებს შორის რესურსების გადანაწილებაზე. ამ საკითხზე არსებობს თეორიული შეხედულებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი ნაწილი განიხილავს მთავრობის მინიმალურ ან მაქსიმალურ როლს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას, ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის საქართველოშიც, მთავრობას მინიმალურსა და მაქსიმალურს შორის “ოქროს” შუალედის დაკავების სტრატეგია აქვს არჩეული.


მთავრობის საქმიანობის ეკონომიკურ შედეგებზე გავლენის საკითხმა უამრავი ემპირიული ლიტერატურა წარმოშვა. ეკონომიკურ მეცნიერებაში მთავრობის ზომის თეორიული მოდელი სათავეს იღებს არმიეს მრუდიდან (Armey 1995), რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება მთავრობის ოპტიმალური ზომის ანალიზისათვის (დიაგრამა 3.4.1.)¹.

3.4.2. დიაგრამა გვიჩვენებს მთავრობის ზომასა (მთავრობის ხარჯები/მშპ) და მშპ-ს შორის თანაფარდობას. მრუდის თანახმად, მცირე ზომის მთავრობის პირობებში მშპ-ის ზრდის ტემპი მცირეა (თეორიულ დონეზე ის შეიძლება ნულიც იყოს). მთავრობის ხარჯების ზრდა გარკვეულ დონემდე ხელს უწყობს მშპ-ის სტიმულირებას, რაც აისახება მშპ-ის ზრდაში უფრო და უფრო მაღალი ტემპით.

¹არმიეს მრუდის თეორიული პოსტულატებს ეყრდნობა რანის (Rahn) და BARS-ის მრუდებიც.

გარკვეულ წერტილში მთავრობის ზომა აღწევს იმ მნიშვნელობას, რომელიც გამოსახავს მთავრობის ოპტიმალურ ზომას (g^* წერტილი), სადაც მშპ-ს ზრდის ტემპი აღწევს მაქსიმუმს (B წერტილი). ამ წერტილის შემდეგ მთავრობის ზომის ზრდა ამცირებს მშპ-ის ზრდის მაჩვენებელს, ვინაიდან ზედმეტად გაზრდილი სამთავრობო ხარჯები თანდათანობით ზრდის საგადასახადო ტვირთს როგორც მწარმოებლებისთვის ასევე მომხმარებლებისთვის. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მთავრობის არ არსებობის ან ქაოსური ინსტიტუციონალური გარემოს პირობებში მთავრობის ზომა ნულის ტოლი არ არის, ვინაიდან ადგილი აქვს გარკვეულ ავტონომიური ხარჯების გაწევს, რასაც შეესაბამება მშპ-ის გარკვეული სიდიდე.

დიაგრამა 3.4.1. არმეის მრუდი (Armey Curve)



არმეის მრუდის თეორიულ მიდგომას თუ გავაფართოებთ მივიღებთ მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელს, სადაც მთავრობის ზომა ეკონომიკურ კონიუქტურაზე ზემოქმედებს შემდეგი სახით:

- ✓ მცირდება მოსახლეობის განკარგვადი შემოსავალი (ხარჯების დაფინანსების წყაროა გადასახადები);
- ✓ მცირდება სამომხმარებლო ხარჯები (მოთხოვნის ნაწილი კმაცოფილდება მთავრობის მიერ);

✓ იზრდება კერძო სექტორის მწარმოებლურობა (მთავრობა აფინანსებს ფუნდამენტურ კვლევებს, ხელს უწყობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ.).

ქვეყნის შიგნით მთავრობის ზომის მაჩვენებლის გაანგარიშების არაერთი მეთოდი არსებობს (დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი), რომელიც მარტივი მეთოდოლოგიით, კერძოდ, სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, არის შესაძლებელი. აღნიშნულისაგან, განსხვავებით რთულია მთავრობის ოპტიმალური ზომის გამოვლენა.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მთავრობის ზომის შეფასების, ასევე მისი მშპ-თან კავშირის ნიშნის (დადებითი ან უარყოფითი) დადგენაზე კამათი ჩანაცვლდა მთავრობის ოპტიმალური ზომის (g*) განსაზღვრით. ამასთან მნიშვნელოვანი გახდა შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: ა) რითი შეიძლება აიხსნას თეორიულად მთავრობის ზომასა და მშპ-ს ზრდას შორის არაწრფივი დამოკიდებულება? ბ) არსებობს თუ არა ერთადერთი ოპტიმალური ზომა, რომელიც განაპირობებს მშპ-ის მაქსიმალურ დონეს ყველა ქვეყნისთვის, თუ ეროვნულ და ინსტიტუციონალურ დეტერმინანტებზე დაყდნობით არსებობს სხვადასხვა ოპტიმალური ზომები ქვეყნების მიხედვით?

ეკონომიკურ ლიტერატურაში მთავრობის ზომის ზრდის მთავარ მიზეზად შემდეგი ორი არგუმენტი გამოიყენება: პირველი, „ვაგნერის კანონის“ (Wagner law) სახელწოდებით არის ცნობილი, რომლის მიხედვითაც შემოსავლების ზრდის კვალდაკვალ შინამეურნეობების მოთხოვნის ელასტიკურობა საზოგადოებრივი საქონლის და, შესაბამისად, მთავრობის ხარჯებისადმი 1-ზე მეტია, რაც იწვევს მთავრობის ზომის ზრდას (Sachs, Larrain 1993, 192-193); მეორე, „ღირებულებით დავადება“ (baumol cost disease) მიგვითითებს იმაზე, რომ მთავრობის ზომის მაჩვენებელი იზრდება, გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო მოხელეების ხელფასები უფრო მეტად იზრდება, ვიდრე მათი პროდუქტიულობა (Mutascu, Milos 2009, 447).

ფისკალურ პოლიტიკაში ცნობილი არმეის და ლაფერის მრუდების ანალიზი, ასევე ზემოაღნიშნული „ვაგნერის კანონის“ ძირითადი პრინციპების გაფართოებული ანალიზი გვიჩვენებს ამ მიდგომებს შორის გარკვეულ ლოგიკურ კავშირს. საქმე ისაა, რომ „ვაგნერის კანონის“ მიხედვით, მშპ-ს ზრდას თან სდევს

საბიუჯეტო ხარჯების ზრდა, რასაც მივყავართ მშპ-ში მთავრობის ხარჯების წილის ზრდასთან. ამასთან, არმეის მრუდის მიხედვით მთავრობის ხარჯების ზრდა გარკვეული დონის მერე ამცირებს მშპ-ის ზრდას. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის ხარჯები არის მეორადი ფენომენი, რომელსაც ადგილი აქვს საბიუჯეტო შემოსავლების მიღების შემდეგ - აქ მოქმედებაში შემოდის კიდევ ორი რეგულატორი - ლაფერის საწარმოო და ფისკალური მრუდები, რომლის მიხედვით საგადასახადო განაკვეთის კარკვეული დონის მერე მცირდება საბიუჯეტო შემოსავლები და მშპ, შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში მცირდება მთავრობის ხარჯებიც.

არმეისა და ლაფერის მრუდებს შორის არსებული კავშირზე ჩატარებული პრაქტიკული კვლევების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. საინტერესოდ მიგვაჩნია ბალაცკისა და ეკიმოვას (Балацкий, Екимова 2010, 2011) სტატიები, სადაც შესაბამისი ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებით მაკრო დონეზეა გაანალიზებული აღნიშნული თეორიული მიდგომები ცალკეული ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და რუსეთი) მაგალითზე. ავტორები ხაზს უსვამენ შემდეგ გარემოებებს:

- ✓ არ არსებობს არავითარი ნათელი და ლოგიკური ურთიერთკავშირი ლაფერისა და არმეის მრუდების მდებარეობას შორის;

- ✓ მიმდინარე პერიოდში ყველა ქვეყანა ცდილობს გაატაროს პროფიციტული საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც იქნება “უსაფრთხოების ბალიში” მშპ-ის 1-3% ოდენობით. დეფიციტური საბიუჯეტო პოლიტიკის ეპოქა ჩაბარდა წარსულს, რაც წინააღმდეგობაში მოდის ეკონომიკური ზრდის არსებულ რეჟიმთან.

შესაძლებელია თუ არა აღნიშნულ გარემოებას მივცეთ უფრო ფართო შინაარსობრივი ინტერპრეტაცია? ბალაცკისა და ეკიმოვას აზრით საგადასახადო ტვირთის ზრდა ამცირებს საქმიან და საინვესტიციო აქტივობას. მთავრობის ხარჯების ზრდა, თავის მხრივ, ნიშნავს ეკონომიკის ცალკეული სექტორის მხარდაჭერას. გარდა ამისა, კერძო ინვესტიციები გამოიდევენება სამთავრობო ინვესტიციების მიერ, რაც ასევე ამცირებს ბიზნესის საინვესტიციო აქტივობას, ხოლო, მთავრობის სუბსიდირების შედეგად ადგილი აქვს ეკონომიკური ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას. ასე რომ, საგადასახადო

ტვირთისა და მთავრობის ხარჯების ზრდას განსხვავებული არხების მიუხედავად მივყავართ ერთიდაიგივე შედეგამდე.

ჩნდება სხვა კითხვებიც, კერძოდ, რატომ ხდება რეჟიმების ცვლილება და რეკომბინაცია არმიისა და ლაფერის მრუდების ორმხრივი გადაადგილებით? ავტორების აზრით აღნიშნულ კითხვაზე პასუხს აქვს ევოლუციური ხასიათი. კერძოდ, საგადასახადო ტვირთის ზრდისას ბიზნესი ადაპტირებას აკეთებს მასზე და ავლენს დიდ მოთმინებას. ფისკალური ტოლერანტობის ზრდა იწვევს ლაფერის საწარმოო მრუდის დეფორმაციას და ლაფერის წერტილების მუდმივ ცვლილებას. აღნიშნულთან ერთად ეკონომიკაში მთავრობის მონაწილეობის მასშტაბის ზრდას თავდაპირველ ეტაპზე აქვს დიდი ძალა საზოგადოებრივი საქონლის შექმნის კუთხით. მთავრობის ხარჯებიდან მიღებული სარგებლიანობის შემცირებისას კი ადგილი ექნება არმიის მრუდის დეფორმაციას და მის მარცხნივ გადაადგილებას.

რაც შეეხება პრაქტიკულ დასკვნებს, ავტორები მიუთითებენ შემდეგზე: როგორც ჩანს, ეკონომიკური ზრდის შემზღვეველი ფაქტორი არის სკალის წერტილი. საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებისას, პირველ რიგში, ორიენტაცია სწორედ აღნიშნულზე უნდა გაკეთდეს. ეს ნიშნავს, იმას, რომ მთავრობის ხარჯების ფაქტიური წილი (g) უნდა იყოს $g^* \leq g \leq g^{**}$ ინტერვალში. აღნიშნული პრინციპი უნდა იყოს გამყარებული საგადასახადო ტვირთის უფრო მსუბუქი შეზღვევებით: $q^* \leq q \leq q^{**}$. სადაც g^*, g^{**} არმიის, ხოლო q^*, q^{**} ლაფერის წერტილებია, რომლის დროსაც მშპ-ი ან საგადასახადო შემოსავლები აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას.

მთავრობის ოპტიმალური ზომის ძიება. როგორც თეორიული მოდელებიდან ჩანს მთავრობის ზომის კვლევისას მნიშვნელოვანია მთავრობის ოპტიმალური ზომის განსაზღვრა. აღნიშნულ საკითხზე არსებული კვლევები განსხვავებულია ერთმანეთისაგან, როგორც შეფასების მეთოდოლოგიით ისე მიღებული შედეგებით. კერძოდ, ჩვენს მიერ შესწავლილი კვლევების მიხედვით, რომლებიც აფასებს მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არაწრფივ დამოკიდებულებას, მთავრობის ოპტიმალური ზომა ვარირებს მშპ-ს 20-40%-ის ფარგლებში. კვლევების უმრავლესობა ფოკუსირებულია აშშ-ზე, სადაც მთავრობის ოპტიმალური ზომა უახლოვდება მშპ-ის 20%-იან თანაფარდობას (Grossman, 1987, 1988, Peden 1991, Carlstrom et al., 1991, Scully 1994, Vedder et al., 1998). სხვა ქვეყნების შემთხვევაში

გამოვლინდა აშშ-ზე უფრო მაღალი ოპტიმალური ზომა, კერძოდ: 27% კანადისათვის (Chao, Gruber 1998), 35% OECD-ის 23 ქვეყნისათვის (Afonso et al., 2003), 40% დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის (Davis 2009), დაახლოებით 35-39-43.50% შუაღლეში ევროპული ქვეყნებისთვის (Forte, Magazzino 2010,14, Pevcin 2004, 105), იტალიის მაგალითზე 23.06-32.83% შუაღლეში (Magazzino 2008), შედარებით ახალი კვლევით ევროკავშირის ქვეყნებისათვის მთავრობის ოპტიმალური ზომა 25% (Chobanov, Mladenova 2009) (ცხრილი 3.4.1.).

ცხრილი 3.4.1. არაწრფივი მოდელები

| ავტორი | პერიოდი | პანელი | ოპტიმალური ზომა |
|--------------------------|------------------------|----------------------------|------------------|
| Grossman 1987 | 1929-1982 | აშშ | 19% |
| Grossman 1988 | 1929-1982 | აშშ | - |
| Peden 1991 | 1929-1986 | აშშ | 20% |
| Carlstrom, Gokhaie 1991 | ომის შემდგომი პერიოდი | აშშ | - |
| Scully 1994 | 1929-1989 | აშშ | 21.5-22.9% |
| Karras 1996 | 1960-1985 | 118 ქვეყანა | 23% |
| Vedder , Gallaway 1998 | 1947-1997 | აშშ | 17% |
| Chao, Gruber 1998 | 1929-1996 | კანადა | 27% |
| Scully 2000 | 1995 | 22 OECD/112 ქვეყანა | 20.2-22.3% |
| Afonso et al, 2003 | 1990-2000 | 23 OECD | 35% |
| Mavrov 2007 | 1990-2004 | ბულგარეთი | 21.42 % |
| Pevcin 2004 | 1950-1996 | ევროკავშირის 12 ქვეყანა | 36-42% |
| Magazzino 2008 | 1862-1998 1950-1998 | იტალია | 23.06% 32.83% |
| Davis 2009 | - | დაბალშემოსავლიანი ქვეყნები | 40% |
| Chobanov, Mladenova 2009 | 1970-2009 | ევროკავშირის 28 ქვეყანა | 25% |
| Forte, Magazzino 2010 | 1970-2009 | ევროკავშირის 27 ქვეყანა | 35.39 - 43.50% |

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კვლევების შედეგად მიღებული მთავრობის ოპტიმალური ზომები ნაკლებად შედარებადია მნიშვნელოვანი

მეთოდოლოგიური განსხვავებების (როგორცაა შესაფასებელი მოდელი და დაკვირვების პერიოდი) გამო, 3.4.1. ცხრილი გვიჩვენებს, რომ ცალკეული ქვეყნები უახლოვდება მსგავს, მაგრამ არა იდენტურ ოპტიმალურ ზომას. ამ საკითხზე არსებული კვლევები ასევე მიგვითითებს იმაზე, რომ არმეის მრუდს თითოეული ქვეყნისათვის ექნება განსხვავებული ფორმა.

სხვა კვლევებით მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს: ღარიბი ქვეყნებისათვის მშპ-ის 35%; განვითარებულ ქვეყნებში 46%; მაღალ განვითარებული ქვეყნებისათვის მშპ-ის 75%. იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობის ზომასა და ეკონომიკური ზრდის ტემპს შორის ადგილი აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს, მთავრობის ოპტიმალური ზომა (1991-2000 წლებში) შეადგენდა: დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის დაახლოებით მშპ-ის 15%-ს; საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებისათვის 17%; მაღალ განვითარებული ქვეყნებისათვის მშპ-ის 24%-ს (Илларионов., Пивоварова, 2002).

განსხვავებული დაკვირვების პერიოდებიდან გამომდინარე, ეს ერთი შეხედვით კონტრასტული მიგნებები შესადარებლად რთულია. მართლაც, როგორც ჩანს, მთავრობის ზომის ოპტიმალური განაკვეთი დაკვირვების პერიოდზეა დამოკიდებული (Mavrov 2007, 59). ამგვარად, აუცილებელია უფრო ხანგრძლივ პერიოდზე ჩატარებული კვლევები აშშ-ს გარდა სხვა ქვეყნებზეც, იმისათვის, რომ ვიცოდეთ ამ ქვეყნების მთავრობის ოპტიმალური ზომები (არსებობის შემთხვევაში) უახლოვდება თუ არა ერთ კონკრეტულ განაკვეთს ან არსებობს თუ არა განსხვავებები ეროვნულ დონეზე.

მთავრობის არჩევანი ეკონომიკურ პოლიტიკებს შორის შეიძლება განისაზღვროს საქონელსა და მომსახურებაზე მის მიერ გაწეული ხარჯების, ტანსფერების და ინვესტიციების ანალიზით. ცალკეული კვლევები ადასტურებს, რომ ყველა ქვეყანას აქვს მთავრობის ოპტიმალური ზომის საკუთარი სიდიდე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორსა და წინაპირობაზე (როგორებიცაა: ეკონომიკური განვითარების დონე, საბაზრო ინსტიტუტების ეფექტიანობა, საზოგადოებრივი სექტორის ეფექტიანობა, სახელმწიფო ადმინისტრირება და მოსახლეობის უპირატესობები).

ზემოაღნიშნული ადასტურებს იმას, რომ მთავრობის ზომის ოპტიმალური მაჩვენებლის გაანგარიშება სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე ხდება და მიღებული შედეგი ძირითადად დამოკიდებულია შესაბამისი მოდელის თეორიულ-ეკონომეტრიკულ თვისებებზე.

მთავრობის ზომის მაჩვენებელი. ბოლო წლების განმავლობაში მთავრობის მონაწილეობის დონე საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც საქართველოში, ისე განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობასა და მთავრობის ზომას შორის არსებული კავშირის გამოვლენა და შეფასება. საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ისიც, რომ, ხშირ შემთხვევაში, მთავრობის ზომის ზრდა ბიუროკრატიულ მიზნებს ემსახურება და მისი ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე შეიძლება უმნიშვნელო ან/და უარყოფითი იყოს. თავის მხრივ, ეკონომიკაში მთავრობის ზომის შემცირებაც გარკვეულ კითხვებს ბადებს, რადგან აღნიშნული შეიძლება დაკავშირებული აღმოჩნდეს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმასთან.


მთავრობის ზომის ანალიზისათვის სხვადასხვა მაჩვენებელი გამოიყენება. ასეთებია: ქვეყნის მთლიან აქტივებში მთავრობის აქტივების წილი; საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის თანაფარდობა მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობასთან; საჯარო სექტორის გამოშვება; მთავრობის ინვესტიციების წილი ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებთან; მთავრობის ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან; საბიუჯეტო შემოსავლების წილი მშპ-ში. ამასთან, ადრეულ ეტაპზე განხორციელებულ კვლევების უმრავლესობაში მთავრობის ზომის ანალიზისათვის გამოიყენებოდა მთავრობის მოხმარება (Camero 1982); მთავრობის ხარჯები, საერთო და სოციალური დანახარჯები (Landau 1983); ხარჯებისა და შემოსავლების წილი მშპ-ში (Lindh, Ohlsson 1997). შედარებით უახლესი კვლევები მთავრობის ზომის შეფასებისათვის იყენებს მთლიან საგადასახადო შემოსავლებს და მთლიან საბიუჯეტო ხარჯებს (Fölster, Henrekson 2001, Ohlsson, Skogman 2006, AmirKhalkhali 2002, Bergh, Karlsson 2010).

მთავრობის ზომის მაჩვენებელსა და მშპ-ს შორის კავშირის შეფასებისათვის გამოყენებულ მონაცემებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1. მთავრობის ხარჯების კომპონენტების გამოყენებით მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური ბუნების შესწავლა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ საბიუჯეტო ხარჯების ნაწილს და ნებისმიერი მათგანის გამოყენება მთავრობის ზომის არასწორი შეფასების შესაძლებლობას წარმოშობს. 2. მთავრობის ზომის ანალიზისათვის საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების, როგორც დამოუკიდებელი ცვლადების გამოყენება გარკვეულ თეორიულ დასაბუთებას/ლოგიკას ეყრდნობა, თუმცა ამ ფაქტორების ერთდროული ჩართვა მოდელში მნიშვნელოვან ეკონომეტრიკულ პრობლემებს წარმოშობს; 3. ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) ადგილი აქვს საბიუჯეტო ხარჯების განსხვავებულ კლასიფიკაციას, რაც ართულებს თუნდაც ერთი მოდელის გამოყენებით სხვადასხვა ქვეყანისათვის შეფასებული მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელთა შედარებას. 4. ყველა ქვეყანას აქვს განსხვავებული “ფისკალური ისტორია”.

არსებული მდგომარეობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასში შემავალი ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო, ეკონომიკის მოდერნიზაციის გზაზე დადგა. ამან ბუნებრივად წარმოშვა მთავრობის ზომის თითქმის 100%-იანი მაჩვენებლის თანმიმდევრული შემცირების აუცილებლობა. ეკონომიკაში მთავრობის მონაწილეობის შემცირების საკითხი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი პირობა იყო, მაგრამ ამასთან აქტუალური გახდა საკითხი იმის შესახებ, როგორი უნდა ყოფილიყო მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი. ამ კითხვაზე პასუხი არც ისე მარტივი აღმოჩნდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რადგან სახეზე იყო/არის მთავრობის ზომის უპირობო შემცირების/შეზღუდვის სტრატეგია მისი მაკროეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებების გარეშე. საქართველოში მთავრობის ზომა 2011 წლიდან სამართლებრივი შეზღუდვის ობიექტია¹. შესაბამისად, მისი ზომა ყოველწლიურად ექვემდებარე გადასინჯვას შემცირების მიმართულებით.

¹დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 3.3. საკითხი.


დიაგრამა 3.4.2. მთავრობის ზომის %-ლი თანაფარდობა მშპ-თან (2010 წლის ფასებში)



როგორც 3.4.2. დიაგრამიდან ჩანს, მთავრობის ზომის მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა 2008 და 2009 წლებში, რაც მნიშვნელოვნად განპირობებული იყო 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომით და 2009 წლის ფინანსური კრიზისით, როდესაც მოხდა მთავრობის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა ეკონომიკური ციკლების შემცირებისათვის. სხვა წლებში მთავრობის ზომა მშპ-ის 17-27% შუალედშია. რაც შეეხება მშპ-ს ზრდას, 2009 წელს მთავრობის ზომის ზრდის მიუხედავად მშპ - 4.1% შემცირდა, მშპ-ის ზრდის მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა 2003 და 2007 წელს, როცა მთავრობის ზომა შესაბამისად 14.7% (მინიმალური საანალიზო წლებში) და 25.8% იყო.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ასევე გვიჩვენებს, რომ ქვეყნის შიგნით ადგილი აქვს ფისკალური სტიმულების ცვლილებასა და მთავრობის ზომის ზრდას მშპ-ის შემცირებისას (დიაგრამა 3.4.3.).


დიაგრამა 3.4.3. მთავრობის ზომისა და მშპ-ის ზრდის ცვლილება (2010 წლის ფასებში)



საქართველოს გარდა, ფისკალური სტიმულების ანტიციკლური ხასიათი და მისი კავშირი მთავრობის ზომის ცვლილებასთან უმეტესად დასტურდება, როგორც მსოფლიოს, ისე OECD და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზეც. კერძოდ, მსოფლიოსა და OECD-ის წევრ ქვეყნებში მთავრობის ზომის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2009 წელს, ხოლო შემდგომ წლებში ფინანსური კრიზისის შედეგების შემცირების კვალდაკვალ მთავრობის ზომა უმნიშვნელოდ იცვლება, თუმცა OECD-ის წევრი ქვეყნების მაჩვენებელი აღემატება მსოფლიოს ანალოგიურ მაჩვენებელს, ჩვენს მიერ გაანალიზებულ წლებში (დიაგრამა 3.4.4.)¹.

¹მთავრობის ზომა გაანგარიშებულია საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული საბოლოო ხარჯებით, წყარო: <https://databank.worldbank.org>


დიაგრამა 3.4.4. მთავრობის ზომა OECD-სა და მსოფლიოში
(%-წილი მშპ-ში)



ზემოაღნიშნული მაჩვენებლებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, სადაც მთავრობის ზომის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება, როგორც მსოფლიოს ისე OECD-ის ანალოგიურ მაჩვენებლებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც მთავრობის ზომა მნიშვნელოვნად იზრდება 2008-2009 წლებში, ხოლო შემდგომ წლებში სახეზეა შემცირების ტენდენცია (დიაგრამა 3.4.5.)¹.

¹მთავრობის ზომა გაანგარიშებულია მთლიანი ხარჯების საფუძველზე, წყარო: <https://ec.europa.eu/eurostat/home?>

დიაგრამა 3.4.5. მთავრობის ზომა ევროკავშირში (%-წილი მშპ-ში)



მთავრობის ზომის მოდელის თეორიული საფუძვლები. მთავრობის ზომასა და მშპ-ს შორის კავშირის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია გამოვეყნოთ ბაროს (Barro 1988) ფუნდამენტური კვლევა და არმეის მრუდის თავისებურებები. გამომდინარე იქიდან, რომ არმეის მრუდზე ზემოთ გვექონდა საუბარი აქ ყურადღება გავამახვილოთ ბაროს მოდელზე. აღნიშნული მეცნიერი არის ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მოახდინა მთავრობის ზომის ანალიზი ენდოგენური ზრდის მოდელის ფარგლებში. აღნიშნულ მოდელში შინამეურნეობების ოპტიმალური ქცევის სისტემასთან ერთად წარმოდგენილია სახელმწიფო სექტორი. ამ უკანასკნელის მონაწილეობა წარმოების პროცესში აღიწერება სპეციფიური საწარმოო ფუნქციის მეშვეობით, რომელშიც წარმოების ფაქტორებად განიხილება კაპიტალი და მთავრობის ხარჯები¹. საწარმოო ფუნქციის მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$y = f(k, g) = A K^{1-a} g^a, \quad 0 < a < 1, \quad (3.4.2)$$

სადაც,

y -აღნიშნავს მშპ-ს ერთ სულზე;

A - ფაქტორთა მთლიანი მწარმოებლურობა;

¹კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ ვიხილავთ, მხოლოდ მთავრობის ოპტიმალური ზომის გაანგარიშების ბაროსეულ ხედვას და არ ვაფასებთ (1988 წლის) სტატიის ფარგლებში გაანალიზებულ სხვა მიდგომებს.

K – მწარმოებლების (კერძო სექტორის) ხელთ არსებული კაპიტალის რაოდენობა ერთ სულზე;

g – მთავრობის ხარჯები (შესყიდვები) ერთ სულზე.

(3.4.2) ფუნქციის მიხედვით მთავრობის ხარჯების ზრდა ხელს უწყობს კერძო სექტორის მწარმოებლობის ზრდას, ვინაიდან ის ემსახურება კერძო სექტორისათვის დამატებითი მომსახურებების მიწოდებას.

ბაროს მიერ შემოთავაზებულ მოდელში მთავრობის ხარჯები შეზღუდულია შემოსავლებით, რომელიც თეორიულ დონეზე წარმოადგენს მთავრობის ზომის მაქსიმალურ (პოტენციურ) მნიშვნელობას¹. ხოლო, მთავრობის ხარჯების დაფინანსების წყაროა გადასახადები. აღნიშნულის გათვალისწინებით დაბალანსებული ბიუჯეტის პირობებში (3.3.2) მოდელის საფუძველზე შეიძლება ჩავწეროთ:

$$g = T = ry = rAk^{1-a}g^a \quad (3.4.3)$$

სადაც,

T - არის საბიუჯეტო შემოსავლები ერთ სულზე,

r – საგადასახადო განაკვეთი.

თავის მხრივ, საბიუჯეტო შემოსავლები და მშპ ფისკალური პოლიტიკის ორი ალტერნატიული სამიზნეა, რადგანაც მათზე არსებით გავლენას ახდენს საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ანანიაშვილი, პაპავას (2011) კვლევის განხილვა, რომლის მიხედვით თუ ერთობლივ გამოშვებას ავლნიშნავთ Y -ით, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს T -თი, მაშინ შეგვიძლია ჩავწეროთ $Y = Y(t)$ და $T = T(t)$, სადაც t აგრეგირებული (საშუალო) საგადასახადო განაკვეთია, რომელიც აკმაყოფილებს პირობას $0 \leq t \leq 1$. ამასთან იგულისხმება, რომ $Y(t)$ და $T(t)$ ფუნქციები ერთმანეთთან შემდეგ შესაბამისობაში იმყოფება: $T(t) = tY(t)$. ეს დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ფუნქციის ქცევას არსებითად $Y(t)$ -ს ქცევა განსაზღვრავს. ამ კვლევის მიხედვით:

$$\max_{0 \leq t \leq 1} Y(t) = Y(t^*), \quad \max_{0 \leq t \leq 1} T(t) = T(t^{**}). \quad (3.4.4)$$

¹მოდელში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაშვება უკავშირდება ბიუჯეტის დაბალანსებულობის საკითხს.

საშუალო საგადასახადო განაკვეთს, t^* -ს, რომლის დროსაც გამოშვების მოცულობა მაქსიმალურია, ლაფერის პირველი გვარის ფისკალური წერტილი, ხოლო მაქსიმალური საბიუჯეტო შემოსავლების მომტან t^{**} -ს კი ლაფერის მეორე გვარის ფისკალური წერტილი ეწოდება. ცხადია, ამ ორი წერტილიდან ეკონომიკისათვის უფრო მნიშვნელოვანია პირველი გვარის წერტილი, t^* . ამიტომ t^* -ს პირობითად ოპტიმალურ საშუალო საგადასახადო განაკვეთს ვუწოდებთ (ანანიაშვილი, პაპავა 2011, 8, 18).

დავუბრუნდეთ (3.4.2) ფუნქციას, თუ მას იზოლირებულად განხილავთ დამოუკიდებელი მოდელის როლში, ადვილად შევნიშნავთ, რომ მოცემული a -ს პირობებში y არის როგორც K -ს ასევე g -ს მიმართ ზრდადი ფუნქცია. მაგრამ ბარომ აჩვენა, რომ გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით ენდოგენური ზრდის მოდელის ფარგლებში შეფარდება g/y , რომელიც ფაქტობრივად გამოსახავს სახელმწიფო შესყიდვების წილს მშპ-ში და წარმოადგენს სახელმწიფოს ზომის მაჩვენებელს, g -ს მიმართ მაქსიმუმის მქონე ფუნქციად გარდაიქმნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, გარკვეულ დონემდე მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ზრდა ზრდის მშპ-ს მაქსიმალურ (პიკურ) დონემდე, რომლის შემდეგ ხარჯების ზრდა ამცირებს მშპ-ს. განსაკუთრებით საინტერესოს წარმოადგენს ის გარემოება, მაქსიმალური მშპ-ს შესაბამისი g/y აკმაყოფილებს პირობას: $\frac{g}{y} = a$, სადაც a პარამეტრი (3.4.2) ფუნქციაში გამოსახავს ერთ სულზე გამოშვების ელასტიკურობას ერთ სულზე ხარჯების მიმართ. მაშასადამე, ამ ლოგიკის მიხედვით მთავრობის ოპტიმალური ზომა, რომელიც ახდენს მშპ-ს მაქსიმიზაციას, ბაროს ენდოგენური ზრდის მოდელში რაოდენობრივად ემთხვევა მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ელასტიკურობის კოეფიციენტს. დაზუსტებისთვის გვინდა აღვნიშნოთ, რომ $\frac{g}{y} = a$ ტოლობა იმავდროულად გულისხმობს, რომ მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ზღვრული პროდუქტი უნდა უდრიდეს ერთს. აღსანიშნავია, რომ ბაროს ენდოგენური ზრდის მოდელში მთავრობის ოპტიმალური ზომის პირობებში გამოშვებასთან ერთად მაქსიმუმს აღწევს ასევე შინამეურნეობების სარგებლიანობა.

თუ შევაჯამებთ ბაროს მოდელის შედეგებს, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი გარემოებები.

✓ მთავრობის მწარმოებლური ხარჯები (რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კერძო საკუთრების უფლების დაცვას, თავდაცვასა და უსაფრთხოებას, სახანძრო უსაფრთხოებას და სხა) გავლენას ახდენს კერძო კაპიტალის ფორმირებაზე ასევე გავლენას ახდენს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე. საპირისპირო შემთხვევაში არაეფექტიანი მთავრობის ხარჯები ამცირებს კერძო კაპიტალს და უარყოფით გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე;

✓ მთავრობის მწარმოებლური ხარჯების გადასახადებით დაფინანსება შეგვიძლია განვიხილოთ მშპ-ის ზრდის მასტიმულირებლად გარკვეულ დონემდე. ხარჯების გადასახადებით დაფინანსება თავის მხრივ დამოკიდებულია საგადასახდო სისტემაზე, შესაბამისი ინსტრუმენტების ცვლილების ხარისხზე. საბიუჯეტო დეფიციტით ან შიდა თუ უცხოური სესხის ადებით მწარმოებლური ხარჯების დაფინანსებისას მისი კერძო კაპიტალის ფორმირებაზე დადებითი გავლენა შესაძლებელია შემცირდეს „გამოდევნის ეფექტის“, ეროვნული დანაზოგების შემცირების ან საბაზრო სტიმულების დამახინჯების შედეგად. გრძელვადიან პერიოდში დაუბალანსებელი ბიუჯეტი ეკონომიკური რყევების წყაროა და, თუ ის მწარმოებლური ხარჯების დაფინანსებისაკენ არ არის მიმართული, ეკონომიკური დანაკარგებს განაპირობებს;

✓ მშპ-ის ზრდაზე მთავრობის გადაწყვეტილებების გავლენის შეფასებისას მნიშვნელოვანია ამ გადაწყვეტილებების კერძო სექტორის მწარმოებლურობაზე გავლენის შეფასება;

✓ მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი მიიღწევა იმ წერტილში, სადაც მთავრობის ხარჯების ზღვრული პროდუქტი ერთის ტოლია;

✓ კაპიტალის ზღვრული პროდუქტი დამოკიდებულია არა მარტო წარმოების ისეთ ფაქტორებზე როგორცაა შრომა და კაპიტალი, არამედ მთავრობის ხარჯებზეც, რომელიც საბაზრო სტიმულებზე პირდაპირ არ რეაგირებს, თუმცა დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ კონიუქტურაზე.

ბაროს და არმეის მრუდის თეორიული პოსტულატების შეჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე მიდგომას აქვს ერთი საერთო ნიშანი - ორივე მოდელი განსხვავებული მეთოდოლოგიით, თუმცა ერთნაირად აანალიზებს მთავრობის ოპტიმალურ ზომას მთავრობის ხარჯების ზღვრული პროდუქტის

მიხედვით. მათ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ ბაროს შემთხვევაში მთავრობის ზომის ზღვრული პროდუქტი იზომება კაპიტალის მწარმოებლურობასთან კავშირში, ხოლო არმეის მრუდი ანალიზებს მთავრობის ხარჯების ზღვრულ პროდუქტს სხვა ფაქტორებთან კავშირის გარეშე. ამ მოდელში, ბაროს მოდელისაგან განსხვავებით, როგორც საშედეგო ცვლადი ძირითადად გამოიყენება მშპ და არა მშპ ერთ სულზე.

მთავრობის ზომის მოდელის ძიება და ოპტიმალური ზომის შეფასება.

მთავრობის ზომის ანალიზისათვის ამ საკითხზე არსებული კვლევების უმრავლესობაში გამოყენებულა მთავრობის ხარჯების მაჩვენებელი, რაც ყველაზე აპრობირებული მეთოდია მთავრობის ზომის ანალიზისათვის. თუმცა, ჩვენი აზრით აღნიშნული მიდგომის ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ ეს მაჩვენებელი არაფერს გვეუბნება მთავრობის ხარჯების მწარმოებლურობაზე, ხოლო მისი მშპ-თან შეფარდებით ჩვენ ვიღებთ მთავრობის ზომის ფაქტიურ სიდიდეს, რომელზეც არაერთი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი ახდენს გავლენას. აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობის ზომის მშპ-ზე გავლენის შეფასებასათვის მიზანშეწონილია მთავრობის მწარმოებური ხარჯების, კერძოდ $\frac{g}{Y}$ თანაფარდობის გამოყენება.

მთავრობის ზომის შეფასებისათვის თავდაპირველ ეტაპზე ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა (3.4.2) მოდელი, როგორც ცვლადთა ერთ სულზე გაანგარიშებით ასევე მის გარეშე. ორივე შემთხვევაში მიღებული შეფასებების სტატისტიკური მახასიათებლები არადამაჯერებელი იყო, ასევე ადგილი ჰქონდა ავტოკორელაციის პრობლემას¹. ამიტომ უარი ვთქვით (3.4.2) მოდელის გამოყენებაზე და ე. ბალაცკის (Балацкий, Екимова 2011) მსგავსად მივმართეთ არაწრფივი (კვადრატული) მოდელი, რომლის თეორიული ვარიანტი შემდეგი სახისაა:

$$y = A + a_1(g) + a_2(g)^2 + \varepsilon \quad (3.4.5)$$

აქ შემავალი ცვლადები შემდეგი შინაარსის მქონეა:

y - რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი;

g – მთავრობის ხარჯების (შესყიდვების) წილია რეალურ მშპ-ში;

¹იხილეთ დანართი, ცხრილი 13, 14, 15, 16.

ε_t – შეცდომების შემთხვევითი სიდიდეა.

კვადრატულ ფუნქციაზე ჩვენი არჩევანი განაპირობა იმან, რომ მისი საშუალებით შეიძლება განვსაზღვროთ მობრუნების წერტილი, ანუ g -ს ის მნიშვნელობა, რომლისთვისაც მშპ-ი მაქსიმალურია. სხვანაირად ამ მაჩვენებელს, როცა ის არსებობს ეკონომიკურად გამართლებულ საზღვრებში, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მთავრობის ოპტიმალური ზომა. თუ ამ ზომას აღვნიშნავთ g^* -ით მაშინ ადვილად დავადგენთ, რომ მას შემდეგი მნიშვნელობა შეესაბამება:

$$g^* = -\frac{\hat{a}_1}{2\hat{a}_2}, \quad (3.4.6)$$

სადაც, \hat{a}_1 და \hat{a}_2 (3.4.5) განტოლების a_1 და a_2 კოეფიციენტების შეფასებებია.

საქართველოს რეალობისთვის (3.4.5) მოდელის თავდაპირველმა შეფასებამ გვიჩვენა, რომ მოდელში შემავალ შეცდომებს პირველი რიგის ავტოკორელაცია გააჩნდათ. ამ პრობლემის გადასალახავად გამოვიყენეთ რობასტული შეფასებების მეთოდი, რომლის შესაბამისი შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 3.4.2-ში. ცხრილის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მიღებული შედეგები სტატისტიკურად სრულიად დამაკმაყოფილებელია. თავის მხრივ ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ (3.4.6) ფორმულით საქართველოსთვის გამოვთვალოთ მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი. გვექნება:

$$g^* = -\frac{\hat{a}_1}{2\hat{a}_2} = \frac{44095}{2 \times 107825} = 0,205$$

მაშასადამე, მივიღეთ, რომ საქართველოში მთავრობის ოპტიმალური ზომა (g^*) 1996-2018 წლების მონაცემების თანახმად დაახლოებით შეადგენდა 20%-ს. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს იმ სიდიდეს (g^* წერტილი არმეის მრუდში), რომლის დროსაც საქართველოში მშპ-ის ზრდის ტემპი აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას (დიაგრამა 3.4.6.).


ცხრილი 3.4.2. (3.4.5) მოდელის რობასტული შეფასებები

Dependent Variable: Y
 Method: Robust Least Squares
 Sample (adjusted): 1996Q2 2018Q4
 Included observations: 91 after adjustments
 Method: M-estimation
 M settings: weight=Bisquare, tuning=4.685, scale=MAD (median centered)
 Huber Type I Standard Errors & Covariance


| Variable | Coefficient | Std. Error | z-Statistic | Prob. |
|----------------|-------------|------------|-------------|--------|
| g | 44095.36 | 6360.426 | 6.932768 | 0.0000 |
| g ² | -107825.1 | 22944.35 | -4.699418 | 0.0000 |
| C | 350.8193 | 378.8686 | 0.925965 | 0.3545 |

| Robust Statistics | | | |
|-----------------------|----------|------------------------|----------|
| R-squared | 0.563921 | Adjusted R-squared | 0.554010 |
| Rw-squared | 0.734215 | Adjust Rw-squared | 0.734215 |
| Akaike info criterion | 142.4303 | Schwarz criterion | 148.4734 |
| Deviance | 51825540 | Scale | 619.7268 |
| Rn-squared statistic | 133.4316 | Prob(Rn-squared stat.) | 0.000000 |

| Non-robust Statistics | | | |
|-----------------------|----------|--------------------|----------|
| Mean dependent var | 3942.169 | S.D. dependent var | 1478.710 |
| S.E. of regression | 873.8810 | Sum squared resid | 67202792 |



დიაგრამა 3.4.6. არმეის მრუდი საქართველოსათვის



აღსანიშნავია, რომ (2.4.5) მოდელიდან მიღებული მთავრობის ოპტიმალური ზომა ცალკეულ წლებში (2003-2018) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი ფაქტობრივი მაჩვენებლისაგან (იხილეთ ცხრილი 3.4.3.), რაც არსებული ფისკალური სტიმულების, მაკროეკონომიკური მიზნების ხელახლა გაანალიზების აუცილებლობაზე მიუთითებს. როგორც ცხრილ 3.4.3.-დან ჩანს, მთავრობის მწარმოებლური ხარჯების (გ) ფაქტიური სიდიდე მთავრობის ზომის ოპტიმალურ მნიშვნელობასთან შედარებით ახლოს იყო 2010 და 2018 წელს, რომელსაც შეესაბამებოდა მშპ-ის 7.20%-ი და 4.7%-ი ზრდა. სხვა წლების უმრავლესობაში ფაქტობრივი ზომის მნიშვნელობა ჩამორჩება შეფასებულ მაჩვენებელს, ხოლო 2007-2009 წლებში აღემატება კიდევ. როგორც ჩანს, საანალიზო პერიოდში (1996-2018 წლები) მთავრობის ზომის ფაქტობრივი მნიშვნელობების უმრავლესობა, არმეის მრუდის აღმავალ ნაწილზეა განლაგებული, რაც მშპ-ის ზრდის სტიმულირებისათვის გარკვეულ (პოტენციურ) შესაძლებლობად შეიძლება განვიხილოთ. მთავრობის შეფასებული ოპტიმალური ზომა ადასტურებს ცალკეულ წლებში მთავრობის ხარჯების არაეფექტიანობას მშპ-ის სტიმულირების პროცესში.

ცხრილი 3.4.3. შესაბამისობა მთავრობის ზომასა და მშპ-ის ზრდის ტემპს შორის

| წლები | მთავრობის ზომა (გ) (მთავრობის ხარჯები/მშპ) | მშპ ზრდა | შეფასებული ოპტიმალური ზომა (1996:II-2018:IV) |
|-------------------|---|----------|---|
| 2003 | 10.00 | 11 | 20% |
| 2004 | 14.00 | 8 | |
| 2005 | 17.00 | 5.8 | |
| 2006 | 15.00 | 9.6 | |
| 2007 | 22.00 | 11.8 | |
| 2008 | 26.00 | 2.7 | |
| 2009 | 24.00 | -4.1 | |
| 2010 | 21.00 | 7.2 | |
| 2011 | 18.00 | 6.6 | |
| 2012 | 18.00 | 6.1 | |
| 2013 | 17.00 | 3.8 | |
| 2014 | 17.00 | 4.4 | |
| 2015 | 18.00 | 3.2 | |
| 2016 | 18.00 | 3.1 | |
| 2017 | 17.00 | 4.9 | |
| 2018 ¹ | 19.00 | 4.7 | |

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობის ზომის მაკროეკონომიკური ბუნების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია გამოვეყნოთ შემდეგი გარემოებები:

- ✓ მთავრობის ოპტიმალური ზომა წარმოადგენს დინამიკურ მაჩვენებელს;
- ✓ გრძელვადიან პერიოდში მშპ ზრდის ხელშეწყობისათვის ფისკალური სტიმულები ორინტირებული უნდა იყოს მწარმოებელი ხარჯების ზრდაზე;
- ✓ მთავრობის ხარჯების მწარმოებლობის მაჩვენებელი იწვევს არმეის მრუდის ან მრუდზე გადაადგილებას, ხოლო მთავრობის ფაქტიურ სიდიდეს ეკონომიკურთან ერთად განსაზღვრავს სოციალური ფაქტორები;
- ✓ მშპ-ის ზრდის ტრენდი ახლოსაა მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ტრენდთან.

¹წინასწარი მონაცემები, წყარო: www.geostat.ge

დასკვნა

1. ზოგადი

1.1. მშპ-ის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე და განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით.

1.2. მაკროეკონომიკურ პარამენტრების სამართლებრივი შეზღუდვები აფერხებს ეფექტიან, ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

1.3. ქვეყნის შიგნით მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესების გათვალისწინებით, ყველა ქვეყანას აქვს მთავრობის ოპტიმალური ზომის განსხვავებული მაჩვენებელი.

1.4. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების თავისებურებიდან გამომდინარე, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდა და სტრუქტურული რეფორმების სწორად წარმართვა მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტიმულირებისათვის.

1.5. მთავრობის ოპტიმალური ზომა წარმოადგენს დინამიკურ მაჩვენებელს.

2. გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებები

2.1 ინფლაციის უარყოფითი გავლენა მშპ-ის ზრდაზე დასტურდება ჩვენს მიერ განხილული მოდელების უმრავლესობაში, იმ მოდელებშიც, სადაც ინფლაცია გარკვეული ლაგით არის გაანალიზებული.

2.2 სტრუქტურული რეფორმები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დადებით გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე მხოლოდ 4 მოდელში (A1; A8; A10; A11), სხვა მოდელებში დაფიქსირდა უარყოფითი გავლენა. ვინაიდან სტრუქტურული რეფორმების საწყის პერიოდში, განხილული ქვეყნების უმრავლესობაში საკმაოდ რთულად ხდებოდა საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ძირითადი ინსტიტუტების ფორმირება. უარყოფითი გავლენის ყველა გამოვლინება დაფიქსირდა პირველი ლაგის პრობებში.

2.3. მთავრობის ხარჯების წილს მშპ-ში პირველი ლაგის პრობებში დადებით გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე ყველა მოდელში, ხოლო მეორე ლაგით განხილულ მოდელებში, გარდა A2; A4; A9 მოდელებისა, ყველგან ადგილი აქვს უარყოფით გავლენას.

2.4. ფასების ლიბერალიზაციის ინდექსი უარყოფით გავლენას ახდენს მშპ-ის საწყის და მეორე ლაგის პირობებში (მოდელები: A2; A6; A7), ხოლო, პირველი ლაგის პირობებში აღნიშნული მაჩვენებელი დადებითია.

2.5. კონკურენციის პოლიტიკის არსებული დონე უარყოფით გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე პირველი ლაგის პირობებში, ხოლო მეორე ლაგის პირობებში აღნიშნული მაჩვენებელი დადებითია.

2.6. გაცვლითი კურსის არსებული დონე ჩვენს მიერ განხილულ ყველა მოდელში უარყოფით გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე, დადებითი გავლენა დაფიქსირდა მხოლოდ ერთ, A4 მოდელში.

2.7. პრივატიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდაზე მხოლოდ პირველი ლაგის პირობებში, ყველა სხვა შემთხვევაში მისი გავლენა დადებითია;

2.8. ინვესტიციების დონე დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე გრძელვადიან პერიოდში.

3. ფისკალური პოლიტიკის სამართლებრივი შეზღუდვები საქართველოში

3.1. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელზე გადამეტების კანონმდებლობით დაშვება მომავალში არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს წინაპირობება შეიძლება გახდეს.

3.2. დღეის მგდომარეობით ეროვნული ბანკის ვალეების წილი მთლიან ვალში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მთავრობის ვალეებს, თუმცა მოსალოდნელია აღნიშნული პროპორციის საპირისპირო მიმართულებით ცვლილება.

3.3. 2019 წლის პირველი იანვრიდან “ეკონომიკური თავისუფლების” შესახებ კანონში შესული ცვლილების შედეგად ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არასაფინანსო აქტივების ზრდის ზღვრული მაჩვენებელი ქრება კანონის რეგულირების სფეროდან. ეს ცვლილება ზრდის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის რისკებს, აუარესებს საინვესტიციო გარემოს. ამავე დროს მთავრობას ეძლევა სრული თავისუფლება ხარჯებთან მიმართებაში, რაც გაზრდის ეკონომიკურ ზრდაზე მთავრობის ზომის გავლენას.

4. მთავრობის ხარჯების მულტიპლიკატორი საქართველოში

4.1. ჩვენს მიერ შეფასებული მოდელის ფარგლებში მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მთავრობის ხარჯების კომპონენტების გავლენა მშპ-ზე უმნიშვნელოა. გავლენის ეფექტი ვლინდება პირველი კვარტალის პირობებში, ხოლო შემდგომ კვარტლებში აღნიშნული ეფექტი მცირდება და უარყოფით მნიშვნელობასღებულობს.

4.2. მთავრობის ხარჯების კუმულაციური მულტიპლიკატორის მნიშვნელობები შემდეგია: მთავრობის მოხმარება 0.45, გრანტების 0.23, სხვა ხარჯების -0.009, პროცენტის 0.08, ტრანსფერების 0.12.

4.3. მთავრობის მოხმარების მულტიპლიკატორი მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს III კვარტალში და სხვა მაჩვენებლებზეც მაღალია.

4.4. მშპ-ის ვარიაციაში განსაკუთრებით მაღალია თვითვარიაციის მაჩვენებელი.

5. მთავრობის ოპტიმალური ზომა საქართველოში

5.1. მთავრობის ოპტიმალური მაჩვენებელი ძირითადად განსხვავდება ფაქტობრივი მნიშვნელობისგან, როგორც ნომინალურ, ასევე, რეალურ გამოსახულებაში.

5.2. საქართველოში მთავრობის ოპტიმალური ზომა დაახლოებით 20%-ის ტოლია, რომლისგან გადახრა უარყოფითა გავლენას ახდენს მშპ ზრდის ტემპზე.

5.3. საანალოზო პერიოდში (1996-2018 წლები) მთავრობის ზომის ფაქტობრივი მნიშვნელობების უმრავლესობა, არმეის მრუდის აღმავალ ნაწილზეა განლაგებული, რაც მშპ-ის ზრდის სტიმულირებისათვის გარკვეულ (პოტენციურ) შესაძლებლობად შეიძლება განვიხილოთ.

5.4. მთავრობის ზომის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია მთავრობის მოხმარება.

5.5. მთავრობის ზომის ეფექტიანობა მიზანშეწონილია შეფასდეს მთავრობის მწარმოებლური ხარჯებით.

5.6. გრძელვადიან პერიოდში მშპ-ის ზრდის ხელშეწყობისათვის ფისკალური სტიმულები ორიენტირებული უნდა იყოს მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ზრდაზე.

5.7. მთავრობის ხარჯების მწარმოებლურობის მაჩვენებელი იწვევს არმეის მრუდის ან მრუდზე გადაადგილებას, ხოლო მთავრობის ფაქტიურ სიდიდეს ეკონომიკურთან ერთად განსაზღვრავს სოციალური ფაქტორები.

5.8. მშპ-ის ზრდის ტრენდი ახლოსაა მთავრობის მწარმოებლური ხარჯების ტრენდთან.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები, მონოგრაფიები, სტატიები

1. ანანიაშვილი, ი., პაპავა, ვ. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. „სიახლე“, თბილისი, 2009.
2. ანანიაშვილი, ი., პაპავა, ვ. რესურსების გამოყენების ეფექტიანობასა და მოცულობაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მოდელები. ჟ. „ეკონომისტი“, №1, 2011.
3. ანანიაშვილი, ი. ოუკენის პარამეტრის შეფასების ეკონომეტრიკული პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია” მასალების კრებული, თბილისი, 2012.
4. ანანიაშვილი, ი. არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები, „ეკონომიკა და ბიზნესი“, №5, სექტემბერი-ოქტომბერი, თბილისი, 2014.
5. ანანიაშვილი, ი., ბარდაველიძე, ა. საქართველოს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ზემოქმედების თავისებურებების ეკონომეტრიკული ანალიზი. III საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. შრომების კრებული. თბილისი, 26-27 ოქტომბერი, 2018.
6. ასათიანი, რ. ეკონომიკის (განმარტებითი ლექსიკონი). თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, „სიახლე“, 1996.
7. აქუბარდია, თ. საბაზრო სისტემა და სახელმწიფო. თბილისი, 1996.
8. ბლანშარი, ო. მაკროეკონომიკა. თსუ, გამომცემლობა, 2010.
9. ბოლქვაძე, ბ. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კორდინაციის მნიშვნელობა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. „უნივერსალი“, თბილისი, 2009.
10. ბოლქვაძე, ბ. ფისკალური პოლიტიკის როლი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში. ჟურნალი. „სოციალური ეკონომიკა“, სექტემბერი-ოქტომბერი, 2005.

11. ბასილია, თ., სილაგაძე, ა., ჩიკვაძე, თ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001.
12. ბასარია, რ., მესხია, ი. გარდამავალი ეკონომიკის მაკროეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1995.
13. გამსახურდია, თ. საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003.
14. ზედგინიძე, ზ., მხარიშვილი, შ. მაკრო-ფისკალური მოდელი საქართველოს ეკონომიკისათვის. ეკონომიკა და საბანკო საქმე. ტომი 2, №2, 2014.
15. კეინზი, ჯ. „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, ქუთაისი, 1995.
16. მენქიუ, გ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.
17. მექვაბიშვილი, ე. თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი), 2016.
18. კვარაცხელია, დ. სოლოუს ნაშთის მოდიფიკაცია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის გათვალისწინებით. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, მაისი-ივნისი, №3, 2012.
19. პაპავა, ლ. პოსტკომუნისტურის კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002.
20. პაპავა, ლ. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში, ჟურნალი “ეკონომისტი”, №4, 2009.
21. პაპავა, ლ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. „თსუ“ თბილისი, 2005.
22. პაპავა, ლ. მკვეთრი ზრდის ეფექტი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდა (პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე). სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, 2014.
23. ჩიქობავა, მ., კაკულია, ნ. მაკროეკონომიკა. თბილისი, 2009.

24. ჩიქობავა, მ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ მოდელს კიდევ ერთხელ გარკვევის საკითხისთვის. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, №3, მაისი-ივნისი, 2011.
25. ჩიქობავა, მ. კონვერგენციის შესაძლებლობები ნეოკლასიკური და ენდოგენური ზრდის მოდელების მიხედვით. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, №4, ივლისი- აგვისტო, 2013.
26. ხადური, ნ. საქართველოს ეკონომიკა გლობალური კრიზისის ფონზე. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, №6, ნოემბერი-დეკემბერი. 2010.
27. საქართველოს ბანკების ასოციაცია. ეკონომიკური გლოსარიუმი, 2000.
28. Ananiashvili I., Papava V. Laffer-Keynesian Syntesis and Macroeconomic Equilibrium. NewYork, Nova Science Publishers, 2014.
29. Ananiashvili, I. Dependence of Aggregate Supply on the Main Factors Prices of Production. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 12(1), 2018.
30. Abel, A., Bernanke, S., Croushor, D. Macroeconomics. 2014.
31. Armev, D., Armev R. The Freedom Revolution: The New Republican House Majority Leaders Tells why Big Governments failed, Why Freedom works, and How we will rebuild America, Wasngington D.C.; Regnery Publishing Inc, 1995.
32. Altunc, O. F., Aydn, C. The relationship between optimal size of government and economic growth: Empirical evidence from Turkey, Romania and Bulgaria, Procedia - Social and Behavioral Sciences, 92, 66-75, 2013.
33. Armay, R. The Freedom Revolution, Regnery Publishing Co., Washington, D.C, 1995.
34. Al-Eyd, Barrell., R. Estimating Tax and Benefit Multipliers in Europe. Economic Modelling 22(5):759-776, 2005.
35. Aslund, A. Principles of Privatization. In: Csaba, László (Hg.): Systematic Change and Stabilization in Eastern Europe. Aldershot: Dartmouth, S. 17–31, 1991.
36. Barro, R. Determinants of Economic Growth: A Cross-Country Empirical Study. Cambridge, Mass.: MIT Press, 1997.
37. Barro, R. Government spending in a simple model of endogenous growth, Journal of Political Economy. No 2588, NBER Working Papers, 1988.

38. Barro, R. Government spending in a simple model of endogenous growth, *Journal of Political Economy*, 98, 103126, 1990.
39. Barro, R., Sala, X. *Economic Growth*. Massachusetts Institute of Technology, 2004.
40. Blanchard, O., Giovanni Dell’Ariccia, Mauro, P. “Rethinking Macroeconomic Policy.” *Journal of Money, Credit & Banking* 42:199-215, 2010.
41. Bernanke, B. A Perspective on Inflation Targeting.” Remarks before the Annual Washington Policy Conference of the National Association of Business Economists. Washington, D.C., March 25, 2003.
42. Blinder, A., Solow, R. “Analytical Foundations of Fiscal Policy,” in *The Economics of Public Finance*, (Washington, D.C: The Brookings Institution), 1974.
43. Blanchard, O. *The Economics of Transition in Eastern Europe*, 1997.
44. Blanchard, O., Perotti, R. An Empirical Characterization of the Dynamic Effects of Changes in Government Spending and Taxes on Output. *The Quarterly Journal of Economics*. Vol. 117, No. 4 (Nov., 2002), pp. 1329-1368, 2002.
45. Blankenau, W., Simpson, B. "Public education expenditures and growth," *Journal of Development Economics*, Elsevier, vol. 73(2), 2004.
46. Bergh, A., Karlsson M. Government size and growth: Accounting for economic freedom and globalization. *Public Choice* January 2010, Volume 142, Issue 1–2, pp 195–213, 2010.
47. Berg, A., Sachs J. Structural Adjustment and International Trade in Eastern Europe: The Case of Poland. In: *Economic Policy*, Jg. 14, S. 117–174, 1992.
48. Berg, Borensztein., Sahay., Zettelmeyer. *The Evolution of Output in Transition Economies: Explaining the Differences*. IMF Working Paper 99/73 (May), Washington, D.C.: International Monetary Fund, 1999.
49. Balatsky, E., Ekimova, N. Fiscal Policy and Economic Growth. *Problems of Economic Transition*, vol. 54, no. 12, April 2012, pp. 55–70, 2012.
50. Godoy, S., Stiglitz., J. Growth, Initial Conditions, Law and Speed of Privatization in Transition Countries: 11 Years Later, with S. Godoy, in *Transition and Beyond*, S. Estrin et al, eds., Palgrave Macmillian: Hampshire, England, 2007, pp. 89-117. 1992

51. Bierens, H. J. "Testing the unit root with drift hypothesis against nonlinear trend stationarity, with an application to the US price level and interest rate", *Journal of Econometrics*, Vol. 81, pp. 29-64, 1997.
52. Chao, J., Grubel, H. Optimal Levels of Spending and Taxation in Canada, Chapter in *How to Use the Fiscal Surplus: What is the optimum Size of Government*, The Fraser Institute, Vancouver, 1998.
53. Cameron, D. On the Limits of the Public Economy. *Annals of the Academy of Political and Social Science* 459 (1): 46–62, 1982.
54. Christiano, L., Eichenbaum, M., Rebelo, S. "When is the government spending multiplier large," NBER Working Papers 15394, National Bureau of Economic Research, Inc, 2009.
55. Christoffersen, P., Doyle, D. *From Inflation to Growth: Eight Years of Transition*. International Monetary Fund, 1998.
56. Christie, T. The effect of government spending on economic growth: Testing the non-linear hypothesis. *Bulletin of Economic Research*, 66(2), 183-204, 2014.
57. Charles.,S, Dallery., T., Marie, J. *Why Are Keynesian Multipliers Larger in Hard Times? A Palley-Aftalion-Pasinetti Explanation*, 2018.
58. De Vroey, M. *A History of Macroeconomics from Keynes to Lucas and Beyond*". Cambridge University Press, 2016.
59. Devarajan, S., Swaroop V., Heng-fu, Z. The Composition of Public Expenditure and Economic Growth. *Journal of Monetary Economics* 37(2), 1996.
60. Dar, A., AmhirKhalkhali, S., Government size, factor accumulation, and economic growth: evidence from OECD countries. *Journal of Policy Modeling*, 24, 679-692, 2002.
61. Djankov, S. et al., *The New Comparative Economics*. *Journal of Comparative Economics*, 31(4), 595-619. ISSN 0147-5967, 2003.
62. Dewatripont, M., Gerard, R. Transition as a Process of Large-Scale Institutional Change. In: *Economics of Transition*, 1996.

63. De Melo, M., Denizer, C., Tenev, S. Circumstances and choice: the role of initial conditions and policies in transition economies. World Bank Policy Research Working Paper No. 1866, 1997.
64. De Melo, M., Denizer, C., Gelb, A., de Melo, M., Denizer, C., Gelb, A. Patterns of transition from plan to market. World Bank publication, 1996.
65. Islam, N. Growth Empirics: A Panel Data Approach. The Quarterly Journal of Economics Vol. 110, No. 4 (Nov., 1995), pp. 1127-1170, 1995.
66. Folscher, A., Krafchik, W., Shapiro, V. Transparency and Participation in the Budget Process. IDASA, Budget Information Service and the International Budget Project, 2000.
67. Facchini, F., Melki, M. Optimal government size and economic growth in France (1871-2008: An explanation by the State and market failures. 2011.
68. DeLong, J. Bradford., Summers, L. "Fiscal Policy in a Depressed Economy." *Brookings Papers on Economic Activity* 2012:233-97, 2012.
69. Fölster, S., Henrekson, M. Growth Effects of Government Expenditure and Taxation in Rich Countries. *European Economic Review* 45 (8): 1501–1520, 2001.
70. Guseh, J. Government size and economic growth in developing countries: A political-economy framework. *Journal of Macroeconomics*, 19(1), 175-192, 2007.
71. Glomm, G., Ravikumar, B. Productive government expenditures and long-run growth. *Journal of Economic Dynamics and Control* 183-204, 1997.
72. Gemmel, N., Kneller, N., Sanz, I. The Timing and Persistence of Fiscal Policy Impacts on Growth: Evidence from OECD Countries. *Economic Journal*, 121(550), F33-F58. ISSN 1468-0297, 2011.
73. Gaber, S., Gruevski, I., Gaber, V. The effects of discretionary fiscal policy on macroeconomic aggregates. *BEH - Business and Economic Horizons*. Volume 9. Issue 1, 2013.
74. Gwartney, J.D., Lawson, R. The concept and measurement of economic freedom. *European Journal of Political Economy* 19, 405–430, 2003.
75. Gwartney, J.D., Lawson, R. *Economic Freedom of the World: 2007 Annual Report*. Fraser Institute, Vancouver, 2007.

76. Grossman, P. J. Government and economic growth: a non-linear relationship. *Public Choice*, 56, pp. 193-200, 1988.
77. Greene, W. *Econometric Analysis*. New York University, 2000.
78. Hansen, A. *A Guide to Keynes*, New York: McGraw Hill, 1953.
79. Hibbs, D. Comment on Beck. *American Political Science Review* 77, 447–451, 1983.
80. Hayek, F. *Individualism and Economic Order*, London, 1949.
81. Havrylyshyn, L., Izvorski, L., Rooden, R. *Recovery and Growth in Transition Economies 1990—97: A Stylized Regression Analysis*. IMF, 1998.
82. Hausmann, R., Pritchett, L., Rodrik, D. Growth accelerations. *Journal of Economic Growth* 10, 303–329, 2005.
83. Heckelman, J.C. Economic freedom and economic growth: a short-run causal investigation. *Journal of Applied Economics* III, 71–91. Heckelman, J.C., 2000.
84. Havrylyshyn, O. *Fifteen Years of Transformation in the Post-Communist World*. Cato institute, 2007.
85. Heybey, B., Murrell, P. *The Relationship Between Economic Growth and Speed of Liberalization During Transition*, Department of Economics and IRIS Center, University of Maryland, Manuscript, 1998.
86. Hernández-Catá, E. *Liberalization and the Behavior of Output During the Transition from Plan to Market*", IMF Working Paper 97/53 (April), Washington, D.C.: International Monetary Fund, 1997.
